


600/
1950/2

მასნიჩება და ტექნიკა



600

მასნიჩება-პრადანის
ჟურნალი

35

9

1950

სასამართლოს სსრ მასნიჩებათა აკადემია

600
1950



მასნიჩებუ დ ტექნიკა



მასნიჩებუ-ტექნიკური 35
ეკინაცია

9

1950

სარაინივადოს სსრ მასნიცემისათა აზადების

მესინის და ტექნიკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური
მეცნიერულ-კონკურსი წერვალი

1950 სერტიფიკატი № 9

რედაქციის მისამართი:
ლესელიძის ქ. № 22, თელ. 3-46-49



10 სექტემბერი — ტანკისტთა დღეა



მოსკოვის ახალი გრავალსართულის შენობები

ՑՈՐԾՅՈ ՀԱԽՑՈՅԵԿ

ତୁମ୍ଭଙ୍ଗିପିଲା ଶେଷନିର୍ମଳାତା କୁନ୍ତଳିଲାତି ॥

ვისც უკარასკნელი წლის განმავლობაში მოსკოვი უნახავს,
მხედველობდან არ გმირჩქმდოდა დედაქალაქის სხვადასხვა
უზანში აგართული უზარმაშარი ჩონჩხები მომავალი შენობებისა.
ეს ჩონჩხები თავისი სამაღლით გადალებით სკარბობენ
მოსკოვის ყოველ ნაგებობას; ისინი ყოველდღიურათ იზრდებიან.
ზორცა ისხავნენ, და მალე დედაქალაქი დამშვენდება
ახალი. ჩრდილო ისხავნენ, მაღალი შენობების მთელი ჭიუ
დით.

ამ შენობასთა აგებდა ამხანაგ სტალინის პირადი ინკუსტიკო გის შეღავა. 1947 წელს. ბელადის მათითებით, საბჭოთა მთავრობა მ მიიღო საგანგაზო ჯადაცვეტილება, მოსკოვში მჩა- გალსართულიანი სახლების შშინებლობის შესახებ. 1949 წლი- დან შშინებლობა ფართოდ გაიშალა და მთელი საბჭოთა მო- სახლებობის ყორადღების ცენტრიში მოექცა. ყოველი საბჭოთა ინიციატივა, ხურითმოძვარი გულდასმით ადევნებს თვალყურს ამ გრანიტოზული შშინებლობის ეტაპებს, სწავლაბს მის გა- მოცემულაბას და მოიცევებს.

უცინებელებს ყოვლისა. ახალი მრავალსართულანი შენობების აგებას უდიდესი მჩქეწერელობა აქვს ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. ყველამ კარგთ იცის, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს საბჭოთა მთავრობა და ბოლშავიური პარტია დედაქალაქის რეკონსტრუქციის საკითხს. 1935 წელს დამტკიცებულ იქნა ქალაქის გარდაქმნის საგანგებო გეგმა. 1949 წლის კი ახალი გეგმის შედეგება გადაწყვდა. ამ გეგმისის განხორციელება ჩვენს ოცლწინ ხდება აშენდა მსოფლიოში საუკეთესო მეტროპოლიტენი, გაიჭირა ახალი ქუჩები და მოედნები, მღინარე მოსკოვში საუცხოო ხიდები გადაგამირა. ქალაქის ყოველ კუთხეს ახალი შევენიერი შენობები ამჟერნებს. ღლიალე იცვლება საბჭოებს დედაქალაქის იერი — მოსკოვი მსოფლიოს ულამაზეს ქალაქია და გადაიქცეს. სწორედ ამ თვალსაზრისით ახალ მაღლა შენობებს უძლიერი როლი იკავებათ: ეს უზარმაზარი შენობები, აგართული ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, შექმნიან კომპოზიციურ ცენტრებს, რომელთა გარშემო განლაგდება ქალაქის ძირითადი მაგასტრალები.

ასეთია მაღალ შენობათა მნიშვნელობის ერთი მხარე. მაგრამ მათი ავება მარტო მოსკოვის რეკონსტრუქციისათვის როდით საინტერესოა: ამ შენებლობას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი საჭიროა ხუროთმოძღვრებისთვის. საჭმელი იმაზეა, რომ მაღალი, მრავალსართულანი შენობების ავება ახალი ამბავი არ არის. ასეთი შენობები, ე.წ. „ცათშეჩრდენება“, საკმარისი რაოდენობით არსებობს ამერიკის დიდ ქალაქებში; მთელი ისანი ეკრანის ცენტრებშიც. მაგრამ საცულისმანი სწორედ ის არის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების სპეციალურ პირობებში მრავალსართულანი შენებლობის იდეა იდგა — ის ჩატარებულია და უდევს საფუძვლად „ცათშეჩრდენების“

კუნძულობას კაპიტალისტურ კუნძულებში. ამიტომ არის რომ კაპიტალისტური ამერიკისა და ევროპისა მრავალსართულიანი შენობები, თუმცა აღმანის საცხოვრებლად და სამუშაოდაა აგიზლო. სინდიკაციებმ ნალექად შენინ ცხოვრებისა და მიუშაობისთვის საჭირო ნორმალურ პირობებშ. ასანიშნავია მათი ხორმომოძრაობით სახე: ზურგმაზარი რაომშეჩვენების ოსის ძირი მშენებლობა მთლიან კაპიტალის მანიოზი. ყოვლოდან გავამის ჯარებები. შენს ვიწრო ნაპრალისებრი რეზებს მოკრიბოს ჰაისა და სინათლის. ასეთი წოლობის და ჩივავის მრავალი მოჩა. ყოველი რაომშეჩვენები შარმოადგინს თანამაზარ. იგრძნითთან დაფარულირებით სისტემის განვითარების. მოკრიბობიბს ქაოსურ ნახევს. ნაგებობებშ. რომელიც თავისი სიმძიმით და სიღრიფით ავიწრობდეს. სჩადასეს ადამიანს. აი როგორ აოშერა დღიმა მშერებლამა მასიმი გორგოს თავისი შთაბიძობილება ნიუ-იორკის ხილისას (ნაწარმობრივი: „აგითელი გშმავის ქალაქი“): „ეს არის ქალაქი, ეს არის ნიუ-იორკი. ნაციონურ დანანი ღრესართულთანი სახლები. მღებარე და ბნელი „აგათამშეჩვენები“. კვალრატული, სილამაზის სურველს მოკლებოლი. გამოლენებითლი მძიმე შენობები ნაღვლიანად და მოწყენილად აღმართულიან. გრძელი, რომ ყოველი სახლი იკვენის თავის სიმაღლის. თავის სიმახ-ნებს. ფანჯრებშ ყვავილები არ არის და ბავშვებიც არ ჩანა...“

შორიდან ქალაქი გვერცხნისა უზარმაშაა ყბად, რომელსაც
უსწორმასწორო შავი კბილები ასხაა".

ა ასეთი მაგალითი ჰქონდათ თვალშინ საბჭოთა ხუროთ-
მოძღვრებს ახალი მრავალსართულიანი შენობების გეგმერე-
ბის დატყვების წინ. აქედან გასაგება, თუ რა დიდი პრინციპუ-
ლი მნაშენელობის ამოცანა ჰქონდათ მია გადასაწყვეტი: სა-
ჭირო იყო მრავალსართულიანი შენობების გაყალბებული
იდების ჩატანილიტაცია, ალდენა იმ რაციონალური აჩვისა,
რომელიც ჩაქსოვილოთა ამ იდეაში და რომელიც გაქრა და
დაიკარგა კაპიტალისტური მშენებლობის პირობებში. საჭირო
იყო ხარისხობრივად სრულებით ახალი ტიპის შენობების შე-
ქმნა, ახალ პრაციპულ საფუძვლებზე. ამაში მდგომარეობს
მოსკოვის მრავალსართულიანი მშენებლობის მეორე მნეშვნე-
ლობა.

ზემოთქმული ცხადჰყოფს, თუ რა ძნელი და საბასტის-
მგებლო ამოცანები იღვა საბჭოთა მშენებლების წინ მრავალ

სართულაან შენობათა აგების საკითხში. ეს ამოცანებია: შენობათა პროპრეიტები და სილუეტები უნდა იყვნენ ორიგინალური და თავისი არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციით დაკავშირებული ქალაქის ისტორიულად-ჩამოყალიბებულ არქიტექტურასთან და მომავალ საბჭოების სასახლის სილუეტიან. ამასთან შეფარდებით დასაგეგმარებელი შენობები არ უნდა იმეორებდნენ საზღვარგარეთ ცნობილ მრავალსართულიან შენობების ნიმუშებს.


დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს რთული ამოცანა საბჭოთა მშენებლებმა ღიასეულად გადაწყვიტეს: უმოკლეს ვადებში იქნა დაგეგმარებული პირველ რიგში ასაგები 10 შენობა. 8 მათგანი უკვე შენდება; ამ უკანასკნელთაგან რამდენიმე თოთხმის დამთავრების პროცესშია. მთელ რიგ არქიტექტორებსა, და მშენებლებს შალალი ჯილდო — სტალინური პრემია წინიჭუა.

მრავალსართულიან მშენებლობას ბევრი სანტერესო მხარე აქვს და მრავალი საგულისსმიერო თავისებურება ახასიათებს. სურათმოძღვრული, საგეგმარო, კონსტრუქციული თუ სანტექნიკური საკითხები დალე დეტალურ გაშუქებას მოითხოვენ. ამ შერილში, რასაკვირველია, მშენებლობის ყველა მხარეს ვერ შევეხებით; ქვემოთ ლაპარაკი გვექნება მხოლოდ ძირითად პრინციპულ გადაწყვეტებზე, უმთავრესად შენობათა კონსტრუქციების და მშენებლობის წარმოების დარღვეო.

ვიდრე კონსტრუქციების განხილვას შევუღებოდეთ, საჭიროა საერთო წარმოლებენა გვირჩნიოთ მოსკოვის მომავალი მრავალსართულიანი შენობების შესახებ. როგორც ზემოთ ვოქმით, პირველ რიგში 10 შენობა უნდა ითვლოს. მათგან 8 უკვე შენდება. აյ პირველ რიგში უნდა მოვისენიოთ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობა, რომელსაც მკითხველები ჩვენი უურნალის № 6-ში გაეცნენ.

ეს ნავებობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნავებობათ კომისარების, შენდება მოსკოვის უმაღლეს აღგილზე — ლენინის მთებზე, დედაქალაქის ახალ ჩრდილო-დასავლეთ რაიონში. ის დაგვირგანებს ამ რაიონის პეტსპექტივას და გამოჩინდება მოსკოვის თოთხმის ყოველი კუთხიდან.

მომავალ შენობებიდან საში აღმინისტრაციულა. 1-ლ სურათზე ნაჩვენებია აღმინისტრაციული შენობა სმოლენსკის მოედანზე. ის 20-სართულიანია, სიმაღლით 120 მეტრი. შიგ მოთავსებული იქნება სახელმწიფო დაწესებულებები, განლაგებული 1000-დე სამუშაო ოთახში. შენობის მოცულობა 450.000 კუბურ მეტრს უდრის. ამ უზარმაზარი ნავებობის მშენებლობა ყველა დარაჩენშე უფრო აღრე დამთავრდება. აღმინისტრაციული შენობა „ზარიადეს“ რაიონში, კრემლის მახლობლად, უმაღლესი იქნება ყველა ახალ შენობათა შორის, მისი 32-სართულიანი ცენტრალური ნაწილის სიმაღლე 275 მეტრს აღწევს. ამ შენობაში დაგეგმარებულია 2.000-დე სამუშაო ოთახი სახელმწიფო დაწესებულებების მოსათავსებლად.




კ. 1. პროექტი 20-სართულიანი აღმინისტრაციული შენობისა სმოლენსკის მოედანზე. პროექტის მიკუთხნებული აქვს პირველი ხარისხის სტალინური პრემია. ავტორები: სსრკ არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი;

კ. 2. გელფრეიტის დაწესებულებების მინიატურა.

შესამე აღმინისტრაციული შენობა, „წითელ კარებთან“ შენდება; ის 16-სართულიანი იქნება, სიმაღლით 110 მეტრი და მოცულობით 275.000 კუბური მეტრი.

ორი ახალი კეთილმოწყობილი სასტუმრო დაამშვენებს მოსკოვს. ერთი მათგანი დოროვომილივის სანაპიროზე შენდება. მასში 1000-დე ცალკეული ნომერი იქნება მოსკოვის სტუმრებისათვის და, გარდა ამისა, 250-დე საცხოვრებელი ბინა. სასტუმროს 26 სართული ექნება, 170 მეტრის საერთო სიმაღლით.



ნახ. 2. 26-სართულიანი სასტუმროს შენობა დოროვომილოვის სანაპიროზე (პეტრევეტივა).

მეორე სასტუმრო იმართება კომიკაუშირის მოედანზე. ამ სასტუმროს 17-სართულიანი შენობა მოცულობით შედარებით პატარაა (60.000 კუბური მეტრი), მაგრამ სიმაღლით 128 მეტრს აღწევს.

დაბოლოს, ახალ მრავალსართულიან შენობათა ჭილაძე ავსებს ორი უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი. 700 მოხერხებული, საუკეთესოდ მოწყობილი საცხოვრებელი ბინა იქნება იმ სახლში, რომელიც „კოტელნიჩესკაიას“ სანაპიროზე შენდება. ამ სახლის საერთო ხედი მე-3 სურათზეა მოცემული. 480.000 კუბური მეტრია მისი მთლიანი მოცულობა. შენობის შუანაშილი 17-სართულიანია, სიმაღლით 160 მეტრი. მეორე საცხოვრებელი სახლი აჯანყების მოედანზე შენდება, მისი 426 საცხოვრებელი ბინა განლაგდება 22-სართულიან, 120 მეტრის სიმაღლის შენობაში.

ასეთია ახალი მრავალსართულიანი შენობების მოქლე საერთო დახსახათება. ისინი საკეთო აქმაყოფილებენ ჯველა წამოყენებულ მოთხოვნილებას. ერთი საერთო დღე უდევს საფუძვლად ამ შენობების პროექტებს — იდეა საბჭოთა


მართვისა: საუკეთესო პირობებით შექმნილი მათში მცხოვრები და მიმუშავე საბჭოთა აღამინისტრისათვის, მქესნასტურად არის გათვალისწინებული მათი ინტერესები. მრავალსართულიანი შენობების გეგმარებას აწარმოებდენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ხუროთმოძღვრები — სხვადასხვა თომბის, გემონების და იერის ხელოვანი. ამიტომ ყოველ შენობას, ცხადია, მისი ავტორის ინდივიდუალური გემონების დაღი ადევს. მათი არქიტექტორული ფორმები მრავალუროვანია და განსხვავებულია. მაგრამ ყველა ისინი გადაწყვეტილია ერთიანი შემოქმედებით მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე. ამიტომ არის, რომ ეს შენობები ჩვენი ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებს, სოციალისტური ეპოქის ლირსეულ ძეგლებს წარმოადგენს.

მრავალსართულიანი შენობების კონსტრუქციული აღნაგობა

განვიხილოთ ახლა ის თავისებურებანი, რომელიც მრავალსართულიანი შენობის კონსტრუქციას ახასიათებს. ჩვეულებრივ, 5—6 სართულიანი შენობის კონსტრუქციას ყველა კარგად იცნობს: მას აქვს ქვის ან აგურის კედლები, რომლებიც საძირკველს ეყრდნობა; მათი განლაგება ოთახების განაწილებას შეეფერება; კედლებს ეგრეთწოდებული სართულურობისა გადახურვები ეყრდნობა — ისინი სართულის ჭერს და იატაკს ქმნიან; უკანასკნელი სართული სახურავით გაირგონდება. ასეთი, ჩვეულებრივი ტიპის შენობაში კედლებს ორმაგი ფუნქცია აქვს დაკისრებული: ჭერ ერთი ისინი შემოფარგლუვები სათავსოს, იცავნ მას გარეშე, ატმოსფერული ზეგავლენისაგან; მეორე — კედლები ამტან კონსტრუქციას წარმოადგენს: ისინი იტანენ სართულთა შორის გადახურვების ჭონას, თავის საკუთარ ჭონას, სასარგებლო დატვირთვას. თურმე ასეთი კონსტრუქცია მრავალსართულიანი შენობისათვის არ გამოდგება: აგური ან ქვა შედარებით სუსტი მასალა: ამიტომ სართულების დიდი რიცხვის დროს ჭორვიანი სიმტკიცის მისაღებად ძალიან სქელი კედლის გაკეთება დაგვირდება; შენობის ჭონაც ძალიან დიდი გამოვა; ჭონის შემცირება კი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა: ამის გარეშე საძირკვლის მოწყობა მეტად რთულდება. ამიტომ არის, რომ მრავალსართულიანი შენობები (დაახლოებით 10—12 სართულს ზევით) მეტწილად ე. წ. კარ კა ს უ ლ ი ტ ი პ ი ს ა კეთდება. კარკასულ შენობის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივი კედლის ორი ფუნქცია, ორი ღანცენულება აქვთ მანერისათვისაგან განცალკევებულია და თითო მათგანი შენობის ცალკეულ ნაწილს ეკისრება. ამტანი კედლების მაგიგრათ კეთდება საგანგებო ჩინჩირი, კარკასი, რომელიც ყველა დატვირთვებს თავის თავზე იღებს და საძირკველს გადასცემს. კედლები კი კარკასს ეყრდნობა და მარტო სათავსოს შემომღარგლებ, დამცველი ელემენტის ფუნქციას ასრულებს. ამიტომ ისინი შეიძლება უფრო ფორმოვანი, ნაკლებ თბილამტარი და მსუბუქი მასალისაგან, ნაკლები სისქეის გაკეთდეს. ასეთი კონსტრუქცია მნიშვნელოვან მოგებას იძლევა: შენობის ჭონა შეიძლება თითქმის ერთორიან შემცირდეს. მოსკოვის ყველა მრავალსართულიანი შენობა კარკასული ტიპის იქნება.

რისგან კეთდება შენობის კარკასი? მშენებელს თავის განკარგულებაში აქვს ორი სამშენებლო მასალა, რომლებიც თავისი სამტკიცით გამოდგება კარკასის ასაგებად. ეს არის

ლიტონიშვილი და რკინა-ბეტონი. რკინა-ბეტონის ბევრი დადგებითი მხარე აქვს: მას ხანძრის არ ეშინია და არც უანგვას ვანი-ცდის; დეფაუტური ლითონიც ნაკლებად ჩარჩება, მაგრამ ლითონის კონსტრუქციას ერთი გადამწყვეტი უპირატესობა





ნახ. 3. ახალი სახლი კოტელნიჩესკაიას სანაპიროზე (მთავარი ფასადი).

ახასიათებს: ეს არის მისი დამზადების სრული ინდუსტრიულობა, აგების სისწრაფე და სიადვილე. მართლაც, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აგება საკმარისად რთულია: ჯერ ზე ყალიბები უნდა დამზადდეს, შემდეგ რკინის ღეროების ბაზე — ე. წ. არმატურა უნდა ჩაიწყოს, შემდეგ კი ბეტონი ჩაისხას და დაიტკებნას. ყველა ეს პროცესი მექანიზაციას ძნელად ეჩუბა, ძირითადად ხელით შრომას და დიდ დროს მოითხოვს. სულ სხვაგვარად ხდება ლითონის კონსტრუქციის დამზადება. მასი ყველა ნაწილი შეიძლება წინასწარ ერთსანაში დამზადდას მატეანური ჭესით; მშენებლობას ადგილზე კი წდება მხოლოდ ამ ნაწილების აკრეფა, ე. წ. მონტაჟი. მოსკოვის მრავალსართულიანი მშენებლობის პირობებში ეს უპირატესობა იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ ლითონის შედარებით მეტი ხარჯის მიუჭედავად, ყველა შენობის კარგად ლითონისგან კეთდება.

განვიხილოთ ახლა კარკასული შენობის აღნაგობა. კარკასი ვერტიკალური და თარაზული ელემენტების სიგრძითა ქსელს, ჩამონადგენს. ვერტიკალური ელემენტები — სვეტები კედლების გადაკვეთის წერტილებში იდგმება. ყოველი სართულის იარაყის დონეზე სვეტებს ორივე მიმართულებით თარაზული ელემენტები — რაველები უერთდება. მათზე სართულშორისი გადახურვები და კედლებია დაყრდნობილი. მე-4 სურათზე მაგალითისათვის ნაჩერებია მოსკოვის ერთ-ერთი მრავალსართულიანი შენობის კარკასის სქემა. კარკასის ყველა ელემენტი და მათი ერთმანეთთან

შეერთება ელექტროშედულებითა შესრულებული, რაც საბულებული ჭითა სამშენებლო ტექნიკის ახალი დიდი მიღწევა. კარკასის ელემენტები, სვეტები და რაველები ხანძრისა და უანგვისაგან დაცულია საგანგებო გარსით, რომელიც ბეტონის ან აგურისა კეთდება. კედლები, როგორც ვოქვით, კეთდება მსუბუქი, ფოსოვინი მასალისაგან: ფულური აგურისა ან კერამიკული ბლოკებისაგან. გარედან კედლები მოპირკეთებულია საუკეთესო ხარისხის და სილმაზის ბუნებრივი ქვით ან საგანგებო ხელოვნური საპირკეთებელი მასალებით. სართულთაშორისო გადახურვები რკინა-ბეტონისაა. ბევრი ახალი, საინტერესო რამ შეიტანეს საბჭოთა მშენებლებმა მრავალსართულიანი შენობების ყოველ ელემენტში, ყოველ დეტალში, როგორც კონსტრუქციის, ისე სამშენებლო მასა-



ნახ. 4. მრავალსართულიანი შენობების კონსტრუქცია: ზევით — 26-სართულიანი სასტუმროს ჩარჩოიანი კარკასის სქემა; ქვევით — ფორმადის კარკასის დეტალები.

ლეგის მხრივ. ყველა ამ ელექტრობის დაწერილებით განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს და ამ წერილის ფარგლებში შეუძლებელია.

მშენებლობის ზარმოვბის ხერხები

მოსკოვის მრავალსართულიანი შენობების აგება უდიდესი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების შესრულებას მოითხოვს. საკმარისია აღვინიშნოთ, რომ პირველი რიგის შენებლობის მოცულობა დაახლოებით 5 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ეს სამუშაოები უმოკლეს ვადებში უნდა შესრულდეს. ასეთი ამიცნის წარმატებით გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სამუშაოთა ორგანიზაცია თანამედროვე მშენებლობის ძირითად პრინციპებზე იქნება აგებული. საჭიროა მშენებლობის მაქსიმალური ინდუსტრიალიზაცია და მექანიზაცია, სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების ერთდროულათ ჩატარება, მშენებლობის ნაკადური წესით წარმოება. კარკასული ტიპის შენობა საკმარისად შეხამებულია ამ პრინციპებთან. მისი ძირითადი ნაწილები: კარჯასის სვეტები და რიგელები, გადახურვების და კედლების ელექტრები საკარხნა წესით მზადდება და შემდეგ მრაქვთ მშენებლობაზე. ამიტომ მრავალსართულიანი მშენებლობას, სადაც უშენობის ყველა ნაწილი თავითან ბოლობიდან დაგიღიზე მზადდება. ეს მშენებლობა უფრო დიდი ქარხნის ამჟყობ სააქტროს მოგვაგონებს — აქ წინასწარ დამზადებული ნიშილების აკრეფა, მინტერი ხდება. ასეთი მშენებლობას დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამონტაჟურ მექანიზებს — იმ მანქანებს, რომლებიც ცალკეულ ნაწილებს საჭირო სიმაღლეზე აზიდავენ და ადგილზე დაყენებენ. ბერძი გაუმჯობესება უერთანეს საბჭოთა ინჟინერებმა მშენებლობის ტექნიკოგიაში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანებია ის საგანვებო კოშკისებური ამჟები, რომლებიც

მრავალსართულიან მშენებლობაზე გამოყენებული კონკრეტური ამჟებ გავრცელებული სამშენებლო მექანიზმია. მისი ნაწილი თბილისის მშენებლობებზეც შეიძლება, მაგალითად, რუსთაველის ძეგლის მახლობლად, სადაც მასალებს აწედის მეხუთე სართულის სიმაღლეზე. მაგრამ მოსკოვის შენობებს ხომ 16—26 სართული აქვთ. ასეთი სიმაღლის კოშკი წარმოადგენელია. ამიტომ იქ ამჟები ზედ შენობაზე დგას, უკვე აშენებულ სართულზე. ამჟებ წევულებრივი ისარი აქვს, რომელიერად გალამბარიანი საკონტაკი მოძრაობს. ამჟებ მოქმედების რადიუსი 27,5 მეტრია — ამ ფარგლებში მას შეუძლია წებისძიებრივ წერტილში მანწყობის 5-ტონიანი ტვირთი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ რამდენიმე სართულის ამოკნის შემდეგ ამჟებ თავისი თავი თითონ გადააქვს ზევით, ახალ ღონებზე. ამიტომ მას „მოცავი“ ამჟებ ეწოდება.

კოშკური ამჟებ საბჭოთა ინჟინერების შექმნილია. მისმა გამოყენებამ საგრძნობლად დააჩქარა და გააადვიოლა მშენებლობა. საკმარისია აღვინიშნოთ, რომ სმოლენსკის მოედანზე აგებული შენობის კარჯასი 7900 ელექტროსან შესდგებოდა და მთლიანად ის 5200 ტონას იწონიდა. ეს უზარმაზარი კარჯასი, სიმაღლით 120 მეტრი, სამი მოცავი ამჟებ საშუალებით 4 თვეს განმავლობაში ააგეს.

* * *

ასეთია მოსკოვის ახალი მრავალსართულიანი მშენებლობის მოკლე მიმოხილვა. ბევრი სანოტერესი საკითხი აქ გაუშეუბებელი დარჩა. მაგრამ ის ცნობებიც, რომლებიც მოვიყვანეთ, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მაღალ დონეზე დგას თანამედროვე საბჭოთა სამშენებლო ტექნიკა. მრავალსართულიანი მშენებლობა ამ მაღალი დონის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია. ყველა საბჭოთა მშენებელი სამართლიან ამაობს დედაქალაქის დამამშენებელი მრავალსართულიანი შენობებით.


ლოგოვის ჩერხენის აგტომტვირთავი

დრეპრობეტროვსკის ავტოჭარხის საკონსტრუქტორო განყოფილებამ დაპროექტა სამტრონიანი ავტომტვირთავი, რომელიც სერიული წარმოებისათვის გადაეცა ავტომტვირთავების ლოგოვის ქარხანას.

ავტომტვირთავი („მოდელი 4000“), რომელიც აქ სურათზე ნაჩენები, წარმოადგენს უნივერსალურ მანქანას, რომელიც დანიშნულია სხვადასხვა მძიმე, გრძელი და ფხვირი ტვირთების დასატკირთავ-გადმოსატვირთავად — სამრეწველო საჭარმოების მისასვლელ გზებზე, სამშენებლო მოედნებზე, რკანიგზების სატკირთო საღურებში, სამღანრო და საზღვაო ნავსადგურებში.

ნაკანის გამოყენების უნივერსალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მას აქვს შემდეგი მუშა-მოწყიბოლობანი, რომლებიც სწრაფად შეიძლება გამოიცვალოს: ჩანგლისებრი სატაცი, საამწერ და საჭოონაქი ისრები, მანქვალი და ციცვა. ამ მოწყობილობათა მეოხებით ავტომტვირთავი (მისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში) გამოდგება თითქმის ყველა სახის ტვირთვის გადმოტვირთვა-დატვირთვისა და ტრანსპორტირებისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

მანქანას შემდეგი მახასიათებლები აქვთ: შეუძლია ასწილოს 3000 კგ ტვირთი; ტვირთის აწევის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 4 მეტრს; ტვირთის აწევის სისწრაფე — 10 მეტრს წუთში; ავტომტვირთავის მოძრაობის სიჩქარე — 32 კმ საათში; მობრუნების რადიუსი — თითქმის სამი მეტრია.



საქართველოს ვაჭის კულტურის ისტორიიდან

მარანი

იოსებ ნანოგაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მეცნიერობა-მელვინეობას ქართველ ტომებში ლიდი ხნის ისტორია აქვს და ამ მხრივ მეტად საინტერესო მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლია შემონახული.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ნაგებობა — სახლი-მარანი და ამავე სახელწოდებით ცნობილი ჭურჭელი-მარანი.

სალგირი ნაგებობა სახლი-მარანი

სალვინე ნაგებობა სახლი-მარანი არის შენობა, სადაც სჭარმოებს ყურადღის ღვინოდ გადამუშავება, დაბინავება და შენახვა. ამ სახის მარნები გვხვდება საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში.

ქველად საქართველოში ქვითკირისა და ხის მარნები უშენებიათ, ამას აღასტურებს მრავალი ძეგლი ისტორიული დაუკუმენტი.


სად შენდებოდა სალვინე სახლი-მარანი? როგორც ეთნოგრაფიული ცნობები იდასტურებენ, ქველად შენობა-მარანი იგებოდა: საცხოვრებელი ბინის ახლოს, ცალკე დამოუკიდებელი ნაგებობის სახით, საცხოვრებელი ბინის გვერდზე, ანდა შენობის ქვემო სართულში. უკანასწელ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინა და მარანი განუყრელ ერთეულს წარმოადგენდა; იყო მისი მაგალითებიც, რომ მარანს ვენახშივე აშენებდნენ.

მარნების ვენახში აშენების მაგალითი დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოში (კერძოდ ქიზიუში). სხვაგან ამის საბუთი ჯერ არ გავვაჩინა. ვენახში მარნების არსებობას ხალხი იმით ხსნის, რომ ვენახი დიდი იყო და შორ მანძილზე ყურადღის ზიდვა უჭირდათ.

1947 წელს ქართლის კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის დროს დავამოწმეთ, რომ ს. აშის მცხოვრებლებს მღინარე არაგვის ჰირზე, სადაც ვენახები აქვთ ვაშენებული, იქვე ენახში, ღია ცის ქვეშ საწნახელი და მენა* ჰირნდა აგებული. ეს მოწყობილობა ერთგვარად მარნის შთაბეჭდილებას სტოვებს იმ განსხვავებით, რომ იქ ღვინისა და საერთოდ ვენახის დასამუშავებელი იარაღები თუ სხვა არ ინახებოდა, რადგან შემოუზღუდავი და ღაუზურავი იყო.

ღია ცის ქვეშ, თუმცა არა მენათი, არამედ ქვეპრებითა და საწნახელით მოწყობილი მარანი აღმოსავლეთ საქართველოსა (ქიზიუში) და დასავლეთ-

* მენა ქართლში ეწოდება მიწაში ნაგებ ქვიტკირის შენობას. იგი ქვევრის მოყვანილობით არის აზენებული და დროებით ქვევრის მოვალეობას ასრულებს. იქაურებს ვენახნები შორს ჰირნდათ. მეცნიერებები ყურძნის ნაწურს ერთი-ორი დღით „მენაში“ ინახავდნენ და შეძღვომ სპეციალური კასრებით სათანადო ადგილს ეზადებოდნენ.





შიც (სურებში) უშუალოდ გვაქვს დამოწმებული. ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე ამას მთლიანად გურიაში ამოწმებს. თავის შრომაში ის მიუთითებს: „გურიაში მარანი ეწოდება კარ-მიდამოს მახლობლად ისეთ ადგილს, სადაც ლეინის დიდი კურებია დათლული და რომელიც შემორაგულია მაღალი, მეტწილად ხეხილის ხეებით“—ო. „გურული მარანისაგან იმერული მარანი არსებითად არაფრით არ განსხვადება. ეს არის ადგილი კარ-მიდამოს მახლობლად, კვანასის თავში ან თვით კვანასში ხეების ქვეშ მიწაში ჩაფლული ჭურებით, მაგრამ აქ მას უწოდებენ არა მარანს, არამედ „ჭურის თავს“. პროფ. გ. ჩიტაის ცნობით, სვანეთში მარანი ჰქვია საცხოვრებელი ბინის ერთ ადგილს, სადაც რამდენიმე ქვევრია მიწაში ჩაფლულ-ჩაგდებული. როგორც ვხედავთ, ძველად საქართველოში ორი განსხვავებული სახის მარანი ყოფილა. ერთი ქვითკირის ან ფიცრისა, კედლებით შემოზღუდული და რითიმე დახურული შენობა, და მეორე — შემოზღუდულავი, დაუხურავი მარანი.

სხვანაირი სახით არსებობს მარნები დღეს. შესანიშნავი მარნები შენდება მევენახეობით განთქმულ სხვადასხვა კუთხეში. დიდი ყურადღებით შეარჩევენ მარნების ასაშენებელ ნიადაგს, მხედველობაში იღებენ მზის სხვების მოქმედებას მარანზე, ყურადღება ექცევა გოგრაფიულად ხელსაყრელ ბდებარეობას, აშენების დროს იცავენ არქიტექტურულ ჭესებს და სხვ.

ხალხი წინათაც ცდილობდა მარანი შესაფერისი აეშენებინა, მზრუნველობით ეკიდებოდა მას და, წარმოიდგინეთ, საქმაოდ საყურადღებო შენობაც გამოსდიოდათ. ამის საუკეთესო ილუსტრაციის წარმოადგენს ს. ვაქირში (სიღნაღის რაიონი) ილა სიყმაშვილის მარანი (სურ. 1). ამ მარანს აქვს შესანიშნავად მოჩუქურთმებული ფასადი და საგანგებო შინაგანი მოწყობილობა.

მარანში შესრულებული სამუშაოები ზევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი შინაგანი მოწყობილობით იქნებოდა აგებული მარანი. ეს გარემოება ხალხმა ძალიან კარგად იცოდა და ამიტომ ამ პირობების დაცვას დიდი მონილომებით ეკიდებოდნენ, მარნის შინაგანი მოწყობილობის მხრივაც გარკეულ ჭესებს იცავდნენ, რომ მეღვი-



ნახ. 2


ნებს მარანში მუშაობის დროს ხელი არჩერს შეშლოდათ. საკუთარი დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების ნიადაგზე ხალხი ამ მხრივაც საუცხოო შედეგს აღწევდა.

ჩვეულებრივ მარანი ერთგანყოფილებიანი იყო, მიწაში ჩაყრილი ქვევრებით, იქვე იყო ყურძნის საჭრი საწნახელიც.


სოფ. ანაგაში შოთა ბალაშვილის მარნის ერთ განყოფილებაში მოთავსებულია ყურძნის საჭრი საწნახელი, ხოლო მეორეში — ქვევრები და სხვა ინვენტარი, რომელიც კი საჭიროა მარანში ღვინის გადამუშავებისათვის.

მარნის მისასვლელ კედელთან გაყვანილი წყაროს წყალიდან წამოღებულია ქვიტკირის მილი და საწნახელში გადის. მილით მოედინება წყაროს წყალი. საწნახელიდან გატანილი ქვიტკირის მილი მიემართება მარნის მეორე განყოფილებაში. მილი ისეა მოწყობილი, რომ საწნახელისა და ქვევრების ნარეცხი წყალი მარანის გარეთ გაიტანოს. მარნის სხვა ხელსაყრელ პირობებთან ერთად, მარანში წყლის გაყვანაც ხელს უწყობდა მარნის პატრონს საწნახლისა და ქვევრების რეცხვა წესიერად ჩაეტარდა.


უნდა ითქვას, რომ მარნის მოწყობის ეს ხალხური ძველი წესი თანამედროვე მეღვინეობისათვის მისაღებ, საუკეთესო სამუშაოებათ არის მიჩნეული. მეღვინეობის სპეციალისტი ვ. ღემეტრაძე პირდაპირ მიუთითებს: „მარნების აშენების დროს მიზანშეწონილია მარნების ორ განყოფილებად აშენება. პირველი — ყურძნის გადასამუშავებელი ქვის კაპიტალური შენობა, სადაც მოთავსებული იქნება ყურძნის საჭყლეტი მანქანები — ჭნები და მეღვინეობაში საჭირო ინვენტარი, მეორე — ტკბილის საღუღარი ჭურების განყოფილება“.



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5

ნახ. 6

ღვინის სასმისი—ჭურჩელი-მარანი

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, გარდა საღვინე სახლის — ნაგებობა-მარნისა, მოწმდება ღვინის სასმისი—ჭურჭელი-მარანიც. ასეთი მარანი აყალ. ს. ჯანაშიას სახლობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში რამდენიმეა დაცული. მუზეუმის საინვენტარო-საკატალოგო დავთრების გადასინჯვა გვარწმუნებს, რომ ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ღვინის სასმისი მარნები აღმოსავლეთ საქართველოშია ნახული და შეძენილი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი რამ დასავლეთ საქართველოში არ უნდა მოიძებნებოდეს.

ღვინის სასმისი-მარნები დიდ ყურადღებას იქცევნ როგორც გარეგანი ფორმა-მოყვანილობით, ისევე თავისი ფუნქცია-დანიშნულებითაც.

მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების საინვენტარო-საკატალოგო დავთრებაში გატარებული სასმისი-მარნების აღწერილობაში მოცემულია მათი გარეგანი ძირითადი ნიშნები, მაგრამ ფუნქცია-დანიშნულებაზე სრულიად არაფერია ნათქვამი. აქ დაცული სასმისი-მარნები ასეა აწერილი:

მესამე სურათი: „თიხა, ნაცრისფერი ქაშანი, მწვანე წერნაქით შემკული, სამსართულები, ამოფანგრული, ათი ჭინჭილა, წურწუმა და მილი პირგანიერი. წურწუმას აზის კობლები. ძირზე ძნელად ამოსაკითხავი ქართული წარწერა... დაზიანებული. ტფილისის მაზრა“.

მეოთხე სურათი: „თიხისა—ქაშანური, ვიწრო ძირით, მუცელი დასერილი აქვს ჩაჭრილი ხაზებით. ამ ხაზებს შუა კი ასევე ჩაჭრილი ყვავილის სახეებია გამოყანილი (ყველა ეს სახე ამავე დროს მუქლურჯადა შელებილი). ყელის ირგვლივ გაკეთებული აქვს ცხოველის და ფრინველის სახეები.“

პირზე ჩამწერილი აქვს აზრ „ჭინტერი-ლა, შუა ადგილას კი ცხვრის ფიგურა, სიმაღლე 31 სმ, დიამეტრი 18,4 სმ“.

მეხუთე სურათი: „თიხისა, სასმისი ჭურჭელი. ხუთგანყოფილებიანი. მოყვითალო ფერის, შემკული წითელი ზოლებით. როგორც მთავარი ტანი, ისე მისი ნაწილები დოქის მოყვანილობისაა. მთავარ ტანს ტუჩის გასწვრივ ჩაჭყება თიხისავე კობლები. მთავარი ტანის სიმაღლე 19,5 სმ, პირის დიამეტრი 5,5. დაზიანებული, ერთი ნაწილი მომტკრეფლია, შეძენილია ქართლის კომპლექტური ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობისას“.

მეექვსე სურათი: „თიხისა, ცხვრის თავის გამსახულებით, ცხრაგანყოფილებიანი, მოჭიქული ყვითელი სალებავით, ზოგიერთი დეტალები დახაზულია მწვანე საღებავით. დაზიანებულია ცხვრის რქები და ერთ-ერთი ჭურჭლის ნაპირი. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ს. მეჭვრისხევი“.

ეს ჭურჭლები, როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რთული კონსტრუქციის არიან. დამახასიათებელი ატრიბუტის სახით მათ თან ახლავს რომელი ცხოველის, უმთავრესად ცხვრის გამოსახულება. ამ ჭურჭლებს „მარანი“ მიმომ ეწოდება, რომ მათ ქვევრების მსგავსი პატარა ჭურჭლები აქვს გარშემო შემომწკრივებული. რადგან შემომწკრივებული ქვევრების მსგავსი ჭურჭლი რამდენიმედ მარნის შთაბეჭდილებას სტოვებს, ამიტომ იგი საღვინე სახლის სიმბოლურ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს.

აღწერილობიდანვე ირკვევა, რომ სასმის მარნებზე, შემომწკრივებული პატარა ჭურჭლების გარდა, მცენარეებისა და ფრინველების სახეებიც გვხვდება.

ქართული „მარნის“ მეცნიერული გარკვევა და მისი ფუნქცია-დანიშნულების დაგენა ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტს პროფ. გ. ჩიტაიას. მას გამორკვეული აქვს, რომ „მარანს, ქართული ტომების ყველა მონაცემის მიხედვით, ქრისტიანობაზე აღრინდელ სარწმუნოებასთან აქვს კავშირი“. მისივე დაგენილია, რომ „მარანი თავის თრიამენტებით და სხვადასხვა სახეებით ნაყოფიერების სიმბოლოს გამომხატველია, იგი ქართული წარმართული ქორწილის კომპლექსში შედიოდა და ქორწილის წესების შესრულებაში მონაწილეობდა“.

ყოველივე ეს საკმაო სიცხადით ადასტურებს ქართული მეღვინეობა-მევენახეობის სიძველეს.

ლითონებრული იარაღების აღმსვა ელექტრული გეთოდებით

• ნებანერი • ნიკოლოზ ძეგლი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტი

აროგორც ცნობილია, ჩვენს საჭარმოებში ფართოდ გაიშალა სტახანოველ-ჩქაროსასთა მოძრაობა, საგრძნობლად გაზარდა ლითონების მექანიკური დამუშავების სიჩქარე და, ამასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება ზესალი შენადნებისაგან დამზადებულ ლითონებრულ იარაღებზე. ასეთი იარაღების ალესვა ბოლო დრომდე შესაძლებელი იყო მხოლოდ ე.წ. ექსტრა-კარბორუნდის (მწვანე კაუბადის კარბიდის) სალესი ქვებით. გარდა ამისა, რომ ეს ქვები დეფიციტურია, მჭრელი იარაღების ალესვა ამ ქვებით დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან: 1) საჭიროა სალესი ქვის მარცვლობისას სათანადო შერჩევა, 2) ზესალი შენადნეს ცუდი სითბოგამტარობის გამო, სალესი ქვის მჭრელ იარაღზე დიდი დაწოლის დროს მჭრელი იარაღის ზედაპირი გადახურებას განიცდის და მასზე ჩნდება შეუიარაღებელი თვალით მნელად შესამჩნევი ე.წ. მიქრომეტრული ბზარები, რაც მკვეთრად ამცირებს მჭრელი იარაღის ხარისხს. ამის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ ხელით ალესვას და შემდეგ დაყვანას მიმხეხი ფხვნილებით, მიუხედავათ იმისა, რომ ეს პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და საჭიროებს მუშის განსაკუთრებულ დახელოვნებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მჭრელი იარაღის სათანადო გეომეტრიული ორმა (იხ. ურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“ № 10, 1949 წ., გვ. 8).


მჭრელი იარაღების ელექტრული მეთოდებით ალესვა წარმოადგენს, მექანიზმებულ პროცესს და იგი თით პირსპექტიულის ქმნის საჭარმოებში იარაღების ალესის პროცესს გადაწყვეტილობის.

ძირითადად არსებობს მჭრელი იარაღების ელექტრული ალესვის ორი მეთოდი: 1) ანოდურ-მექანიური და 2) ელექტრონაპერტულით ალესვის მეთოდი.

ორივე მეთოდი აღმოჩენილი და დამუშავებულია საბჭოთა მეცნიერების მიერ. პირველი ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს ვ. ნ. გუსევს, ხოლო მეორე — სტალინური პრემიის ლაურეატს ბ. რ. ლაზარენკოს.

ანოდურ-მექანიური მეთოდი შემდეგ პრინციპს ემყარება: წარმოვიდგინოთ აბაზანა (ნახ. 1), რომელშიც ჩასხულია სპეციალური შემადგენლობის სითხე (ელექტროლიტი). თუ ელექტროლიტში ჩაგუშვებთ მუდმივი დენის წყაროსთან შეერთებულ ლითონის ორ ფირფიტას — ანოდსა და კათოდს — და ამასთან ელექტროლიტის შემადგენლობის შესაბამისად შევარჩევთ ანოდის (ფირფიტის) მასალას, მაშინ მუდმივი დენის ზემოქმედების შედეგად ელექტროლიტში ჩაშვებული ლითონის ფირფიტა (ანოდი) თანდათანობით დაიშლება. ეს არის წმინდა ელექტროქიმიური პროცესი. ეს პროცესი მით უფრო ინტენსიურად წარიმართება, რაც მეტი იქნება დენის ძალის სიმკერივე, ე. ი. დენის ძალის სიდიდე ელექტროლიტში ჩაშვებული ანოდის ზედაპირის ერთეულ ფართზე.

მაგრამ წმინდა ელექტროქიმიური პროცესით ლითონის ზედაპირიდან ლითონის ფენის მოხსნით შეუძლებელია პრაქტიკულად საჭირო რაიმე ფორმის მიღება და დამუშავების ზომების დაცვა, ვინაიდან ამ პროცესის დროს ლითონი მოიხსნება ელექტროლიტში ჩაშვებული ანოდის მთელი ზედაპირიდან და ისიც არაერთნაირი ინტენსივობით. ამრიგად, წმინდა ელექტროქიმიური პროცესის დროს შეუძლებელია ლითონის მოხსნის რეგულირება ჩვენი სურვილისამებრ. ამიტომ საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა ელექტროქიმიურ პროცესში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზეცვლილ იქნა, პირველ ყოვლისა, ელექტროლიტი +




ნახ. 1

ტეს შემადგენლობა და, გარდა ამისა, ელექტრო-
ქიმიურ პროცესს დაემატა კიდევ მექანიკური პრო-
ცესი. ამიტომ პროცესს ეწოდება ანოდურ-მექა-
ნიკური.

ეს პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

ელექტროქიმიური პროცესის დაწყებისთანავე განსაკუთრებული შემადგენლობის ელექტრო-ლიტიდან ანოდზე გამოიყოფა მაიზოლირებელი ნივთიერება, რომელიც თხელ ფენად გადაეკვრის ანოდის ზედაპირს, გამორთავს მას მულმივი დენის წრედიდან და, ამრიგად, ელექტროქიმიური პრო-ცესი შეწყდება. თუ გარეშე მექანიკური ჩარევით, კოქვათ „ა“ ღერძს წვერით, ანოდის ზედაპირის რომელიმ „ბ“ წერტილში (ნახ. 2) პერიოდულად დაგარღვევთ ანოდის მაიზოლირებელ ფენას, მა-შინ პერიოდულად განახლდება ელექტროქიმიური



Бюл. 2

პროცესი და ანოდის ზედაპირიდან ლითონის ფენა მოიხსნება მხოლოდ იმ ადგილებიდან, სადაც მაიზოლირებელი ფენის პერიოდული დარღვევა ხდება. ამრიგად, მექანიკური ზემოქმედებით შესაძლებელია ანოდიდან ლითონის მოხსნა ვაწარმოოთ ნებისმიერად, ჩვენი სურვილისამებრ. ეს პრინციპი საფუძვლად დაედო მჭრელი იარაღების აღსვეის ანოდურ-მექანიკურ წესს.

სქემა ჩარხისა, რომლითაც სწარმოებს საჭრისების ანოდურ-მექანიკური ალესვა, მოცემულია მე-3 ნახ-ზე.

მუდმივი დენის უარყოფითი პოლუსი მუსისა და
რგოლის საშუალებით შეერთებულია სწრაფმბრუ-
ნავ ლითონის ღისკოსთან, დადებითი პოლუსი კი—
გადასალეს საჭრისთან.

საჭენიდან საჭრისსა და დისკოს შორის ისხმება
სითხე — ელექტროლიტი. ბრუნვის დროს დისკო
ტიორსული ზედაპირით ჰერიოდულად აზღვევს
საჭრისის ზედაპირზე წარმოქმნილ მაიზოლირე-
ბელ ფენას და, ამრიგად, საჭრისის ზედაპირიდან
თანდათანობით მოიხსნება გარკვეული სისქის ფე-
ნა. დისკოს დაწოლა მაიზოლირებელ ფენაზე უზ-
რუნველყოფილია ზამბარის საშუალებით. В ჭი-
ჭიკით სწარმოებს დაწოლის ძალის რეგულირება.

დისკო მჭიდროდაა დამაგრებული ჩარხის შპიც
დელზე, რომელიც ბრუნვას ელამზრავიდან იღებს.
ოვედური გადაცემის საშუალებით (სქემაზე ნაჩვე-
ნები არ არის).


რეოსტატის R_1 , R_2 , R_3 და R_4 წინაღობებით
იცვლება მულმივი დენის პარამეტრები (ძალა და
შაბვა), რაც აუცილებელია ანლურ-მექანიკური
პროცესის რეჟიმის ცვალებაღობისათვის.

ანოდურ-მექანიკური პროცესი სწავლობებს სამი რეჟიმით: დამყვანი, სახეხი და ამგლეჭი რეჟიმებით.

ღამყვანი რეფიმის დროს ანოდიდან ლითონის
მოხსნის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს.
სამაგიეროდ ზედაპირი სუფთა გამოდის. სახეზი და
ამგლეჭი რეფიმების დროს წარმადობა საგრძნობ-
ლად იზრდება, სამაგიეროდ უარესდება ზედაპი-
რის ხარისხი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცე-
მულია სამივე ამ რეფიმისათვის დამახასიათებელი
ელდენის პარამეტრები, წარმადობა (ანუ ერთ
წუთში მოხსნილი ლითონის ფენის სისქე) და ალე-
სილ ზედაპირზე ბორცვების სიმაღლე მიკრონებში
(μ), რაც ზედაპირის სიგლუვის დამახასიათებე-
ლია.

რეჟიმი	დენის ძაბუ- გოლტო- ბით	დენის ძა- ლა ამპე- რებით	მოხსილი ფენის სისქე ² მმ/ჭურში	ზედაპი- რის სი- გლუვე μ
ამგლუჯი	$18 \div 20$	$40 \div 45$	$0,5 \div 2$	$2,5 \div 6,4$
სახეხი	$17 \div 19$	$20 \div 30$	$0,3 \div 0,5$	$0,5 \div 2,5$
დაშვენი	$10 \div 14$	$2 \div 4$	$0,03 \div 0,06$	$0,13 \div 0,5$

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროცესის მიმღინა-
რებაზე ძირითადად გავლენას ახდენს დენის ძა-
ლა. ღამყვანი რეჟიმის დროს დენის ძალა მცირება
და ლითონის ფენის მოხსნა ანოდის ზედაპირიდან
ჭრამოებს ელექტროქიმიური რეაქციით. სახეზი
და ამგლეჭი რეჟიმების დროს, დენის ძალის სიმ-
კრივის საგრძნობი ზრდის გამო, დისკოს და საჭ-
რისის ზედაპირის ბორცვების კონტაქტის ადგილ-
ზე დიდი სითბო გამოიყოფა, რის შედეგად საჭრი-
სის ზედაპირის ბორცვები ლლვება და შბრუნვი



696. 3

დისკოს მეშვეობით სცილდება საჭრისს. ვინაიდან კონტაქტის ხანგრძლივობა ძალიან მცირება, ამიტომ სითბო ვერ ასწრებს საჭრისის სიღრმეში გავრცელებას. ელექტროდენის პარამეტრები და დისკოს წრიული სიჩქარე ისე უნდა შეირჩეს, რომ გალობილი ფენის საჭრისიდან მოცილების სიჩქარე არ ჩამორჩებოდეს მისი წარმოქმნის სიჩქარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სითბო საჭრისის სიღრმეში გავრცელდება და მივიღებთ არასასურველ შედეგს. დამყვანი რეჟიმის დროს სითბურ მოვლენებს ადგილი არ აქვს, დისკოს წრიული სიჩქარე იცვლება $8 \div 12$ მ/წმ-ში. დისკოს დაწოლა ასალეს იარაღზე რეკომენდებულია $0,4 \div 0,8$ კმ/სმ²-ის ფარგლებში.

ამაღლები რეჟიმის რჩოს ელტროფში თანმიმდევრობით ჩაირთვება წინაღობა $R_1 = 0,05$ ომი*.

სახის რაოდიმის რჩოს წრედში ჩაირთვება წინაღობა $R_2 = 0,25$ ომი. ამყვანი რეჟიმის დროს წრედში მიმღებრობით ჩართავენ წინაღობას $R_3 = 1,8$ ომი და პარალელურად $R_4 = 3,6$ ომი.


ათავარაგის სჭირდება მუდმივი დენის გენარატორი ნომინალური ძაბჯით $E_{ნომ} 24-25$ ვოლტი და მაქსიმალური დენის ძალით $I_{მაქ.} = 50$ ამპერი.

ელექტრონაპერშეკლით ალესია ანოდურ-მექანიკური ალესისაგან იმით განსხვავდება, რომ: 1) ელექტრონაპერშეკლით ალესისათვის არ გვირდება სპეციალური შემაღენლობის სითხე (ელექტროლიტი), მის ნაცვლად იხმარება თხევადი დიელექტრიკი, მაგალითად, სამანქანო ან სატრანსფორმატორო ზეთი; 2) ელექტრონაპერშეკლით ალესი დანადგარის ელექტრულ წრედში პარალელურად ჩართულია კონდენსატორების ბატარია (ელექტრობის დამაგროვებელი); 3) ელექტრონაპერშეკლით ალესის დროს საჭრო არ არის კათოდის დაწოლა ანოდზე.

ელექტრონაპერშეკლით ალესის სქემა ნაჩვენებია მე-4 ნახ-ზე. დანაღვარი შემდეგ პრინციპზე მუშაობს: მუდმივი დენის წრედში თანმიმდევრობით ჩართულია რეოსტატი (წინაღობა), ხოლო პარალელურად სხვადასხვა ტევადობის კონდენსატორების ბატარია. მბრუნავი დისკო წარმოაღვენს კათოდს, ასალესი საჭრისი კი — ანოდს.

გარევეულ პერიოდებში (რაც დამოკიდებულია კონდენსატორის ტევადობაზე და ელდენის პარამეტრებზე) სწარმოებს კონდენსატორების ელექ-

ტოობით დამუხტივა და მათი განტერიფიციანულია. ეს მომენტი აღინიშნება ნაპერშეკალით, რომელიც ანოდიდან კათოდზე გადახტება. ელექტრონაპერშეკალის თან ახლავს ანოდის ზედაპირიდან ლითონის მცირე ნაწილაკების მოწყვეტა, რომელთაც ჩამოლექავს საქმენიდან დასხმული ზეთი.



ნახ. 4

ამოგლეჭილი ლითონის მარცვლების სიღიდე დამოკიდებულია ელექტრული მუხტის სიღიდეზე, ხოლო დროის ერთეულში ამოგლეჭილი მარცვლების რაოდენობა — კონდენსატორების განმუხტვის სიხშირეზე. მაშასადამე, აქაც შეიძლება გვექნეს მუშაობის ამგლეჭი, სახესი და დამყვანი რეჟიმები, თუ სათანადოთ შეცვლით ელდენის ძალას ($E_f - \text{წინაღობის } \dot{\phi}$ გზით) და კონდენსატორის ტევადობას.

საკაშირო საინსტრუმენტო კვლევითი ინსტრუმენტის მიერ გამოცდილი ამლესი ჩარხის ელექტრულ სქემაში კონდენსატორების ტევადობა $0,25$ -დან 450 მიკროფარადის ფარგლებში იცვლება, დენის ძალა $J = 0,5 - 25$ ამპერამდე, ძაბვა $110 - 220$ ვოლტამდე.

ზემოხსენებული ორი მეთოდი, მიუხედავათ იმისა, რომ მათ სულ 4-5 წლის ისტორია აქვთ, პრაქტიკულად უკვე გამოყენებულია მჭრელი იარაღების ასალესად მანქანათმშენებელ ქარხნებში.

მაგრამ მათი მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო იარაღების ალესით. ლითონის დამუშავების ელექტრულ მეთოდებს ფართო პერსპექტივები აქვთ. ამ მეთოდების შემდგომი განვითარებით შეიძლება შეცვლილ იქნას ლითონის ყველა სახის მექანიკური დამუშავება და წარმატებით (მარტივად) გადაწყვდეს მანქანათა ნაწილების დამზადების მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პრობლემები. გარდა ამისა, საგრძნობლად გამარტივდება ლითონის დამმუშავებელი ჩარხების კონსტრუქცია და კინემატიკა.

* ომი — ელექტრული წინაღობის საზომი ერთეული.

გულმივი მზრალობა

შოთა რევოლუციის მეცნიერებათა კანდიდატი

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი

1. მზრალობის ზოგიერთი ნიშანი

როცა მუდმივ მზრალობაზე ლაპარაკობენ, იგულისხმება ნიადაგის ან ქანის ფენა, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან ამა თუ იმ სიღრმეზე მდებარეობს და მრავალი წლის განმავლობაში უარყოფითა — ან ნულვანი ტემპერატურით ხასიათდება.

პირველი ცნობები მუდმივი მზრალობის შესახებ გვხვდება XVII საუკუნის რუსულ წყაროებში.

ღრმოთა მსვლელობაში, როგორც სამეცნიერო ექსპერიციების, ისე პრაქტიკოს ადამიანთა მიერ აზის კონტინენტის ჩრდილოეთ რაიონებში წარმოებული დაკვირვებებით გამოირკვა, რომ მუდმივი მზრალობა საკმარისად დიდათ არის გავრცელებული და მას უკავია ამ კონტინენტის თითქმის მთელი ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (იხ. რუკა).

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მუდმივი მზრალობის ფართობი 9,66 მილიონ კვ კმ შეადგინს, ხოლო მსოფლიო მასშტაბით მისი ფართობი დაახლოებით 30 მილიონი კვადრატული კილომეტრია. ქედან 14 მილ. კვ კმ-დე ანტარქტიდაზე მოდის, დანარჩენი კი ძირითადად კანადასა, ალასკასა და გრენლანდიაზე. ამგვარად მუდმივ მზრალ აღგილებს დაახლოებით მთელი ხმელეთის 25% უკავია.

გავრცელების მიხედვით მზრალობის სამ ტიპს არჩევენ:

1) ხელების დიდი ნაწილები, წარმოდგენილი მთლიანი მზრალი ფენით, 2) დიდი ფართობის ქონე მზრალი აღგილები აქა-იქ არამზრალი მონაკვეთებით და 3) მუდმივი მზრალობის კუნძულები დიდი ფართობის მქონე არამზრალ ტერიტორიაზე. ამთვან პირველი ტიპი გვხვდება აზის კონტინენტის უკიდურეს ჩრდილოეთში, ხოლო მეორე და მესამე — სამხრეთის რაიონებში.

სიღრმითი გავრცელების ხასიათის მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ მზრალობის ორი სახე: 1) ერთ-შრიუნვითი დიდი სისქის მზრალი ფენა და 2) შერებრივი. უკანასკნელ შემთხვევაში აღგილი აქვს მუდმივი და პერიოდული მზრალი ფენების მონაცვლეობას.

მუდმივად მზრალი ფენა ჩვეულებრივ უშე-

ალოდ ზედაპირზე კი არ გვხვდება, არამედ იშვება ამა თუ იმ სიღრმეზე და ზემოდან მას ფარავს ნიადაგი ან ქანი, რომელიც სეზონურად იცვლის ტემპერატურას: ზაფხულში დნება, ხოლო ზამთარში იყინება. ამ უკანასკნელს მოქმედ შრესაც უწოდებენ.

მოქმედი შრის სიმძლავრე სხვადასხვა ადგილში განსხვავებულია და მერყეობს ათეული სმ-დან რამდენიმე მეტრის ფარგლებში. როგორც წესი, იგი მეტია მზრალობის სამხრეთ რაიონებში, ხოლო მცირე — ჩრდილოეთში.


რაც შეეხება მუდმივ მზრალ ფენას, მისი სიძლავრე საკმაოდ დიდია და ცვალებადი. ასე, მაგალითად, ამდერმაში იგი უდიდესია და 274 მ აღმატება, იცუტეთში, ე. წ. შერგინის შახტში, 116 მ უღრის, იმიერბაიკალეთში — 10 მ და სხვ.

მუდმივი მზრალი ფენის ტემპერატურა სიღრმით თანდათანობით მცირდება: 2,13 მეტრზე იგი უდრის მინუს 11,18 გრადუსს, 16 მეტრის სიღრმეზე — მხოლოდ მინუს სამს.

მუდმივი მზრალობა ბუნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო მოვლენაა, დამახასიათებელი ჩრდილოეთის მხარეებისათვის. მის შესწავლას ჩვენს სამშობლოში დიდი უყრადღება ექვევა, რადგან მისი გავლენა ადამიანის საქმიანობაზე მეტად საგრძნობია და მრავალმხრივი.

მუდმივი მზრალობა თავს იჩენს ბუნებრივი პირობების ყაველგარი შეცვლისას. ასე, მაგალითად, უბრალო ბილიკი, გაყვანილი თოვლიან ზედაპირზე, ამკვრივებს რა უკანასკნელს, აძლიერებს ამ აღგილზე ნიადაგის გაყინვას და შეიძლება გახდეს „ნალედის“* გაჩენის მიზეზი. მიწაში ჩასობილი ტელეგრაფის ბოძები, მზრალი აღგილის ზედაპირული ფენის გაყინვა-გალლობისა და ამასთან დაკავშირებით ამ აღგილის ამობურცვის გამო, შეიძლება 2—3 წლის განმავლობაში ამოვარდნენ. ერთი და იგივე აღგილზე რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებული მოხვნა შეიძლება ამ აღგილის დაჭაობების ან ტბის გაჩენის მიზეზი გახდინის უქონლობას.

* ბუნების ეს მოვლენა საქართველოში ცნობილი არაა. ამით უნდა აიხსნას „ნალედის“ შესტუკის ქართული ტერმინის უქონლობა.



სსრკ პერიოდურიაზე გავრცელებული მუდმივი მზრალობის ხედიალური რუკა

1—ხმელეთის დიდი ნაწილები, წარმოდგენილი მთლიანი მზრალი ფენით; 2—დიდი ფართობის მზრალი ადგილები არა-მზრალი მონაკვეთებით; 3—მუდმივი მზრალობის კუნძულები დიდი ფართობის არამზრალ ტერიტორიაზე; 4—მუდმივი მზრალობის საზღვარი; 5—მუდმივი მზრალობა მხოლოდ ტორფიანი ჭაობის ბორცვებში.

დეს, რადგან მოხვნა აძლიერებს ნიადაგში სითბოს გავრცელებას სიღრმით, რასაც შედეგად მოსდევს ყინულის გალღობა.

მუდმივი მზრალობის პირობებში მეტად თავისებურია მიწის სამუშაოებიც. ზამთრის პერიოდში გრუნტის დამუშავება, მისი დიდი სიმკვრივის გამო, ძნელია, ზოგჯერ ფეთქებადი ნივთიერების გამოყენების გარეშე თითქმის შეუძლებელია, ხოლო ზაფხულში ზედაპირული ფენა ლღვება და ძლიერ ტალახდება, რაც აძნელებს ტრანსპორტის ან ადამიანის მოძრაობას. არის შემთხვევები, როცა მზრალ ადგილებში აგებულ შენობებს რამდენიმე წლის შემდეგ დაგრევის საშიშროება ემუქრება, თუ წინასწარი ზომები არ იქნა მიღებული.

აი ზოგიერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუდმივი მზრალობის ადგილებში.

ერთ ქარხანაში ააშენეს ჩვეულებრივი პურის საცხობი ღუმელი. ერთი წლის შემდეგ ღუმელმა დაიწყო მიწაში „ჩაძირვა“ და ჩქარა იატაკვეშ მოექცა. რა თქმა უნდა, საჭირო გახდა ახალი ღუმელის აშენება. დაძირული ღუმელი საძირკვლად გამოიყენეს და მასზე ახალი დააშენეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ეს უკანასკნელიც „დაიძირა“. იძულებული გახდნენ აეგოთ მესამე ღუმელი. რამ გამოიწვია ეს მოვლენა? იმან, რომ ღუმელის ქვეშ არსებობდა ყინულის საკმაოდ მძლავრი ფენა, რომელიც სითბოს გავლენით თანდათან დნებოდა, |

ხოლო ღუმელი მზრალი ფენის გადნობის შედეგად გაჩენილ ატალახებულ მასაში იძირებოდა.

1936 წ. ზამთარში შორეულ აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურ სკოვოროდინოში ერთ-ერთ ბინის სარდაფუში კარტოფილის შესანახად ამოთხარეს ორმო, საიდანაც მოულოდნელად დიდი სიმძლავრის წყალმა დაიწყო დენა. წყლის დინება ცეთი სწრაფი იყო, რომ მობინადრეებმა სახლიდან მხოლოდ მსუბუქი ნივთების გატანა მოასწრეს.

მუდმივი მზრალობის ადგილებში პატარა მდინარეები ჩვეულებრივ ფსკერამდე იყინება, მაგრამ მათში წყლები ამა თუ იმ გზით მაინც ჩადის. საღუნდა წავიდეს ამ შემთხვევაში წყალი? მზრალი ფენის არსებობის გამო იგი სიღრმეში ვერ მიუნავს, გაყინული მდინარის ზედაპირზე მიეღინება და უსწორმასწორო სახეს აძლევს მას. გადმოდინებული წყლის ნაწილი ფარავს მდინარის სანაპიროებს, იყინება იქ და წარმოშობს ე. წ. მდინარეულ „ნალედს“, რომელსაც იყუთეთში, გრუნტის „ნალედებისაგან“ განსხვავებით, სპეციალურ სახელს — „ტარინებს“ უწოდებენ.

უკანასკნელთა წარმოშობა მდინარეული „ნალედების“ მსგავსია, განსხვავება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უშუალოდ იკვებებიან მზრალობის ადგილებში გავრცელებული მიწისქვეშა წყლებით და ჩვეულებრივ მდინარის ხეობის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ. „ნალედის“ ბორცვების სიმაღლე ზოგჯერ რამდენიმე მეტრს აღწევს (იხ. ნახ. 2).

2. მზრალობის წარმოშობა

მზრალობის წარმოშობის საკითხის გამორჩევას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მკვლევართა შორის მიღებულია აზრი, რომ ბუნების ეს ფიზიკური მოვლენა მეტად მჭიდრო კაშირში იმყოფება მხარის კლიმატურ თავისებურებებთან, რომელთაგან განსაკუთრებით ხელშემწყობია: 1) ცივი, მცირეთოვლიანი და ხანგრძლივი ზამთარი, 2) მოქლე და გრილი ზაფხული და 3) ნალექების მცირე რაოდენობა წელიწადის ყველა დროში.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მხოლოდ მეორე საკითხში: მზრალობა თანამედროვე კლიმატის შედეგს წარმოადგენს, თუ იგი წარმოშობილია წარსული პერიოდის კლიმატურ პირობებში.

ერთნი ამტკიცებენ, რომ მზრალობა თანამედროვე ჰავის შედეგია, მეორენი კი მას წარსული, უძველესი დროის პროდუქტად მიიჩნევენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ფაქტები უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობენ. ასეთ ფაქტთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მზრალობის ადგილებში ნაპოვნი ცხოველების — მამონტების, მარტორქებისა და მუსკუსიანი ხარების გვამები, რომელთაც შერჩენილი აქვთ არა მარტო ჩონჩხი, არამედ გაუხრჭელი რბილი ნაწილებიც. ასეთი ნაშთები დღემდე თითქმის 30-ია ნაპოვნი მეტწილად მდ. ენისეისა და კოლიმას შორის მდებარე ადგილებში, ახალი ციმბირის კუნძულებსა და ჩრდილო სიგანედის 54°-ს შორის. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ 1) მზრალობას ადგილი ჰქონია ჯერ კიდევ მაშინ, როცა მა-

შონტები და მარტორქები ბინადრობდნენ აზითური კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში და 2) მზრალობა მას შემდეგ განუწყვეტლივ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდლამდე შეიძლება შემორჩენილყო დაღუპული ცხოველების მხოლოდ ჩოხჩი და არა ძთლიახი სხეული, ოძელთა რბილი ხაზილები ისე კარგადაა შეხახული, რომ მრავალი ათეული ათასი წლის ხანდაზოულობის მიუხედავათ მას გარეული ცხოველები ამჟამადაც სიამონებით მიირთმევენ (იხ. ნახ. 1).


რაღგან მკვლევარები ციმბირის მამონტებისა და მარტორქების არსებობას შეითხეულის გაყინვარების პერიოდს მიაკუთხებენ, აქედან ციადია, რომ მუდმივი მზრალობაც დაახლოებით ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს.

არსებობს სხვა ფაქტიც. ხშირად მუდმივი მზრალობის ზედაპირი ნაპოვნია ისეთ სიღრძეზე, სადაც ზამთრის დაბალი ტემპერატურა ვერ აღწევს. ასეთ აღგილებში ზამთრის პერიოდში ხიადაგის ას ქანის ტედაპირული ფენა გაყინულია რადებიდე ძეტრის სიღრძეზე, ხოლო ქვეძოთ მას მოსდევს არააზრალი ჰორიზონტი, რომელიც თავის შხრავ ფარავს მუდმივი მზრალობის მძლავრ ფენს. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგეხდეს წარსული მზრალობის ნაჩენს. სხვათა შორის, ეს ფაქტი იძაზედაც მიუთითებს, რომ თანამედროვე ხახაში მუდმივ მზრალი ადგილები თანდათანობით შემცირებას უნდა განიცდიდენ. მზრალობის დეგრადაციაზე მიუთითებს აგრეთვე ქ. მეზენის მიდაძოებში ამ ასიოდე წლის წინათ არსებული მუდმივ მზრალი ფენის გაქრობა და მისი ჩრდილოეთი გადანაცვლება 40 კმ-ზე და აგრეთვე მდ. ვილიუს უზში (მდ. ლენის ბაზცხენა შენაკადი) მრავალრიცხვანი პატარა ქვაბურების არსებობა. ამ ქვაბურების წარმოშობა მუდმივი მზრალობის ფენის გალლობასა და მის ზემოთ მყოფ მფარავი ნიადაგის ან ქანის ჩაქცევასთანაა დაკავშირებული.


3. მზრალი ადგილების ათვისება

საბჭოთა კავშირში შექმნილია მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (მათ შორის მზრალობის მცოდნეობის ინსტიტუტი), რომლებიც აწარმოებენ მუდმივი მზრალობის სისტემატურ შესწავლას, ამუშავებენ სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს ბუნების ამ არასასიამოვნო მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ მხრივ გარევეული წარმატებებია მოპოვებული საგზაო და სამშენებლო საქმეში. ასე, მაგალი-



ნახ. 1. მამონტის გაყინული გვამი, ნაპოვნი ციმბირში, მდ. კოლიმას აუზში. ზორთუმის ბოლო ძალლების მიერ არის შემშლი.



ნახ. 2. გრუნტის „ნალედის“ ბორცვი.

თად, ხშირად მზრალობის ადგილებში არსებული გზების გასწრივ ჩნდება „ნალედები“, რომლებიც დიდათ აბრკოლებენ და ზოგჯერ შეუძლებელსაც კი ხდიან მიმოსვლას. საბჭოთა მეცნიერების მიერ შემუშავებული მეთოდების საფუძველზე ამჟამად შესაძლებელია „ნალედების“ გადაყვანა ერთი აღგილიდან მეორეზე.

მზრალი გრუნტი ერთი მხრივ კარგ ადგილს წარმოადგენს ყოველგვარი შენობისათვის, რადგან იგი კლდესავით მკვრივია სანამ გაყინულ მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავათ ამისა, მშენებლობა ასეთ აღგილებში გარევეულ საშიშროებასთანაა დაკავშირებული, რადგან აქ აშენებული ნაგებობა დაფურმაციას განიცდის, კედლები სკდება და

ზოგჯერ სრულად ინგრევა. ამიტს ძირითადი მიზეზია შენობის სხვადასხვა: წარმოადგინდება წილის არათანაბარი გათბობა. სითბო კედლების საშუალებით გადაეცემა საძირკველს, ალლობს მზრალ გრუნტს და კედლელი დაბლა იწევს. ასეთი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ამჟამად ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სახის თბოიზოლატორებს, რომელთა შენიშვნელოვანია ნაწილმა გაამართლა თავისი დანიშნულება.

ყოველწლიურად იზრდება მზრალ რაიონებში არსებული ათვისებული ფართობი, რაშიაც საპატიო როლი საბჭოთა მიჩურინელებს მიეკუთვნება: მათ მიერ გამოყვანილი ხორბალი და საბოსტნე

კულტურები ამჟამად იმიერპოლარეთშიაც კი ხარობს ლია გრუნტზე.

მუდმივი მზრალობის რაიონების ათვისებას უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. აქ საკმარისად მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება (ოქრო, ქვანახშირი, ბოლიმეტალები, ხე-ტყე და სხვ.), რომელთა გამოყენება კიდევ უფრო შეძლებულსა და მძლავრს გახდის ჩვენს დიად სამშობლოს.

მართალია, ყერ კიდევ მრავალი საიდუმლოება, არის გამოსარკვევი მზრალობის შესწავლასთან დაკავშირებით, მაგრამ ეჭვი არაა, რომ საბჭოთა მეცნიერები ახლო მომავალში ამ ხაზითაც წარმატებით გადაჭრიან მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.



საიუგილეო ასტლა იალგუზე

დოცენტი რთა გიგინიშვილი

ექსპედიციის ხელმძღვანელი, ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი

იალბუზის მწვერვალი ჭერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იძყრობდა მთამსვლელთა ყურადღებას, მაგრამ მასზე ასევე მხოლოდ ერთეულებმა შესძლეს. ძირითადი სიძნელე, რომელიც მთამსვლელებს ხვდებოდათ იალბუზზე ასევის დროს, ეს მისი დანაპრალებული ყინულოვანი ფურდები და მწვერვალის დიდი სიმაღლე იყო. იალბუზი წარმოადგენ გიგანტურ უულყანურ კონუსს და კავკასიონის წყალგამყოფ ქედს ჩრდილოეთით უდგას. იმავე დროს იალბუზი კავკასიონის უდიდესი გამყინვარების ჩაითვა. საკმარისია აღნიშვნოთ, რომ მასი კალთებიდან ეშვება 22 ყინულის მდინარე (ყინვარი), აქვე იღებენ თავის სათავეებს მდინარეები: ბაქსანი, ყუბანი და მალა.

იალბუზის აღმოსავლეთის მწვერვალის სიმაღლე ზღვის დონედან 5569 მეტრს უდრის, ხოლო დასავლეთისა 5629 მეტრს, ივი ევროპის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს. ალპების უმაღლეს მწვერვალს მონბლანს იალბუზის აღმოსავლეთის მწვერვალი 759 მეტრით აღემატება, ხოლო მყინვარ-


წვერს 524 მეტრით. ამიტომ გასაგებია ის დიდი სპორტული ინტერესი, რომელსაც იალბუზი მთამსვლელთა შორის იწვევს. საბჭოთა ხელისიფლების პარობებში, როდესაც მძლავრი გასაქანი მიიღო მასობრავმა ალპინიზმმა, იალბუზი უკვე მრავალმა მთამსვლელმა მოინახულა. საბჭოთა ალპინიზმის პიონერები სტალინის სახელმძღვანელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მასწავლებლები იყვნენ. ჩვენს უნივერსიტეტში პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ შექმნა საბჭოთა კავშირში პირველა ალპური სექტა და მთაწყო პირველი საბჭოთა ასევე მყინვარშვერზე 1923 წელს, რაც საბჭოთა ალპინიზმის ჩასახვის თარიღად იქცა, ხოლო 1925 წელს მოეწყო ექსპედიცია იალბუზზე. მასში, ისევე როგორც მყინვარშვერის ექსპედიციაში, ძირითადათ მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტობა. მათ შორის იყვნენ შემდეგში სახელმოხვევლით ქართველი მეცნიერები: აკად. ნ. კეცხოველი და პროფ. ლ. ყანჩაველი. მწვერვალს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მაღლია 19 კაცმა, მათ შორის იყო 5 ქა-



ნახ. 1. თერსკოლის ყინვარზე.

ლი. ესენი იყენებს პარველი ქალები მსოფლიოში. რომელიც უცს აეს ფეხი იალბუზის მწვერვალზე. ამის შემდგომ სწრაფი გითარება საბჭოური ალპინ იშმას საბჭოთა მთამსვლელები იპყრობენ კავკასიონის უძნელეს მწვერვალებს უშბას, დაბ-თაუს, ყოწთა-თაუს, მიუირგის და სხვ.

მიმდინარე წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპუ-მა სექტიამ გადასწყვიტა იალბუზე პირველი ს. ბჭოთა ასკონის ღირსშესან-უნავი თარიღი ღირჩება მის მწვერვალზე მასობრივა ასკლით. ამ მიზნათ მოწყობილ იქნა ექსპედიცია, რომ ერთი თბილისიდან გაემგზ ვრა 17 ივნისს. ძაუ-ჯიფუზზე და ნ. ლჩი. ზე გვლით 20 ივნისს ექსპედიცია ჩაიიდა სოფილ ფიშვნ-რში, რომელიც ბ. ქსანის ლამაზ ხერ ბაზი მდებარეობს და ადმინისტრაციულად წერტილების რაიონს ექიმიდებარება. აქ მოვაწყვეთ მცირედი წესრიგება და 21 ივნისს, გავიარეთ რა თწრსკოლო. წერტილი იალბუზის ფერდებს. ზღუმებისა გადავადებით თერსკოლის ყრაარს. აქ დაინისადგრიგოთ. სულ რაღაც ოციოდე წუთის განმავლობაში მცირე მოედანზე კარგების ქალაქი გაიზარდა. შემდეგ დღეს გავედით თერსკოლის ყინვარზე და ფრთხილად დავიწყეთ მძრაობა თერთმეტის თავშესაფრის შიმართულებით. ყინვარზე სიარული დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ვინაიდნ ყინვარის თოვლით დაფარულ ნაპრალებში შეიძლება ყოველ წუთს გადაიჩეხოს გაუფრთხილებელი მთამსვლელი. სამიოდე საათის სიარულის შემდგომ მივაღწიეთ იალბუზის მწვერვალების გასწრივ კლდეებში აშენებულ შენობას. ეს თერთმეტის თავშესაფარია. სიმაღლე ზღვის დონედან 4200 მეტრია, ე. ი. ჩვენ ახლა კავკასიონის ბერ მწვერვალზე უფრო მაღლა ვართ. აქედან იშლება შესანიშნავი ხედი კავკასიონზე. ჩვენს წინ არიან მრისხანე უშბა და შეხელა, ცისკენ ატყორცნილან შტაულერი და ცალგმილი, აღმოსავლეთით სჩანს ბუმბერაზი დიხ-თაუ. დილხანს ვიდექით ამ ზღაპრული სილამაზით მოჯადოებულნი. მხოლოდ სიცივემ გამოგვაფხილა. იალბუზის მწვერვალიდან მძლავ-



ნახ. 3. აზაუს ყინვარის ნაპრალებში.

რად დაბერა ყინულოვანმა ქარმა და თერთმეტის თავშესაფრაც უმალ ნისლებით შეიძურა. შენობას შევაფარეთ თავი. ახლა აქ მეტეოროლოგიური საღუზრა გამართული და რამდენიმე ოთახი მთამსვლელთათვის არის განკუთვნილი. აქ უნდა დავრჩეთ რამდენიმე დღე აკლიმატიზაციისათვის, რათა ჩვენი ორგანიზმი შეეწიოს უკანგადის ნაკლებობას. აშლევებს კი ვიყენებთ სამეცადინოთ: ვასწავლით წრიაპებით სიარულს. ნაპრალებზე გადასვლის, კლდეზე მოძრაობის წესებს. ღამ-ღამობით ძლიერ ცივა, ყინვა 20 გრადუსს აღწევს. სიცივე საძილე ტომჩებში ატანს. ხშირად გვალყებს თავის ტკივილი — იგრძნობა უკანგადის ნაკლებობა.

ასელა დავნიშნეთ ღამით 25-დან 26-ს ივნისს. საღამო წყნარია, მხოლოდ ბაროგრაფი იწევს ქვევით. ეს ცუდი ამინდია ნიშანია. ცხადია, ყველა ღელაგს. ღამის ათ საათზე მწვერვალისაკენ გავიდა სპირტულ საზოგადოება „ლოკომოტივის“ ჯგუფი 4 კაცის შემადგენლობით. 12 საათისათვის კი ჩვენ ყველანი სრულ საირიშო კაზმულობით თავშესაფრის წინ დავწყვეთ, მაგრამ გარემო უკვე ნისლები უკიდურეს განვითარებული, რომლმაც წამოგვაყარა და უცდად ძლიერმა ქარმა ჩამოსუბერა ყინულის ველებს. ამინდი სწრაფად უარესდებოდა. მწვერვალისაკენ გასვლა შეუძლებელი შეიქნა. დალვრემილები ისევ ჩვენს ბინას ვუბრუნდებით, მაგრამ წინ წასული ჯგუფი უთუოდ განსაცდელშია. სწრაფად ვემნით ინსტრუქტორთაგან მაშველ ჯგუფს, რომელიც, ქარბუჟის მიუხდევად გამოგვაეს სირენა, ვინიდან მეტეორსადგურის შუქურა ვერ ატანს სქელ ნისლში. სამი საათის ძებნის შემდეგ ლოკომოტივები აღმოვაჩინეთ აზაუს ყინვარის ნაპრალებს შორის, მთ გზა აძნეოდათ და უთუოდ დიდი ხიფათი მოედოდათ. ჯგუფი შევიდობით უკან დავაბრუნებოდ.



ნახ. 2. ასელის წინ 11-ის თავშესაფარზე.

აღმიანიც აღარ სჩანს. ქარიც მთელი სიძლიერით უბერავს უკეთესი დარი არც 27 და არც 28 ივნისმა მოგვიტანა. იალბუზის ახასიათებს ე. ჭ. მიკროკლიმატი: შესაძლებელია მთელს კავკასიონზე შესანიშნავი დარი იდგეს, იალბუზზე კი აედარი იყოს. მაგრამ ამჯერად აედარი მთელ დასავლეთ კავ-

გაველით უნაგირაზე, რომელიც ნამდვილ ხეობას წარმოადგენს იალბუზის აღმოსავლეთ და დასავლეთ მწვერვალს შორის. გავიარეთ უნაგირა და გაღავადებით ჩრდილო-კავკასიის უნაპირო ტრამალებს. ეს კასპერებთ რამდენმეტ ამხანაგს მოერია მთის აგადმყოფობა: ზოგს ზეჟურად ეძინება და შა-



ნაზ. 4. ბანაკი 3400 მეტრის სიმაღლეზე.

კასიონს მოედო. იმედათ მჩოლოდ ბაროგრაფი გვაქმნა. 28 ივნისს მან ოდნავ ზევით აიწია, გამოდარების იმედი მიანცა არის.

დაღმითა, ქარმა თკლო. შიუქედავათ კატეგორიულ ბრძნებისა, რომ სალამის 5 საათისათვის ყველას დაეძინება, თვალი არავის მოუხუჭია. ეს გასაგებიცაა. ღლავენ, საძილე ტომჩერებში სიწოლოლები დარის იმედით სულ გარეთ იცირებიან. დამის ათი საათია, გარეთ გავდივარ, ნისლებში ნათელი წადგა, საღლაც მთვარის შუქი არანს, მშე ნისლი იფანტება. მგრამ ყინვა კი ძლიერია — 200-სს აღწევს. მეთორჩეტე საათია, ცა მთლიანად გადაიწმინდა, მკაფიოდ გამოჩენდა იალბუზის მწვერვალი. გადავწუვიტეთ იერიშის დაწყება. თორმეტს წუთი უკლდა, როდესაც სრული შემაღენლობით დაგროვეთ თერმეტის თავშესაფარი. გეზი პასტუხოვის ნაბინარისკენ ავილეთ. ასე ეწოდება უკანასკნელ კლდეებს მწვერვალის გზაზე, სადაც თავი შეაგრარა ცნობილმა რუსმა ტოპოგრაფია პასტუხოვმა იალბუზზე ასვლის დროს. გზის მონაცემი პასტუხოვის ნაბინარამდე ძნელი არ არის. აქედან კი იწყება გზის ყველზე უფრო ძნელი და სახიფათო მონაცემი. იალბუზის დაქანებული ყინულოვანი ფერდი ირჩია უნდა გადავსეროთ უნაგირას მიმართულებით. დაქანება ადგილ-ადგილ 55—600-სს აღწევს. გვხდება წმინდა ყინულოვანი უბნები, მაგრამ კველას წრიაპები აქვს გაკეთებული და საიმეოროთ ვიჟერთ თავს. უნაგირასთან შეგვათენდა. ერთ-დროულად მოვარე ჩავიდა და მშე მოღიოდა. აქ დავინახეთ მეტად იშვიათი და ლამაზი სურათი: ცაში დასავლეთის მიმართულებით გადაწევა იალბუზის უზარმაშარი, მჩაგალ ათეული კილომეტრის სიგრძის ჩრდილი და იალბუზის სალუგრი მკვეთრად ამოიკვეთა ცის ტარნობზე. ასე იყო რამდენიმე ხანს, სანამ მჩემ ზევით არ წამოიწია.

თი იშალურის სსნარია გაღიძიება გვინდება. ერთს ცენტრიდნ სისტემის დენა დაწყო, ზოგი კი საშანელ თავის ტკივილს უჩივის. მაინც სიმზნეებს არავინ ჰერგავს. რამდენმეტ, რომელნიც ძალიან ცუდათ გრძნობდნენ თავს, გაბრუნებთ, დანარჩენები კი გავდივართ იალბუზის აღმოსავლეთ მშვიდრალის ჩრდილოეთ ფერზე და გაწყებთ უკანასკნელ აღმართს. გმოძრაობთ მეტად ნელა, იცილობთ არ გააგეთოთ არც ერთი შემდეგი მოძრაობა. ჩანგბადის ნაკლიმბინის დროს ყოველი ნაბიჯი მძიმე ტენი ჩთად აწევის გული!“


დოლის „ათ საათს“ და ზელონი შუთე ფიზი შეგდილი იალბუზის მწვიდრალზე. დამარჯვება მიღწეულია. ყველანი

ერთმანეს ვულოცავთ. შესანიშნავად იშვიავეს ჩვენშია ინსტრუქტორებმა ო. კაპანეგმ, გ. კვაჭაძეგმ, დ. ყანდარელმა, ა. ქაგთარაძეგმ, ო. ძიმისტარაშვილმა, თ. ახმეტელმა და თ. შატბერაშვილმა. 26 კაცმა შესდგა ფეხი იალბუზის მწვერვალზე. ჩვენს შორის არან იუბილიარებიც — მარო ბევენიშვილი და მარო ტყავაძე, რომლებიც იყვნენ იალბუზის მწვერვალზე ამ 25 წლის წინათ და ახლაც ახალგაზირდული ენერგიით გვერდში ამოუღენენ ჩვენს სტუდენტებს.

ვხსნი იალბუზზე პირველი საბჭოთა ასვლისადმი მიძღვნილ საუბილე სხდომას. ამოსულთ ვულოცავ გამიარევებას. უნივერსტეტის რექტორის, ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტის და საქართველოს ალბური კლუბის პრეზიდიუმის სახელით, მოკლედ ვახასიათებ განვლილ 25 წელს. განვლილ წლებს იგონებს ჩვენი იუბილიარი მარო ტყავაძე. შემდეგ სიტყვას იღებენ დელეგატები: ალექსანდროვი—მასკოვის აღმოსავლეთმკოდნების ინსტიტუტიდან, მოლანივი — ლენინგრადის უნივერსიტეტიდან და ერინი—სპორტსაზოგადოება „ბოლშევკიდან“. მათ გაიგეს ჩვენს საიუბილეო ასვლის შესახებ და თერთმეტის თავშესაფარში შემოგვიერთდნენ. სხდომა დამთავრებულია. მწვერვალზე ვტოვებთ ბარათს ჩვენი ასვლის შესახებ. უკანასკნელად ვაგლებთ თვალს კავკასიონის სპეტაკ მწვერვალებს და ვიწყებთ დაშვებას სამხრეთით. ამრიგად მოვაცდინეთ აღმოსავლეთის მწვერვალის ტრავერსი. დღის 4 საათზე კველანი თერთმეტის თავშესაფარში ვართ. ასვლა დამთავრებულია.

* * *

მიმდინარე წელს შესრულდა 25 წელი მას შემდეგ, რაც აკადემიკოს ა. ი. დიდებულიძის მეთაურობით მოწყობით შეორე სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე.



ნაჩ. 5. 11-ის თავშესაფარი.


1925 წელს მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიცია მიზნად ისახავდა მყინვარშვერის მიდამოების მყინვარების მეტეოროლოგიური პარობების შემდგომ შესწავლასა და მწვერვალის იმ ფერდობების ტოპოგრაფიულ გადაღებას, რომელიც პარავლი ექსპედიციის მიერ არ ყოფილა გადაღებული.

ექსპედიციას უნდა შეერჩია აგრეთვე ადგილი მაღალ-მთანი გეოფიზიკური ობსერვატორიისათვის. ექსპედიციაში მონაწილეობდა 6 კაცი. მათ შორის იყო ალექსი ჯაფარიძე. ექსპედიციამ მწვერვალზე კრატერის ცენტრში დაღვა მეტეოროლოგიური ბუდიურგანა, რომლის სიმაღლე 3,5 მეტრს შეადგენდა. ეს ბუდიურგანა არი წლის შემდეგ ჩაძირული აღ-

მონაწილეობის ამზიგად გამოირკვა, რომ ყინულის სიღრმე კრატერში 4 მეტრს სჭარბობდა.

აკადემიკოსმა ა. ი. დიდებულიძემ ექსპედიცია მწვერვალზე წაიყვანა სრულიად ახალი, გრე უცნობი გზით, რომელიც გერგეტის მყინვარზე აღიაღდა. ამ ახალი გზის აღმოჩენის შემდეგ მომღევნო ექსპედიციების მეტი წლით მწვერვალს გერგეტის მყინვარის გზით აღწევდა.

მაღალმთანი აბსერვატორიის ასაგებად ექსპედიციამ შეარჩია 3 მოხერხებული პუნქტი. ერთ-ერთ ამ პუნქტში მართლაც მოეწყო აბსერვატორია, რომელიც ამჟამად მუშაობს.



სურათზე ნაჩვენებია უნივერსალური კბილსალარავი ჩარხი (მოდელი 5327), დანიშნული სწორი და ხრახნული კბილების მქონე ცილინდრული თვლების საღარავად, აგრეთვე ჭია-თვლების დასახრახნავად ჭია-ფრეზის რაღიალური მიწოდებით. დასახრახნი თვლის მაქსიმალური ზომებია: დიამეტრი კონტრ-დამჭერით 750 მმ, უმისოთ — 1000 მმ; მოღული (ფოლადისათვის) 10; განი — 300 მმ; მთავარი ელექტროძრავის სიმძლავრე — 8 კვტ. ჩარხის წამყვანი კონსტრუქტორია ა. პ. კობლივი, მთავარი კონსტრუქტორი — ს. ა. მოსოლოვი.

მატარებელთა უმაღლენლოგის სიმძიმის ქალის გამოყენება

თეატრი ერევანი კუჭუბეგი

ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული ჩვენს სამშობლოში რკინიგზის ხაზები. ხაზების მთელ სიგრძეზე მოწყობილია მატარებლების გასაჩერებელი პუნქტები. ასეთ პუნქტებს წარმოადგენენ: 1) საგუშავო, 2) გადასასწრები წერტი, 3) ასჯცევი, 4) დასატვირთავ-გადმოსატვირთავი წერტი, 5) სხვადასხვა სახის სადგური.

ჩვენი წერილის მიზანია გავაცნოთ მკითხველს მატარებლის გასაჩერებელი ძირითად წერტი — სადგური და მისი რთული მეურნეობა.

მუშაობის ხასიათის მიხედვით სადგურები შეიძლება იყოს: მცირე, საშუალო და დიდი (დამხარისხებელი).

ამ სადგურებზე მუშაობა ძირითადად შეიძლება დაიყოს 2 კატეგორიად: სამგზავრო და სატვირთო სამუშაოებად.


სამგზავრო სამუშაოები და სამგზავრო მოწყობილობანი დანიშნულია მგზავრების წესიერი, უსაფრთხო და სწრაფი გადაყვანისათვის, ხოლო სატვირთო სამუშაოები და სატვირთო მოწყობილობანი — ტვირთის უდანაკარგოდ, დაუზიანებლად და სწრაფად ბრუნვისათვის.

სასოფლო-სამუშაოები, სამრეწველო, სამთამიდნო, ბრძნისტრაციულ და სხვა დიდ ცენტრებში ჩვენ გვაქვს რკინიგზის საშუალო (საუბნო) ან დიდი დამხარისხებელი სადგურები. ეს სადგურები ხასიათდება დიდი დამხარისხებელი და სატვირთო სამუშაოებით. აქ დღე-ლამის განმავლობაში თავს იყრის 200-დან — 8000-დე გაგონი. ვაგონები მოითხოვენ დატვირთვა-გადმოტვირთვას და დანიშნულების სადგურზე გაგზავნას. ამ სამუშაოების შესასრულებლად სადგურის მოწყობილობანი განლაგებულია დანიშნულების მიხედვით (ნახ. 2) და მათ მიეუთვენებული აქვს სათანადო სახელწოდებები: მიმღები პარკი, მიმღებ-გამგზავნი პარკი, დამხარისხებელი პარკი, გამგზავნი პარკი, დეპო, საგაგონო დეპო

და ა. შ. თითოეულ მათგანს აქვს ლიანდაგთა საჭირო რიცხვი და მუშაობის პირობების მიხედვით ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან (ნახაზზე ისრები გვიჩვენებენ მატარებლების მოძრაობის მიმართულებას).

ამ სქემით მუშაობა შემდეგნაირად სრულდება: მარჯვნიდან შემადგენლობა მიიღება მიმღებ პარკში, მიმღები პარკიდან კი დამხარისხებელ პარკში გადადის დასახარისხებლად. დამხარისხებელი პარკის ლიანდაგებზე ვაგონები დანიშნულებისამებრ განლაგდება. დამხარისხებელი პარკის ბოლოში გამწევი ჩიხების საშუალებით აღგენერ მატარებელს. ოუ შემადგენლობა მარცხნივ უნდა გაიგზავნოს, გზავნიან გამგზავნი პარკიდან, რაც მარჯვნივ — მაშინ გადასცემენ მიმღებ-გამგზავნ პარკს, საიდანც ისინი იგზავნებიან.

თუ შემადგენლობა მოდის მარცხნიდან, იგი მიიღება მიმღებ-გამგზავნ პარკში, გადაცემა დამხარისხებელი პარკის წინა მიმღებ პარკს, სადაც მას



ნახ. 1. რკინიგზის გადასარბენი სადგური.

ახარისხებენ ზემოთ აღნიშნული წესით. მუშაობის დანარჩენი ნაწილიც სრულდება ისე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. დასახელებული სამუშაოები სრულდება სამანევრო ორთქლამავლით, რაც იწყებს დიდ საექსპლოატაციო ხარჯებს და ვაგონთა ბრუნვის შენელებას.


სამანევრო მუშაობის სქემა (ნახ. 2) გასაგებს ხდის მყითხელისათვის, თუ რა ძნელი და რა დიდი მუშაობაა საჭირო 50-60 ვაგონის დახარისხე-

გორაკების შესახებ უფრო ნათელ წარმოდგენის იღება ნახ. 5 და 6. ვაგონების დახარისხება აქ შემდეგნაირად ხდება.

მიმღები პარკიდან შემადგენლობას უკან აწვება ორთქლმავალი და აჰეთუ გორაკის თხემამდე. გორაკის თხემზე ვაგონებს გადასხიან და გადახსნილი ვაგონი, როგორც კი თხემს გადასცილდება, დაქანებისა და საკუთარი სიმძიმის ძალით (უორთქლმავლოდ) ანვითარებს საჭირო სიჩქარეს და მიღება დამხარისხებელი პარკის სასურველ ლიანდაგზე. ამ წესით 10—15 წუთის განმავლობაში შეიძლება ერთი შემადგენლობის (60—80 ვაგონის) დახარისხება. დამხარისხებელი პარკის მხრიდან გორაკის დაქანებაზე სიჩქარის რეგულირებისათვის მოწყობილია საბურუნველი საშუალებები.

ის, რაც ზემოთ ვთქვით, ზოგად წარმოდგენას გვაძლევს სადგურების სამანევრო მუშაობაზე, დღესდღეობით ეს ძირითადად აქმაყოფილება არსებულ მოთხოვნილებას. მაგრამ ჩვენი სახალხო მეურნეობა იზრდება, წინ მიღის და რკინიგზის სადგურებს მომავალში უფრო დიდი და რთული ამოცანები ექნება გაღასაწყვეტი.


ამიტომ მუშაობა დამხარისხებელი სადგურების ტიპების გასაუმჯობესებლად განუწყვეტლივ მიმდინარეობს. უკვე არსებობს დამხარისხებელი სადგურების გაუმჯობესების მთელი რიგი წინადაღებები და პროექტები: უფროს მეცნიერ-მუშაკის ბ. ფ. ბოცმანოვისა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატ ა. მ. დოლაბერიძისა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატ ა. ს. გერასიმოვისა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ბარტენევისა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ვ. მ. გურგენიძისა. ყველა ამ პროექტის მიღები შეიფასება მიღების



ნახ. 2

ბისათვის. ჩვენს სადგურებზე კა დღედამის განმავლობაში ხარისხდება 200-8000 ვაგონი, რომელებიც სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

ამ რთული სამუშაოების უკეთ შესრულების მიზნით საშუალო სიმძლავრის სადგურებზე განახორციელეს მიმღებ-გამგზავნი პარკის, დამხარისხებელი პარკის და გამწევი ჩიხის სხვადასხვა წესით განლაგება, მაგრამ მუშაობის ძირითადი პრინციპი იგივე დარჩა. დიდ სადგურებზე, საღაც დღელამის განმავლობაში თავს იყრის 1000 და მეტი გვარი, მიმართეს ეგრეთწოდებული გორაკებისა და ნახევარგორაკების გამოყენებას. გორაკების გამოყენებამ საუკეთესო ნაყოფი მისცა რკინიგზის სადგურებს და ამის გამო მან ფართო გავრცელება მიიღო.




ნახ. 3

გორაკი წარმოადგენს მიწის ხელოვნურ ბორცვს (2-4 მეტრის სიმაღლისა), რომელიც მოთავსებულია მიმღებ პარკსა და დამხარისხებულ პარკს შორის. გორაკის ერთ და მეორე მხარეზე სხვადასხვა დაქანება აქვს (იხ. ნახ. 3).

ნახევარგორაკი წარმოადგენს ასევე ამაღლებულ ბორცვს, რომელსაც მხოლოდ ერთი მხარე აქვს დაქანებული, ხოლო მეორე პორტიზონტალურია (ნახ. 4).

ა. დოლაბერიძის, გერასიმოვის, ბარტენევისა და გურგენიძის პროექტებმა. ჩვენ მოკლედ დავახსიათებთ მათ.

უგორაკო დამხარისხებელი სადგურების გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, ა. დოლაბერიძის პროექტით ასეთ სადგურებზე უნდა აიგოს ნახევარგორაკები. ავტორის პროექტით აგებული სამანევრო მოწყობილობა 50 კაბიკით ამცირებს ერთი ვაგონის დამუშავებას და, ამგვარად, წლიურად



ნახ. 4

ათობით მილიონი მანეთის ეკონომიას მისცემს ჩვენს სამშობლოს.

გზათა სამინისტრომ მოიწონა ეს პროექტი და განსახორციელებლად გადასცა სამხრეთის რეინიგზას.

გორაკიანი დამხარისხებელი სადგურებისათვის მაღალი შეფასება მიიღეს გერასიმოვის, ბარტენოვისა და გურგენიძის პროექტებმა.

გზათა სამინისტრომ განსაკუთრებით აღნიშნა ამ მიმართულებით ვ. გურგენიძის მიერ შესრულებული შრომის ძეტუალობა და დადგენილება მიიღო ავტორის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნას სათანადო ტექნიკური პროექტი.

რაშია ამ პროექტის არსი?

ვ. გურგენიძის პროექტით, დამხარისხებელი სადგურის სამანევრო მოწყობილობა მოთავსებული უნდა იქნას დახრილ სიბრტყეზე. დახრილი სიბრტყები სამანევრო მოწყობილობის მოსათავსებლად ერთ საუკუნეზე მეტია რაც გამოიყენეს, მაგრამ მარტო ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან შემადგენლობის დახარისხებისას ლოკომოტივი განუწყვეტელ მოქმედებაში იყო და ძეტწილად უსარგებლო მუშაობის შესრულება უხდებოდა. დასახარისხებლად მიღებული ვაგონებისათვის საჭირო იყო სპეციალური პარკი და ვაგონების დახარისხება მანამდე არ იწყებოდა, სანამ ერთი შემადგენლობისათვის საკმაო განსაზღვრული დანიშნულების ვაგონები არ დაგროვდებოდა. ამიტომ ასეთ „დამხარისხებელ“ სადგურებში დახარისხებაზე მეტი დრო იხარჯებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ—არასპეციალურ სადგურებზე. მიმღებ, დამგროვებელ, დამხარისხებელ და გამგზავნ პარკებს შორის და აგრეთვე თვით ამ პარკებშიც კი ქანობი არ იყო მიზანშეწონილად შეარჩეული. ამიტომ იძულებული იყვნენ გამოეყენებით დამხმარეწონის სპეციალური სპეციალური ჩიხები და სხვა.


ვინაიდან არსებული სამუხრუჭო საშუალებები დახრილი სიბრტყისათვის უვარგისი იყო, ხშირად ადგილი ჰქონდა ვაგონების დაჭახებას და ლიანდა-გდებან გადავარდნას. ამიტომ დამხარისხებელი სადგურის დახრილ სიბრტყეზე მოთავსება უარ-ჰყვეს.

დოცენტ ვ. მ. გურგენიძის სისტემაში ყველა ეს ნაკლი აღმოთვხრილია. მისი სქემა შემდეგი დადაბითი მომენტებით ხასიათდება.

1. შემცირებულია მანძილი მიმღებ, გამგზავნ და დამხარისხებელ პარკებს შორის; მოხსნილია დამატებითი ლიანდაგები და სპეციალური ჩიხები; მარტარებელთა შემადგენლობანი მიიღება პირდაპირ მიმღები პარკები, დახარისხების სამუშაოები სრულდება ულოკომოტივით, რითაც მიღწეულია ლოკომოტივ-სათების მნიშვნელოვანი ეკონომია;


2. დამგროვებელი პარკი, რომელიც აქამდე დახრილ სიბრტყეზე მოწყობილ სადგურებში იყო, ვ. გურგენიძის მიერ დაპროექტებულ სადგურში გათვალისწინებული არ არის, რითაც, ჯერ ერთი, სადგურის ტერიტორიის სიგრძე 800-900 მეტრით მცირდება და, მეორე, რაც მთავარია, შემადგენლობათა დახარისხებისას დაგვიანებას ადგილი არ ექნება: შემადგენლობები მიღებული იქნება მიმღებ პარკში და ძეტი, დამგროვებელ პარკში გადაცემის ნაცვლად, პირდაპირ დამხარისხებელ პარკს გადაეცემა;

3. მიმღები და დამახასიათებელი პარკებისათვის შერჩეულია ისეთი ქანობები და ისეთი სამუხრუჭო ადგილები, რომ როდესაც შემადგენლობა მიმღები პარკები დამხარისხებელ პარკში გადაეცემა, მისი განმუხრუჭების ღროს შემადგენლობიდან მოხსნილი ყველა ვაგონი დამვრას იღებს არა მარტო თავისი წონის გავლენით, არამედ ბუფერების ზამბარის გაშლის ძეოხებითაც;

მიმღები
პარკი

ნახ. 5

4. იმ სამუხრუჭო პოზიციიდან, საიდანაც ხდება ვაგონთა ჯგუფის გადაცემა დასახარისხებლად, მიმღები პარკის მხარეზე ლიანდაგები დაპროექტებულია ისე, რომ ვაგონები თავისი სიმძიმის ძალით ერთმანეთს აწვებოდნენ, რითაც შემადგენლობა იუმშება და ვაგონების გადახსნა აღვილდება.



ნაჩ. 6. დიდი დამხარისხებელი სადგურის გორაკის წინა დამხარისხებელი პარკის ხედი.

ამასთან ერთად ვაგონთა ყველა ჯგუფის გადახსნა ერთი ადგილიდან შესრულდება და შესაძლებელი იქნება სიჩქარის რეგულირება;

5. ვ. გურგენიძემ შეიმუშავა აგრეთვე ახალი ტიპის ნახევრადავტომატური ბუნიკი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დახარისხება უავარიოდ იქნას შესრულებული და ვაგონის სახისა და სიმძიმის მიხედვით ავტომატურად ამცირებს სიჩქარეს, საჭირო შემთხვევაში კი გააჩერებს კიდეც ვაგონებს.

სპეციალური ჩიხები ამ სქემით საჭირო არ იქნება.

იმისათვის, რომ დოცენტ ვ. გურგენიძის სქემის დადებითი მხარეები უფრო ნათელი გახდეს და სრული წარმოდგენა ვიქონიოთ შემადგენლობის

სადგურზე, სადაც ძალიან დიდი კუთხებით უკან დაბრუნებით მოძრაობაა, შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემა, რომელსაც მე-7 ნახ-ზე ნაჩვენები სახე აქვა.


აյ მიმღები, დამხარისხებელი და გამგზავნი პარკები მოთავსებულია დახრილ სიბრტყეზე (მარცნიდან მარჯვნიდან), დახარისხება შიმღინარეობს უორთქლმავლოდ, შემადგენლობის საკუთარი სიმძიმის ძალით, და შემდეგი თანამიმდევრობით:

მარჯვნიდან მისული მატარებელი მიიღება მიმღებ-გამგზავნ პარკში, აქედან გადაეცემა მიმღებ პარკს, სადაც შემადგენლობა მუხრუჭება, სამა-

ტარებლო ლოკომოტივი მიდის დეპოში, მზადდება ისარი, შემადგენლობა მუხრუჭის თანდათან აშვებით ხარისხდება და ვაგონები დამხარისხებელ პარკში განლაგდება თავისი სიმძიმის ძალით. მარცნიდან მისული მატარებელი მიიღება მიმღებ პარკში და იმავე წესით დახარისხდება. თუ საჭიროა შემადგენლობის გაგზავნა, მაშინ დამხარისხებელი პარკიდან მუხრუჭების აშვების შემდეგ შემდგენლობა გადაეცემა გამგზავნ პარკს, სადაც ორთქლმავალს მიაბამენ და სასურველი მიმართულებით გზავნიან.

დასახელებული ავტორების სქემებში მთავარია შემადგენლობის სიმძიმის ძალის გამოყენება, რასაც სხვადასხვა წესით აღწევენ დახრილი სიბრტყის გამოყენებით.

ეჭვს გარეშე, რომ ყველა ამ პროექტის პრაქტიკულად გამოცდისა და შემოწმების საფუძველ-



ნაჩ. 7

სიმძიმის ძალის გამოყენების პერსპექტივებზე, გავეცნოთ დამხარისხებელი სადგურის პრინციპულ სქემას.

ზე გამონახული იქნება ადგილობრივი პირობების შესაბამისად დამხარისხებელი სადგურების მოწყობის ყველაზე უფრო რაციონალური სქემა.

კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი

გარდაცვალების 15 წლისთავის გამო

31 გეგენი გომერენი

თექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ამამედროვე ჰერნაოსნობისა და რეაქტიული ტექნიკის ფუძემდებელი, გამოჩენილი რუსი მეცნიერი კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი დაბადა 1857 წლის 17 სექტემბერს რიაზნის გუბერნიის სოფელ იუევსკში, საღაც მისი მამა მეტყველ მუშაობდა. ციოლკოვსკი 9 წლისა იყო, როდესაც მძიმე ავაღმყოფობა გაღაიტანა. ამ ავაღმყოფობას სამწუხარო შედეგი მოჰყვა: ციოლკოვსკიმ სამუდამოდ დაკარგა სმენა.


თუმცა სმენის დაკარგვამ კონსტანტინე ედუარდის-ძე მოსწყვიტა სკოლას მაგრამ, მიუხედავად ამისა, 14 წლის ასაკიდან მან დამოუკიდებლად განაგრძო მეცადინეობა და განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის შესწავლის საქმეში.

16 წლის ციოლკოვსკი სწავლისათვის გაემგზავრა მოსკოვს, საღაც განაგრძო დამოუკიდებლად მეცადინეობა. ვინაიდან მამის მიერ სოფლიდან გამოგზავნილი უმნიშვნელო დახმარების მეტი ნაწილი წიგნების, რეაქტივების და ლაბორატორული ხელსაწყოების შეძენას ხმარდებოდა, მოსკოვში ყოფნის დროს ციოლკოვსკი დიდ გაჭირვებას განცემდიდა.

მიუხედავად ამისა, ის გულმოდგინეთ სწავლობდა და წარმატებით ეუფლებოდა მეცნიერების საჯუმოებს. სამი წლის შემდეგ, მამის მოთხოვნით, ციოლკოვსკი კვლავ დაბრუნდა სახლში და მასწავლებლობას შეუდგა.

1885 წელს ციოლკოვსკიმ წამოაყენა ლითონის გარსიანი დირიქაბლის შექმნის იდეა. მანამდის ჰერნაოსნობაში იყენებდნენ ქსოვილებიდან დამზადებულ გარსებს, რომელთაც მრავალი ნაკლი გააჩნდათ. ციოლკოვსკის პროექტით დირიქაბლის ჰერში ასვლა და მიწაზე დაშვება უნდა მომხდარიყო ლითონის გარსში მოთავსებული მსუბუქი გაზის ტემპერატურის შეცვლის გზით. ამასთან გარსის კონსტრუქცია იძლეოდა გაზის მოცულობის სათანადო შეცვლის საშუალებას.

1887 წელს ციოლკოვსკიმ თავის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ბუნებისმეტყველების შოყვარულთა რუსეთის საზოგადოებაში. ციოლ-



კოვსკის მოხსენების ტექსტი ცნობილმა რუსმა ფიზიკოსმა პროფესორმა სტოლეტოვმა განსახილველად გადასცა ნ. ე. უუკოვსკის — „რუსეთის ავიაციის მამას“.

6. უუკოვსკიმ დადებითად შეაფასა ციოლკოვსკის ნამუშევარი; თავის დასკვნაში ნ. უუკოვსკი სწერდა: „კვლევის ორიგინალური მეთოდი, მსჯელობა და გონებამახვილი ცდები ახასიათებენ ავტორს, როგორც ნიჭიერ ექსპერიმენტატორს“—ო. ამ დასკვნის საფუძველზე ბუნებისმეტყველების ძოვგარულთა საზოგადოებამ ციოლკოვსკის გამოყოფა სახსრები დირიქაბლის მოდელის ასაგებად. სამი წლის შემდეგ ციოლკოვსკიმ საზოგადოებას წარმოუდგინა თავისი დირიქაბლის მოდელი და სათანადო სამეცნიერო მოხსენება. მიუხედავად იმისა, რომ ციოლკოვსკის გამოკვლევები კვლავ სწორად იქნა ცნობილი, დირიქაბლის განხორციელების საქმის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება ვერ მოხერხდა. ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოების ჰერნაოსნობის განყოფილების თავ-

მჯდომარე ე. ვ. ფედოროვი აცხადებდა, რომ აეროსტატის მართვა შეუძლებელია და მისი ფრუნა მუდამ ქარჩე იქნება დამოკიდებულიო.

ფედოროვის ამ ცდარი შეხედულების გასაბათილებლად ციოლკოვსკიმ მრავალი ცდა ჩაატარა. იგი იკვლევდა იმ წინააღმდეგობის წარმოშობის კანონებს, რომელსაც სითხეები და გაზები სხვადასხვა ფორმის სხეულების მოძრაობას უწევენ.

სენებული ამოცანის გადასაწყვეტად ციოლკოვსკიმ მოაწყო აეროდინამიკური მილი, რომელიც პირველი იყო რუსეთში. ვინაიდან გამომგონებელს ძრავი არ გააჩნდა, აეროდინამიკურ მილში ჰაერის მომწოდებელ ვენტილატორს ის ამუშავებდა ვარდნილი ტეირთების საშუალებით. საფრენი აპარატების მოდელებზე ჰაერის ნაკადის წევის გასაზომავად ციოლკოვსკი მათ აეროდინამიკურ მილში ათავსებდა. ყოველი მოდელი იდგმებოდა ტივტივაზე, რომელიც წყალში ცურავდა. წევის ძალა იზომებოდა მოდელზე მობმული უბრალო ძაფით, რომლის მეორე ბოლო ბლოკზე იყო გადას. როლილი; ძაფის ამ ბოლოზე ციოლკოვსკი კიდებდა წევის ძალის გამაჭრნასწორებელ ტეირთებს. ამ გზით ციოლკოვსკიმ მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევის ჩატარება შესძლო.

მიუხედავად ზემოხსენებული მიღწევებისა, ციოლკოვსკის გამოგონებას და მის მიერ შექმნილ ჰაერნაოსნობის თეორიას იგივე ბედი ეწია, რაც მეფისდროინდელი რუსეთის მკვლევართა მრავალ აღმოჩენას. ციოლკოვსკის მიერ წამოყენებული ლითონის დირიქაბლის შექმნის იდეა საზღვარგარეთ იქნა განხორციელებული გრაფ ცეპელინის, სანტოს დიუმონის და სხვათა მიერ.

1895 წელს ციოლკოვსკიმ გამოაქვეყნა თავისი ახალი გამოკვლევა: „აეროპლანი ანუ ფრინველის მსგავსი მანქნა“. ეს ნაშრომი შეიცვალა თანამედროვე თვითმფრინავთან მეტად ახლომდგომ საფრენი აპარატის ნახაზებსა და სათანადო გამოთვლებს. ამ ნაშრომში გენიალურმა მეცნიერმა, პირველი პრაქტიკული თვითმფრინავის განხორციელებამდე მრავალი წლით ადრე გაითვალისწინა თანამედროვე თვითმფრინავის ფორმები და შესაძლებლობანი.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ციოლკოვსკის რეაქტიული ძრავების ტექნიკის შექმნისა და განვითარების დარგში; უკვე 1898 წელს მან გამოიყენა მაშხალის მოძრაობის ფორმულები და ამით საფუძველი ჩაიყარა ავიაციის ამ ახალ, უდიდესი მომავლის მქონე სახეს. 1903 წელს მან გამოაქვეყნა კლასიკური ნაშრომი: „სამყაროს სივრცეების გამოკვლევა“, რომელშიც დაასაბუთა მაშხალების საშუალებით საპლანეტათშორისო მოგზაურობის შესაძლებლობა. ამჟამად ციოლკოვ-

ЦК ВКП(б) — вождю народа тov. СТАЛИНУ

Мудреший народ и друг всех трудящихся т. СТАЛИН!

Всем своим наименем и методом труда и труда есть чисто советское производство. И неизвестно никому из членов предела не имелось.

Здесь Открыты признаки труда самого: даже Советская власть и партия ЛЕНИНА—СТАЛИНА показали мне действительную способность. Я неизвестно никому из членов предела не имелось.

Всем своим трудом по делам, разработанным в техническом со-обществе, парламенте, высшем советском в Советской власти — подлинные руководители прогресса человеческой культуры. Уважен, что они являются настоящими людьми.

Всей руки к письменам! Да!

и подпись моим приятелем князя Ваш

К. ЧИОЛКОВСКИЙ.

12 сентября 1930 г.

Знаменитому революционному
науки
товарищу К. Э. ЧИОЛКОВСКИУ

Прочитал это благодарное за
письмо, написанное товарищем К. Э. ЧИОЛКОВСКИИ
бывшему советскому гражданину.

Члены Твои здравствуйте и благо-
дарим твои подавленные работы, на память
Будущим.

Желаю Твоих руку.
И. СТАЛИН.

კ. ე. ციოლკოვსკის წერილი ი. ბ. სტალინს (გაზ. „პრავდა“ 1935 წ. 17 სექტემბერი) და ი. ბ. სტალინის პასუხი კ. ე. ცი-
ოლკოვსკის წერილზე:

სკპ(გ) ც. კ.—ხალხთა ბელადს

ამ. სტალინს

ბრძენი ბელადო და ყველა მშრომელის მეგობარო ამ. სტალინი!

მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მე ვოცნებოდი ჩემი შრომებით ცოტათი მაინც წინ წამეტია კაცობრიობა. რე-
ვოლუციამდე ჩემი ოცნება უკანონობით და უკანონობით განხორციელდა.

მხოლოდ ოქტომბერმა მოუტანა აიდიარება თვითნასწავლის შრომებს, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და ლენინ-
სტალინის პარტიამ აღმომჩინეს მე ქმედით დახმარება. მე ვიგრძენი ხალხის მასების სიყარული და ეს, უკვე ავტომატური მძლევები ძალებს მუშაობის გასაზრდელებლად, მაგრამ ახლა ავტომატური საშუალებას არ მაძლევს დაწყებული საქმე დაგამოვარებო.

მთელ ჩემს შრომებს ავაციაში, რაეტანასნობაში და პლანეტაშრობის მიმსკვლებაში მე ვუტოვებ ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა ხელისუფლების — აღმიანთა კულტურის ჭეშმარიტ ხელმძღვანელებს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი წარმატებით დამთავრებენ ამ შრომებს.

მთელი გულით და ფიქრებით თქვენი,
უკანასკნელი გულშრფელი სალამით მუდამ თქვენი.
კ. ციოლკოვსკი.

1935 წ. 13 სექტემბერი.

მეცნიერების ცნობილ მოდვაწეების

ამანაგ კ. ე. ციოლკოვსკის

მიიღეთ ჩემი მაღლობა ბოლშევიკების პარტიისადმი, საბ-

ჭოთა ხელისუფლებისადმი ნიდანით აღსავს წერილისათვეს.

გისურვებთ განმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშა-

ობას მშრომელთა სახარგებლოდ.

გართმევთ ხელს ი. სტალინი

სკი საყოველთაოდ არის მიჩნეული მაშალური ნაოსნობის პატრიარქად.

აქ ჩევნ მოკლედ განვმარტავთ იმ პრინციპს, რომელსაც მაშალის მოძრაობა ემყარება.

უმარტივესი მაშალა წარმოადგენს მილს, ამ მილის ერთი ბოლო დახშულია, ხოლო მეორე — ლიაა. მილში მოთავსებულია საწვავი, რომელიც ანთების შემდეგ წარმოშობს წვის პროდუქტებს დიდი წნევისა და ტემპერატურის მქონე გაზების სახით. წარმოვიდგინოთ, რომ მილი უძრავად არის დამაგრებული დედამიწის მიმართ. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მილის ღია ბოლოდან დიდი სიჩქარით გამოიტყორცნება წვის შედეგად წარმოშობილი გაზები. ამ დროს ადგილი აქვს გაზებში დაგროვილი სითბური ენერგიის გარდაქმნას მექანიკურ ენერგიად. ნათქვამში ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავუკვირდებით იმ გარემოებას, რომ გაზების წნევა და ტემპერატურა მილში მეტად მაღალია და ბევრად აღემატება იმავე გაზების წნევასა და ტემპერატურას გამოტყორცნის შემდეგ. სამაგიეროდ, მილიდან გამომვალ გაზებს აქვთ დიდი სიჩქარე და, მაშასადმე, სათანადო კინეტიკური ენერგია. ეს კინეტიკური ენერგია წარმოშობილია სითბოს ხარჯზე, რომელსაც გაზები მილში ყოფნის დროს შეიცავდენ.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ მილი უძრავი კი არ არის, არამედ მოძრაობს დახშული ბოლოს მიმართულებით და ამასთან მისი სიჩქარე უდრის უძრავი მილიდან გაზის გამოდენის სიჩქარეს. ამ შემთხვევაში, მიუხედავად მილიდან გამოდენილი გაზების წნევის და ტემპერატურის დაცემისა, მათი სიჩქარე ნოლის ტოლი იქნება და, ამრიგად, სათბობის დაწვის შედეგად გამოყოფილი ენერგია მთლიანად გადაეცემა მილს, რომელიც დიდი სიჩქარით იმოძრავებს გაზების გამოდენის საწინააღმდეგო მხარეს. განხილული მოვლენა იმავე ხასიათისაა, რაც დარტყმა, რომელსაც გასროლის მომენტში თოვი ახდენს მსროლელის მხარზე. თოვი მიისწრავის გადაადგილდეს დენთის აფეთქების პროდუქტებისა და ტყვიის გატყორცნის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს.

როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ციოლკოვსკიმ პირველმა დააყენა და მეცნიერულად გადასჭრა ავიაციაში მაშალების გამოყენების საკითხი. ამ დარგის ძირითადი პრობლემის თეორიულ გადაწყვეტასთან ერთად, მან გამოიკვლია მაშალის მოძრაობისთვის საჭირო სათბობის რაოდენობა და განსაზღვრა ამ ახალი ტიპის ძრავის მარგი მოქმედების კოფიციენტი.

ციოლკოვსკიმ დაასაბუთა, რომ სავსებით შესაძლებელია მაშალების გამოყენება საპლანეტოაშორისო მოგზაურობის განსახორციელებლად. ეს

იდეა თავიდან ბოლომდის ციოლკოვსკის უფრთხოების. მხოლოდ მაშინ, როდესაც ოცი წული გავიდა ციოლკოვსკის მიერ კოსმოსური მაშალის იდეას წამოყენების და მისი დეტალური დამუშავების შემდეგ, საფრანგეთში ესნო-პელტრიმ, გერმანიაში ობერტმა და ამერიკაში გოდარდმა გამოაქვეყნეს თავიანთი ნაშრომები იმავე საკითხზე. აღსანიშნავია, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო რაიმე არსებითად ახალი შეეტანა ციოლკოვსკის მიერ შექმნილ კოსმოსური მაშალის თეორიაში.

ციოლკოვსკის ბრწყინვალე იდეებმა და გამოგონებებმა ვერ პპოვეს მხარის დაჭერა და დაფასება ცარიზმის დროს. მეფის რუსთის მმართველი წრეები ციოლკოვსკის უყურებლნენ როგორც „უტოპისტს“, „მეოცნებეს“, და ფატტიურად არა-კითარ დახმარებას არ უწევდენ მას იმ უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ მუშაობაში, რომელსაც ეს გენიაღური აღამიანი დაულალვად ეწეოდა მრავალი წლის განმავლობაში.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ციოლკოვსკის ღვაწლის ღირსეული დაფასების და მისი შემოქმედებითი მუშაობის არაჩვეულებრივი გაფართოების პერიოდს. ციოლკოვსკი ყოველღლიურად გრძნობდა მთელი საბჭოთა ხალხის დიდ სიყვარულსა და მხარისდაჭერას. მისი საქმიანობა გადაიქცა ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობის, დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ზრუნვის საგნად.

1935 წლის 13 სექტემბერს ციოლკოვსკიმ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მიმართა წერილით, რომელშიაც უდიდეს მაღლობას უძღიდა ლენინ-სტალინის პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებას ყურადღებისა და დახმარებისათვის. ამ წერილის პასუხად მან მიიღო ამხანაგ სტალინის მეტად გულობილი დეპეშა.

დიდი სტალინის ამ დეპეშამ აღაფრთოვანი კონსტანტინე ელუარდის-ძე. მძიმედ ავადმყოფმა მეცნიერმა შემდეგი პასუხი გასცა დიდ ბელადის:

„ოქვენი დეპეშა გულში ჩამწვდა. ვგრძნობ, რომ დღეს არ მოვკვდები. დარწმუნებული ვარ, ვიცი საბჭოთა დირიქტორები საუკეთესონი იქნებიან მთელ მსოფლიოში. მაღლობელი ვარ, ამხანაგ სტალინ, საზღვარი არა აქვს მაღლობას“.

ციოლკოვსკი გარდაიცვალა მეორე დღეს, 1935 წლის 19 სექტემბერს.

კონსტანტინე ელუარდის-ძე ციოლკოვსკის ღვაწლი ტექნიკის განვითარების დარგში უდიდესია. საბჭოთა შეცნიერები და ტექნიკოსები უზრუნველყოფენ ციოლკოვსკის იდეების შემდგომ გაღრმავებას და მათ პარაზიტიკულ განხორციელებას ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კირპუცოლანოვანი ცემენტი

ინჟინერი ვახტანგ ავალიშვილი

კირპუცოლანოვანი ცემენტი საერთოდ წარმოადგენს პიღ-
რავლურ ნივთიერებას, — მშენებლის, რომელიც მიიღება ჩა-
უმჯრალი კირისა და პუცოლანის (პიღრავლური დანამატის—
თეძამის ტუფის) ნარევის სუფთად დაფქვით.

ჯერ კიდევ ძეველ რომელი, ნავსადგურების მშენებლობის
ლროს, შესძლეს კირისათვის პიღრავლური თვალება მიეცათ.
ამისათვის კირს უმატებდნენ გამომწყვარ დაფხვნილ თხას,
აუტრის ნატრერევის ფენილს ან ვულკანური ფერფლის ნა-
ფენევებს, რომელსაც ნეაპოლის ყურეში პატარა ქალაქ პოცუ-
ოლში ამზადებდნენ. ამ ქალაქის სახელწოდებიდან წარმოს-
დგა ლევანდლამდე შემონახული სახელწოდება ვულკანური
წარმოშობის დანაშალებისა—პუცოლანი.

კირპუცოლანოვანი ცემენტი, შედარებით პირტლანდ-ცე-
მენტთან, რომელიც კასპში მზადდება, დაბალი ხარისხისაა.
მისი მარკა იცვლება 50—75—100-დე, იშვიათად ორწევს
150 კგ/სმ²-ზე (რაც თბილისის სინამდვილეში ჯერ-ჯერობით
მაუწვდომელია) იმ დროს, როდესაც კასპის ცემენტის მარკა
იცვლება 200-დან 500-დე კგ/სმ²-ზე.

როგორც ცნობილია, ცემენტის მარკა ეწოდება კილოგრა-
მების იმ რაოდენობას, რომელსაც გაუძლებს ამ ცემენტისა-
გან დამზადებული ქვიშანრევი (1 : 3) კუბის თითოეული
კვადრატული სანტიმეტრი გამოცდის ოცდამეტვე დღეს.

ბუნებრივია, რომ თუ კირპუცოლანის ცემენტი ზემოთ აღ-
ნიშნული მარკისაა, მან ასეთი მონაცემები უნდა მოგვცე-
კუმშვაზე გამოცდის დროს:

კირპუცოლა- ნის ცემენტის მარკა	სიმტკიცის ზღვარი კუმშვის დროს 7 დღის შემდეგ კგ/სმ ² (რომლის შემდეგ კუბი იშლება)	იგვე რცხა- მერვე დღის შემდეგ
50	20	50
75	30	75
100	40	100

ვინაიდან მთელ რიგ სამშენებლო სამუშაოებში ნაკლები
ხარისხის მჭიდრით კმაყოფილდება, კირპუცოლანოვან ცე-
მენტს მშენებლობაში, წყობებში, საძირკვლებში, კედლებში
და სხვაგან თავისუფლად შესძლია შესცვალის პირტლანდ-
ცემენტი (კასპის), რაც გაითვებს მშენებლობას, დაგვიზო-
გავს დეფიციტურ პირტლანდ-ცემენტს, რომელიც კირპუც-
ლანოვან ცემენტთან შედარებით ორჯერ უფრო ძვირია.

თბილისში უკვე აშენდა და მუშაობს კირპუცოლანოვანი
ცემენტის ქარხანა.

ამ ქარხანაში კირპუცოლანოვანი ცემენტი მშადდება სუ-
რამის კირისა და თეძამის ტუფის (პუცოლანის) ბაზაზე. რი-

ვე მასალა, გარკვეული პროპორციით აღებული, მცირეოდენი
გაჯის (ან თაბაშირის) დამატებით, განსაზღვრული ტექნიკუ-
რი წესის დაცვით სუფთად იყვენება, რის შედეგად ვღებუ-
ლობთ პიღრავლიკურ კირპუცოლოვან ცემენტს.

კირპუცოლანოვანი ცემენტი შეიძლება პიღრავლიკური კი-
რის ბაზაზედაც მივიღოთ ან პუცოლანად სხვა სახის მასალა
ავაღოთ (მაგალითად, ძეგვის კირი).

კირპუცოლანოვანი ცემენტი, როგორც ეხედავთ, ადგი-
ლობრივ საშენ მასალათა რიცხვს ეკუთვნის და შემდეგი თა-
ვისებურებებით ხასიათდება:

1. ძალიან პატარა მოცულობით, წონით (600—800 კგ/მ³).
2. პირტლანდ-ცემენტთან შედარებით — მსხვილი და-
ფენილობით.

3. ნელი შეკვიდროებით—შეკვრა გრძელდება 1—2 დღეზ-
დე,

4. გამაგრების დიდი დროით (რომლის დროსაც ტენი
აუცილებელია),

5. ხსნარის დამზადების დროს დიდი წყალმოთხოვნალე-
ბით.

კირპუცოლანის ცემენტის ამ პიგრავლიკური თავისებუ-
რების გამო, ახალ ნაგებობას 20 დღის განმავლობაში (სიც-
ხებში — 30 დღის განმავლობაში) რწყავენ. ახალი ნაგებო-
ბა მორიცხებული უნდა აქნეს მზეს, ქარის ძლიერ ზეგავლე-
ნის, რადგან წყლის სწრაფი აორთქმების შემთხვევაში ჩრდე-
ბა ბზარები, ნაშენი სკდება, ზედამირი იშლება.

კირპუცოლანოვანი ცემენტი კარგია საძირკვლებში, ნე-
ტიან ადგილებში, პიღროტენიკურ ნაგებობებში, სადაც იგი
თავის ხარისხის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს.

როგორც ზომიერის თვეებში კირპუცოლანოვან ცემენტზე
მუშაობამ დაგვანახა, ზამთარაში იგი ნაკლებ მეცნიერია, ნელა
მაგრებდა. ამიტომ თუ ტემპერატურა ცელსიუსის 50-ზე ნაკ-
ლებია, მას უმატებენ 15—20 % პირტლანდ-ცემენტს, რამაც
ლამბაკიალუფლებელი შედეგები მოგვცა. ყანიერი თვეებში
კირპუცოლანოვანი ცემენტით მუშაობას ერიცებიან, რადგან
ასეთი ცემენტისაგან აგებული ახალი ნაგებობა ყინვებში ერთ
ოვეზე მეტი დროის გამავლობაში არ უნდა მოხვდეს.

კარგი შედეგები მოგვცა კირპუცოლანოვანის ცემენტია
მსტარუ ბეტონის ქვების დამზადებისას. მათმა გამოცდაშ
კუმშვაზე დაგვანახა, რომ ისინი თავისუფლად შეიძლება
გამოვიყენოთ მშენებლობაში, ეს კი ერთიანად გაითავებს ბე-
ტონის ქვების წარმოებას.

ჩრდება საკითხი, რომელიც აუცილებლივ დამატებით მუ-
შაობას მოითხოვს: გავაუმჯობესოთ კირპუცოლანოვანი ცემენ-
ტის ხარისხი. ამის შესაძლებლობა არის და კადევაც უნდა
გაეკეთდეს, მაშინ ჩევენ შევძლებთ მივცეთ თბილისის მშენებ-
ლობას მაღალხარისხოვანი კირპუცოლანოვანი ცემენტი.

დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენები და მათი უძრავი განვითარების მეთოდები

თავარი მეგარიზონი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენების შესწავლა დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს და ამიტომ ძველთაგანვე იძყრობდა ყურადღებას. მრავალი სერიოზული სამეცნიერო პრობლემის გაღატრა დაკავშირებულია ისეთი სიმაღლეების ტემპერატურის, წნევისა და სიმკვრივის ცოლნასთან, რომელთა შესწავლა დღეს-დღეობით უშუალოდ, პირდაპირი მეთოდებით, შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არაპირდაპირი მეთოდებით. ეს მეთოდები შემდეგია: ატმოსფეროს შესწავლა რაღიოტულების შემწეობით, მეტეორებზე დაკვირვება, პოლარული ციალისა და ღამის ცის ნათების გამოკვლევა, ბეგრის ანომალური სმენადობის ზონების შესწავლა, ბინდზე დაკვირვება, — აი ყველა ის მეთოდი, რაც დღეს მეცნიერებას გააჩნია ატმოსფეროს მაღალი ფენების შესასწავლად.

დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენები თავისებურ გავლენას ახდენენ დაბალ ფენებზე, რომლებსაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირი აქვთ დედამიწის ზედაპირულ აგებულებასთან.

უკანასკნელ ხანებში მაშხალების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ატმოსფეროს უშუალოდ შესწავლა გარკვეულ სიმაღლეებზე, მაგრამ ზოგიერთი მონაცემების პირდაპირი მეთოდით მიღების შესაძლებლობა მხოლოდ აძლიერებს არაპირდაპირი მეთოდების მნიშვნელობას.

მზის რაღიაციის¹ (როგორც ულტრაიისფერი, ისე კორპუსკულურის²) მაინნიზებელი³ და დისო-ციაციის⁴ გამომწვევი მოქმედების არსებობა ახლა ეჭვს გარეშეა. მზის რაღიაციის ზოგიერთი სახეობანი, სწორედ ისინი, რომელნიც უმეტესად აქტიური არიან გეოფიზიკური თვალსაზრისით, მთანთქმებიან ატმოსფეროს მაღალი ფენების გავლისას (100 კილომეტრის ზევით) და მხოლოდ ნაწილობრივ აღწევენ უფრო დაბალ ფენებს. სწო-

რედ ამ რაღიაციის მოქმედება ქმნის მაღალი ფენების განსაკუთრებულ მეტად რთულ აგებულებას, რომელიც მრავალნაირად გამოვლინდება და მაღალ ფენებს მკვეთრად განასხვავებს დაბალი ფენებისაგან: აյ წარმოიქმნება ონისფერული ფენები, რომელთაც რაღიოტალების გავრცელების თავისებურებანი ამჟავნებენ, აღვილი აქვს ატმოსფეროს მაღალი ფენების ნათებას — პოლარული ციალისა და ღამის ცის ნათების სახით. ონიზებული ფენების გადაადგილების გავლენა გეომაგნიტურ⁵ ველზე, სპეციფიკური რეაქციები, რომლებშიაც დისოციირებული და ონიზებული ნაწილებები მონაწილეობენ და რასაც მოსდევს ოზონის წარმოქმნა მაღალ ფენებში და ა. შ., — ყოველივე ეს არა მატრო საინტერესოს ხდის ატმოსფეროს მაღალი ფენების შესწავლის ამოცანას, არამედ დიდ სამეცნიერო მნიშვნელობასაც ანიჭებს მას ასტროფიზიკისა და გეოფიზიკის თვალსაზრისით.

დედამიწის ატმოსფეროს სურათი ასეთი სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: 9-10 კილომეტრამდე გრძელებება ე. წ. ტროპოსფერო; ატმოსფეროს ამ ფენებში აღვილი აქვს ტემპერატურის შემცირებას სიმაღლის მიხედვით, 9-10 კილომეტრს ესაზღვრება ე. წ. ტროპოპაუზა დაახლოებით 1-3 კილომეტრის სისქით, ეს ფენა ტემპერატურული ინვერსიით⁶, ხასიათდება. 100 კილომეტრამდე გრძელებება სტრატოსფერო, ხოლო 100 კმ ზევით იწყება ატმოსფეროს განსაკუთრებული არე — ონისფერო.

მოკლედ განვიხილოთ მეთოდები, რომლებიც საშუალებას გაძლევენ შევისწავლის ატმოსფეროს მაღალი ფენები.

საინტერესო შედეგებია მიღებული მეტეორთა ნათებაზე დაკვირვებით. ერთდროულად ორი სხვადასხვა პუნქტიდან მეტეორთა ფოტოგრაფიერება საშუალებას იძლევა განისაზღვროს მეტეორთა ანთების სიმაღლე და სიკაშკაშე მათი ტრაექტორიის

¹ რაღიაცია — გამოსხივება;

² კორპუსკულური — ნაწილაკოვანი ნაწილაკებისაგან შემდგარი;


³ ონიზაცია, დაიონება — რაიმე გამოსხივების მოქმედებით იონების წარმოქმნა;

⁴ დისოციაცია — მოლუკულების დაზღა, რდგვეა.

⁵ გეომაგნიტიზმი — დედამიწის მაგნიტიზმი;

⁶ ინერსია — ამ შემთხვევაში ტემპერატურის ზრდა ქვეიდან ზევით, ნაცვლად ჩვეულებრივი კლებისა.

დედამინის აფარსფეროს სქემა





სხვადასხვა წერტილებში. მეტეორი, რომელიც მყარ ნაწილაკს წარმოადგენს, შემოიქრება რა ვარსკვლავთშორისეთი სივრციდან დედამიწის ატ-მოსფეროში, დიდი სისწრაფით (40 და მეტი კმ/წმ) ჰაერთან შეჯახებისას იძღვნად სურდება, რომ ნათებას იწყებს. ამ ნათებაზე დაკვირვებამ შესაძლებელი გახდა განისაზღვროს ჰაერის სიმკვრივე მეტეორის ანთების, ჩაქრობისა და მაქსიმალური სიკაშვაშის წერტილში. ეს წერტილები დაახლოებით 50 კილომეტრიდან 110 კმ-ე სიმაღლეზე მდებარეობენ.

უკანასკნელი 6-8 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა დედამიწის ატმოსფეროს სიმკვრივის განსაზღვრა მაღალ ფენებში რადიოტალღების ორეკვლაზე დაკვირვებით. 1902 წელს გამოთქმული ჰიპოთეზის თანახმად, აღვილი აქვს რადიოტალღების ორეკვლას მაღალი ფენებიდან, რომელთაც დაღი ელექტროგამტარობა ახსასთებს. არეკლილი რადიოტალღა ბრუნდება დედამიწაზე, საიდანაც იგი ისევ აირეკლება, რადგან დედამიწისა და ოკეანეთა ზედაპირებიც კარგი ელექტროგამტარობით ხასიათდებიან. არეკლილი ტალღა 0,0001 წამზე ნაკლები სისწრაფით მიემართება ზევით, ხოლო მეათასედი წამის შემდეგ უკან ბრუნდება. არეკლილი ტალღის დაგვიანების (დროის მიხედვით) საფუძვლზე მსჯელობენ, თუ რამდენათ დაშორებულია გრძელობაზე რენა დედამიწიდან. ასე აღმოაჩინეს რამდენიმე ამრეკლავი ფენა: E-ფენა — 100 კილომეტრის სიმაღლეზე, F-ფენა — 250—300 კმ სიმაღლეზე და D-ფენა — 50—70 კმ-ზე. ამ ფენებთა გამტარობა გამოწიეულია მათში თავისუფალი ელექტროგამტარობისა და იონების არსებობით. ჰაერი ამ ფენებში იონიზებულია. ეს არის ე. წ. იონოსფერო.

პოლარულ ქვეყნებში ღამის ცაზე ხშირად დაგილი აქვს ნათებას, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება, ზოგჯერ კი საათობით. მათზე რეგულარული დაკვირვებები 1733 წლიდან წარმოებს. ეს ნათება პოლარული ციალის სახელწოდებითაც ცნობილი. პოლარული ციალის ფოტოგრაფირება ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა პუნქტიდან, რომლებიც 10—50 კმ არიან დაშორებული, საშუალებას იძლევა განისაზღვროს პოლარული ციალის სიმაღლე. აღმოჩნდა, რომ პოლარული ციალი არასოდეს არ ეშვება 100 კმ ქვევით, ხოლო ზედა საზღვარი 250—400 კმ-ია, იშვიათ შემთხვევებში კი 800—1000 კმ აღწევს.

პოლარული ციალის სპექტრის შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ატმოსფეროს ქი-მიური შემადგენლობა. პოლარული ციალის სპექტრში არ აღმოჩნდა წყალბადის ხაზები, სამა-ზეროდ გვხვდება აზოტის კაშკაშა ხაზები, მაგრამ ე. წ. ბარომეტრული ფორმულა, რომელიც სიმაღ-

ლის მიხედვით წნევის ცვლილებას განსაზღვრულობა გვეუბნება, რომ ვინაიდან ჰაერი სხვადასხვა მოლეკულური წონის მქონე გაზების ნარევს წარმოადგენს, ატმოსფეროს შემადგენლობა სიმაღლის მიხედვით უნდა იცვლებოდეს, მძიმე გაზების პროცენტული შემადგენლობა კი ატმოსფეროში სიმაღლის მიხედვით უნდა მცირდებოდეს. ამიტომ ატმოსფეროს მაღალ ფენებში, 100 კილომეტრს ზევით, ატმოსფერო ძირითადად მხოლოდ თითქმის წყალბადისაგან უნდა შედგებოდეს. მაგრამ, ვინაიდან ბარომეტრული ფორმულა გამოყვანილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც ადგილი აქვს ატ-მოსფეროს სტატისტიკურ წონასწორობას, რომლის დროსაც გაზების განაწილება სიმაღლის მიხედვით სიმძიმის ძალით და ერთი ფენიდან მეორეში გაზების თავისუფალი დიფუზიით განისაზღვრება, შესაძლოა იგი არ ასხავდეს ნამდვილ მდგომარეობას ატმოსფეროში. განსაკუთრებულ მიზეზებს შეუძლიათ გამოიწვიონ გაღახვევა ბარომეტრული ფორმულიდან. ასეთი მცხვიში შეიძლება იყოს მუდმივი ვერტიკალური შერევა ჰაერისა, რაც ათანაბრებს ატმოსფეროს შემადგენლობას ყველა სიმაღლეზე. სწორედ ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს პოლარულ ციალზე დაკვირვებებით მიღებული სპექტრი.

30 წლის წინად აღმოაჩინეს ღამის ცის ნათება. ღამტკიცდა, რომ ატმოსფეროს მაღალი ფენები დაახლოებით 130—180 კმ-ზე განუწყვეტლივ ანათებენ. ამ ნათების სპექტრის შესწავლა, რომლის ბუნება ჯერ კიდევ არ არის ცხადი, საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ ატმოსფეროს მაღალი ფენების შემადგენლობა. გამოკვლევებმა ნათელყო, რომ ატმოსფეროს მაღალი ფენები უანგბაღ-აზოტისაგან შეღაება, ისევე როგორც დაბალი ფენები. ეს შედეგი ემთხვევა იმ მონაცემებს, რომლებც ზემოთ აწერილი მეთოდითა მიღებული.

ჯერ კიდევ 1914—18 წლებში შემჩნეული იყო, რომ ზოგჯერ ძლიერი საარტილერიო სროლა ისმის შორეული მანძილიდან, ხოლო უფრო ახლო მანძილიდან კი არა. უფრო გვიან ბგერების შესწავლით დაადგინეს, რომ არსებობს ბგერის ანომალური სმენადობის ზონა. ბგერის ნორმალური სმენადობის ზონად მიღებულია 30—50 კმ. მას ნოკერა რამდენიმე კილომეტრი სისქის ზონა, საღაც სმენადობას აღგილი არა აქვს, ამ ფენის შემდეგ სმენადობა ისევ არის.

გამორკვეულია, რომ ბგერითი ტალღა, რომელიც ჰაერის სხვადასხვა სიმკვრივის ფენებში გრძელდება, მრავალზების გარდატეხას განიცდის და, გარკვეულ პირობებში, უკან ბრუნდება. ამ პირობებს ჰაერის ფენების სიმკვრივისა და ტემპერატურის გრადიენტი ანუ ცვლილების ხასიათი განსაზღვრავს. ჰაერში ბგერების გაგრცელების ვითარების, მათი დაბრუნების სიჩქარის, ე. ი. „არეკ-

ლილი” ბგერითი ტალღის დაკვირვების ადგილზე ნოსკლის სიჩქარისა და სხვ. შესწავლით მოახერხეს იმ პირობების გამოკვლევა, რომლებიც ჰაერის ფენებში სუფეეს. კერძოთ, აღმოჩნდა, რომ 40 კილომეტრის სიმაღლეზე ტემპერატურა მინუს 30°-ია, 50 კმ სიმაღლეზე — მინუს 60° და 60 კმ სიმაღლეზე — მინუს 75°. ბგერითი მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ატმოსფერო შევისწავლოთ მხოლოდ 60 კილომეტრამდე, რადგან უფრო ზევით ბგერითი ტალღები ძლიერ შთანთქმას ვანიცდიან. თითქმის ყველა ზემოხამოთვლილი მეთოდი თანამთხვევა შედეგებს იძლევა და შესაძლებლობა გვაქვს წარმოდგენა ვიქონიოთ ატმოსფეროს ამა თუ იმ ვიწრო ფენაზე.


ახლა გადავიდეთ ბინდის მეთოდზე, რომელიც წინა მეთოდებთან განსხვავებით საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ატმოსფეროს მაღალი ფენები, დაწყებული 40 კ-დან 250 კმ-მდე (ყოველ განედზე და მთელი წლის განმავლობაში).

1915 წელს ცნობილმა რუსმა ასტრონომმა აკად. ფესუნკვმა გამოაქვეყნა შრომა, რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ ბინდის ცის სიკაშვაშის გაზომვა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ ატმოსფეროს სიმკვრივის განაწილება 20—30 კმ-დან 100—200 კმ-დე. უკანასკნელ ხანებში ატმოსფეროს მაღალი ფენების შესასწავლად ბინდის მეთოდით ფართოდ სარგებლობენ საბჭოთა კავშირში და, კერძოთ, აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

მზის ჩასკლის შემდეგ ღამე უკბად არ ღება, რადგან ატმოსფეროს ფენები ჯერ კიდევ განათებულია მზის სხივებით და ადგილი აქვს თანდათანობით დაბნელებას განათებული ადგილებიდან სინათლის გაბნევის გამო. ღამე ღება მხოლოდ მაშინ, როდესაც მზის სხივები ატმოსფეროს მაღალ ფენებსაც კი ვეღარ წვდებიან.


მზის ჩასკლის შემდეგ, რომელიმე მომენტში, მზის „უკანასკნელი“ სხივი პორიზონტთან ქმნის ა კუთხეს. დედამიწის ჩრდილის საზღვრის სიმაღ-

ლე ზენიტის მიმართულებით h_1 -ის ტოლდა დონის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ მზის სხივის დახრა პორიზონტთან იზრდება a , a_1 -დე, ხოლო დედამიწის ჩრდილის საზღვრის სიმაღლე h_1 -ის ტოლი გახდება. ამრიგად, ამ დროის განმავლობაში გამოირიცხება მზით განათებული ფენა $h_1 - h$, რაც იწვევს ცის სიკაშვაშის შემცირებას. ბინდის დაკვირვება, ფოტოგრაფიული ხერხით იქნება ეს, თუ ელექტროფოტომეტრიულად, საშუალებას იძლევა აღრიცხული იქნას ბინდის სიკაშვაშის შემცირება



ლროის გარკვეულ მონაკვეთებში ბინდის დამთავრებამდე, რაც შესაძლებელს ხდის მივიღოთ დამოკიდებულება ბინდის სიკაშვაშესა და მზის ზენიტურ მანძილს შორის (ეს უკანასკნელი ადვილად მიიღება დაკვირვების მომენტებიდან). ბინდის ლერამინთის გვაძლევს ფორმულებს, რომლებიც გამოსატავენ დამოკიდებულებას ბინდის სიკაშვაშესა და წნევასა, სიმკვრივესა და ტემპერატურას შორის.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში 1942 წლიდან წარმოებს ბინდის სისტემატური ელექტროფოტომეტრიული დაკვირვებანი.



ბარიტი და მისი გამოყენება

სიახლო ჯიში

ქუექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ბარიტი ანუ მძიმე შპატი, რომელიც პირველად ცნობილმა შევედრა ქიმიკოსმა შეელემ 1744 წელს აღმოაჩინა, წარმოადგენს მინერალს, რომლის კუთრი წონა 3,64—4,66 უდრის.

იდეალურად სუფთა ბარიტი (CaMnO_4) ანუ ბარიტუმსულფატი ბუნებაში თითქმის არ გვხვდება. მინარევის სახით ბარიტი შეიცავს: სილიციუმის ორჟანგს, კალციუმის სულფატს, რკინისა და ალუმინის უანგს, ზოგჯერ სტრონციუმის სულფატს.

ბარიტი ბუნებაში სხვადასხვა კრისტალური სახით გვხვდება: ზოგჯერ რომბული სისტემის ცალკეული კრისტალების სახით, ზოგჯერ კი — მარცვლების ან ძარღვების სახით გვევლინება.

ბარიტი უფერულია, მაგრამ გვხვდება სხვადასხვა ფერადაც შეფერილი. მისი ფერი დამოკიდებულია იმ მინარევებზე, რომლებიც მას თან ახლავს რკინის უანგეულების, მანგანუმის ან სხვა სახით.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ბარიტის მოთხოვნილება რუსეთში წლიურად შეადგენდა 20000 ტონას. აქედან 2000 ტონის მოპოვება წარმოებდა თვით რუსეთში, ხოლო დანარჩენი რაოდენობა შემოკენდათ სხვადასხვა უცხო სახელმწიფოდან: პოლანდიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიდან და სხვა სახელმწიფოებიდან.

პირველი მსოფლიო ომმა საგრძნობლად შეაძლია ბარიტის იმპორტი, მაგრამ ამით არამც თუ არ გაიზარდა სამამულო ბარიტის მოპოვება, არაცედ, პირიქით, შემცირდა კიდევ. სამოქალაქო ომის დროს ბარიტის მოპოვება თითქმის მთლიანად შეწყვეტილი იყო, 1922-23 წლებში კი იგი მხოლოდ 60 ტონით გაისაზღვრებოდა. 1923 წლიდან ბარიტის მოპოვება თანდათანობით იზრდება და 1931 წელს 33.000 ტონას აღწევს, ხოლო შემდეგ წლებში მისი მოპოვება გიგანტური ნახტომებით იზრდება.

ბარიტის მოპოვების ზრდამ ზედმეტი გაზადა მისი იმპორტი.

საბჭოთა კავშირში ბარიტის საბადოები ცნობილია ამიერკავკასიაში, ურალზე, ციმბირში, თურქმენეთში და სხვა აღგილებში.


კერძოთ, ამიერკავკასიაში ბარიტის საბადოები მოიპოვება დასავლეთ საქართველოში და აზერბაიჯანში. დასავლეთ საქართველოს ბარიტის საბადოები უმთავრესად ცხენის-წყლის და რიონის ხეობებში მდებარეობენ.

საქართველოში ბარიტის ამოღება დაწყო გასული საუკუნის დასასრულს. იმ დროს ბარიტის ამოღებას თვით საბადოებთან მდებარე სოფლების გლეხები აწარმოებდნენ პრიმიტიული წესით. ბარიტის აბარებდნენ კერძო საღებავ ქარხანას ბათუმში და სხვა კერძო პირებს, რომელთაც მოწყობილი ჰქონდათ პატარა წისქვილი, სადაც წარმოებდა ბარიტის დაფქვა. ბარიტის მოსაპოვებლად საჭირო მასალებს (ფეთქებად ნივთიერებასა და სხვას) გლეხები ამავე კერძო პირებისაგან იძენდნენ. ბარიტის წარმოების ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა პირველ მსოფლიო ომამდე, რომლის დროსაც წარმოება სრულიად შეწყდა.

მეზევიკების დროს ბარიტის წარმოება განაახლეს, მაგრამ მისი ამოღება ისევ ძველი, პრიმიტიული წესით და მცირე რაოდენობით წარმოებდა.


რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1924 წელს დაარსდა „სამთო-ქიმიურა ტრესტი“. ამ დროიდან ბარიტის წარმოება საქართველოში გიგანტური ნაბიჯით ვითარდება. 7 წლის მანძილზე წარმოება დაახლოებით 15-ჯერ გაიზარდა.

ბუნებრივი ბარიტი ტექნიკაში პოულობს უშუალო მრავალმხრივ გამოყენებას. წვრილად გაფხვი-



ჩახ. 1. ასე ეზიდებოდნენ ბარიტის მაღანს ჭინათ.

ერებული სახით იგი საგრძნობი რაოდენობით იხ-
მარება ნავთობის ჭაბურღლილების ბურღვის დროს,
როგორც სითხის სვეტის დამამდიმებელი.



ნაჩ. 2. ახლა ბარიტის ტრანსპორტირება მაღაროებიდან
საბაგირო გზით წარმოებს.

მაღალხარისხოვანი ბარიტი, ძლიერ წვრილად
გაფხვიერებული, როგორც შემავსებელი, იხმარება
მთელ რიგ წარმოებებში: რეზინის, ლინოლეუმის,
სხვადასხვა სახის ქაღალდის წარმოებაში. აქვე უნდა
აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ხარისხის ქაღალ-
დის დამზადებისას ძლიერ წვრილად გაფხვიერებუ-
ლი ბუნებრივი ბარიტიც კი გამოუსადეგარია. ამი-
ტომ ამ შემთხვევაში იხმარება ხელოვნურად და-
ლექვის წესით დამზადებული ბარიტი, რომელსაც
ბლანფიქსი ეწოდება.

გარდა ამისა, ბარიტი დიდი რაოდენობითაა საჭი-
რო პატეფონის ფირფიტების წარმოებაში, აგრეთ-
ვე სალებავების, ჭურჭლის მოჭიქვის, ფოლაქების
და ხელოვნური სპილოს ქვლის წარმოებაში.

ფლუსის სახით ბარიტი იხმარება თითბრის გა-
მოდნობასა და შუშის წარმოებაში. იგი ცეცხლ-
გამძლე და მქავაგამძლე საგოზავ ნივთიერებათა
ერთ-ერთი შემაღებელი ნაწილია.

ბარიტის ქიმიური ინერტულობა და რენტგენის
სხივების დაჭერის უნარი შესაძლებელს ხდის
სუფთა ბარიტის გამოყენებას რენტგენოტექნიკა-


ში (შინაგანი ორგანოების გაშუქებისას ნათელ ტექნიკურ მოსახულებათა მისაღებად) და სხვა.

ბარიტი წარმოადგენს ძირითად ნედლეულს,
რომლიდანაც მიიღება ბარიუმის სხვადასხვა მარი-
ლები. ამ მარილებს დიდი გამოყენება აქვთ ტექნი-
კასა და სახალხო მეურნეობაში. აქვე უნდა აღი-
ნიშნოს ის გარემოება, რომ ბარიტის უშუალოდ
გადამუშავება მარილებად და მისგან ბარიუმის
სხვადასხვა მარილების მიღება ვერ ხერხდება,
რადგან ბარიტი წყალში და მჟავებში პრაქტიკუ-
ლად უსხსნადია. აღდგენის ამა თუ იმ ხერხით შე-
საძლებელია მისი გადაყვანა წყალში კარგად
ხსნად ბარიუმსულფიდად (BaS), რომელიც გამო-
სავალ ნედლეულს წარმოადგენს ბარიუმის მარი-
ლების უმეტესობისა და ლიტაპონის მისაღებად.
ბარიუმის სულფიდის მიღების პროცესი დაკავში-
რებულია ბარიუმსულფატის თერმულ დამუშავე-
ბასთან აღმდგენლის თანდასწრებით. აღდგენის
პროცესი მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს.

არსებობს ბარიტის ბარიუმსულფიდად აღგე-
ნის მთელი რიგი ხერხები.

აღდგენით მიღებული ბარიუმსულფიდი, რო-
გორც წყალში კარგად ხსნადი ნაერთი, შესაძლებ-
ლობას იძლევა გადამუშავებულ იქნას იგი სხვადა-
სხვა მარილებად, რომლებიც ფართო გამოყენებას
პოულობენ ჩვენს მრეწველობასა და სახალხო
მეურნეობაში.

ამამად ბარიუმის სულფიდი წარმოადგენს იმ
ძირითად გამოსავალ ნედლეულს, რომლიდანაც
უმთავრესად მიიღება ბარიუმის მარილები: ბარიუ-
მის კარბონატი, ბარიუმის სულფატი, ბარიუმის
ქლორიდი, ბარიუმის ნიტრატი, ბარიუმის უნგის
ჰიდრატი. განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყე
ნებული ბარიუმის სულფიდი ლიტაპონის წარმო
ებაში.



ნაჩ. 3. ბარიტის აღდგენა ბარიუმსულფიდათ მბრუნავ მილი-
სებრ ღუმელში.

ქართული სასიარულო თხილამურები

გერეზ ჩაჩაშვილი

ხელორის მეცნიერებათა კანდიდატი

თხილამური, როგორც ზეგანსა და მთაში თოვლის პირობებში გამოსაყენებელი სამიმოსელო საშუალებათა ერთ-ერთი სახეობა, მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი მონაცემია ამა თუ იმ ეონიურ გარემოში დამოწმებულ გადასაყვან და გადასაზიდ საშუალებათა შესწავლისათვის.

თხილამური უძველესი დროიდანაც ადამიანის სამეცნიერო მოღვაწეობასთან, კერძოთ მონადირეობასთან იყო დაკავშირებული და იმთავითვე სვლის გასაადვილებელ, ღრმა თოვლზე სამიმოსელო დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა. თავის არსებობის გრძელ მანძილზე, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, იგი ახალ-ახალ ფუნქციებს იძენდა და ტექნიკურადაც უმჯობესდებოდა.

თხილამური ტიპოლოგიურად ორი ძირითადი სახეობისაგან შედგება: ერთია აღრინდელი—სასიარულო, მეორე კი უფრო მოგვიანო — სასრიალო. სასიარულო თხილამურებით მხოლოდ ნაბიჯით სიახლი შეიძლება. სასრიალო თხილამურებისაგან განსხვავებით, მათ სავანგებო მოყვანილობა აქვთ. ამჟამად ყველაზე გავრცელებულია სასრიალო თხილამურები, რომელთა სპორტული, სამეურნეო და, განსაკუთრებით, სამხედრო მნიშვნელობა საყოველთაოდაა ცნობილი.

საბჭოთა კავშირში სათხილამურო სპორტის განვითარებამ უჩვეულო აღმავლობას მიაღწია. იგი საბჭოთა ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ქმედითი საშუალებაა.

საქართველოში მასობრივი სათხილამურო სპორტის ნამდვილი აღმავლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაწყოდა უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სასრიალო თხილამურებმა გაბატონებული ადგილი მოიპოვეს, მთიანი ზოლის სპეციფიკურ პირობებში არც სასიარულო თხილამურებია დღემდე პრაქტიკულ მნიშვნელობას მოქლებული. ამ თვალსაზრისითაც სასიარულო თხილამური ქართული მატერიალური კულტურის მეტად მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მდგრადი წესაცდის მიზანის მიზანით მომდევნობის მნიშვნელობას და განვითარების აღრინდელი საფეხურისათვის ნადირობის სამეცნიერო მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, საკითხი უფრო საგულისხმო გახდება. ამ თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ენთოგრაფიულ სინამდვილეში თხილამურების მეტებლებად მეტწილად მონადირები ითვლებინ. უფრო მეტიც, სვანეთში ძველად, როცა ღრმა თოვლი სამიმოსელო ბილიკებს დაფარავდა, მონადირე — მოთხილამურები დათოვლილ ზილიკს მწკრივად დაადგებოდნენ და გზას გაკაფავდნენ. გაკაფულ გზაზე სოფლის მოსახლეობა უკვე უთხილამუროდ დადიოდა.

ლეში გავრცელებული და ძველი ტრადიციის მქონე ჩანს.

საქართველოში სასიარულო თხილამურების მრავალფეროვანი სახეებია დადასტურებული. ამ თხილამურთა კოლექცია თავმოყრილია აკად. ს. ნ. ჭანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. ძველად სასიარულო თხილამურები, განსაკუთრებით საქართველოს მთიან ნაწილში, ზამთრობით მიმოსვლის დროს მგზავრის ეკიპირების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ხოლო მონადირისათვის — თოვლის პირობებში ნადირობის დროს განუყრელი თანამგზავრი იყო. ამასთან, თუ ქართველი ტომების საზოგადოებრივი განვითარების აღრინდელი საფეხურისათვის ნადირობის სამეცნიერო მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, საკითხი უფრო საგულისხმო გახდება. ამ თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ენთოგრაფიულ სინამდვილეში თხილამურების მეტებლებად მეტწილად მონადირები ითვლებინ. უფრო მეტიც, სვანეთში ძველად, როცა ღრმა თოვლი სამიმოსელო ბილიკებს დაფარავდა, მონადირე — მოთხილამურები დათოვლილ ზილიკს მწკრივად დაადგებოდნენ და გზას გაკაფავდნენ. გაკაფულ გზაზე სოფლის მოსახლეობა უკვე უთხილამუროდ დადიოდა.

თხილამურების დასამზადებლად საქართველოს სხედასხვა კუთხეში ხის შემდეგ ჭიშებს იყენებდნენ: თხილს, ჭნავს, ნეკერჩხალს, მწყავს, ზოგჯერ ვყალსაც; ამათგან უპირატესობას ანიჭებდნენ თხილს, როგორც მკერიესა და გამძლე მასალას. ხის ამ ჭიშთანაა დაკავშირებული თვით სახელწოდებაც — თხილამური, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი ტომები თხილამურის დასამზადებლად ძველთაგანვე ხის ამ ჭიშს იყენებდნენ.

რაჭაში თხილამურის დამზადების შემდეგი წესია დამოწმებული. თხილის, არყის ან ჭნავის ტოტს ცულაფთით ჭრიდნენ, ცალ მხარეს ჩამოუთლიდნენ და დანით პირს ჩამოუსწორებდნენ. დრეკადობის უნარის შემატების მიზნით ტოტს ცეცხლზე ათბობდნენ, ღუნავდნენ და რკალის ფორმას აძლევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მოღუნულ ტოტს კვლავ გაშლიდნენ და ბოლოებს სამ-

ოთხ ადგილას ცეცხლზე გახურებული საწვავით* ამოუწვავდნენ. ტოტს ხელახლა მორკალავდნენ იმგვარად, რომ ბოლოების ნაჩრეტები ერთმანეთს დამთხვეოდა. ნაჩრეტებში ძაგარს ან კანაფს უყრიდნენ და რკალის ბოლოებს ერთმანეთზე ამაგრებდნენ. შეკრულ რკალს შუაცეცხლის ზემოთ აყროლზე (სხვენზე) ჩამოყიდებდნენ, სადაც რკალი ერთი-ორი თვის განმავლობაში იბოლებოდა და მეტ გამძლეობასა და სიმაგრეს იძენდა. შებოლლი რკალს (თხილამურის ჩარჩოს) ამომწვარ თვლებში გაყრილი ტყავის თასმით — საკანავით ძირს ამოუქსოვდნენ. ნაკვანძის კიდეებზე გამოუბამდნენ თასმისავე ყურფებს (თხილამურის სამაგრს), რომელზეც ფეხი ჭაპებით მაგრდებოდა.

რაჭისაგან განსხვავებით გურიაში სათხილამურე ტოტს სიმაგრისა და მეტი დრეკადობის მისანიჭებლად წყალში გამოხარშავდნენ.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია სასიარულო თხილამურების ოთხი სახეობა: 1. გირკალისებური, 2. მრგვალი, 3. ელიფსური, 4. ჭვინტიანი. ამ თხილამურთა შეკვრის წესი და ჩარჩოს ნაქსოვი შემდეგ სურათს იძლევა.

გირკალისებური მოყვანილობის თხილამურის ჩავისებურად მოღუნული მხრები ერთმანეთზე კი არაა უშუალოდ დამთხვეული, არამედ ღვლეჭითა მშვილდისებურად დაჭიმული.

მრგვალი მოყვანილობის თხილამურის ჩარჩოს ბოლოები ერთმანეთზე უშუალოდა დამთხვეული და თაკმით გადახვეული ან ბოლოებზე ამომწვარ თვლებში გაყრილი გრეხილითაა დამაგრებული.


ელიფსური მოყვანილობის თხილამურის ჩარჩოს ბოლოები მეტწილად მარჯვენა გვერდზე ერთმანეთზე უშუალოდ დამთხვეული და დამაგრებული.

ჭვინტური მოყვანილობის ჭვინტიანი თხილამურის ჩარჩოს ბოლოები ჭუსლისენაა ერთმანეთზე სწორი სიბრტყით დამთხვეული და მათზე ამომწვარ თვლებში გაყრილი წირებით დამაგრებული.

თითოეულ ამ ჯგუფს თხილამურის ძირის თავისებური ნაბანდი (ნაქსოვი) ახასიათებს. ასე, მაგალითად, გირკალისებური თხილამური უსწორო, არათანაბარი ოთხუთხედის მსგავსადაა ღვლე-

ჭით ამობანდული; მრგვალი მოყვანილობის თხილამურის ძირი უფრო ხშირი გეომეტრიული სახეების მსგავსადაა ამოქსოვილი. ელიფსური მოყვანილობის თხილამურის ნაქსოვი არც ისე ხშირია, ჭარბობს პარალელური და გვარედინი ხაზები, ხოლო ჭვინტიანი თხილამურის ძირი ელიფსურ-გირკალისებური თხილამურის მსგავსადაა ამოქსოვილი.

შეკვრის წესისა და ძირის ნაქსოვის გარდა, თითოეული ჯგუფის თხილამური მოყვანილობითაც განსხვავდება სხვა ჯგუფისაგან. ამათგან დამზადების სისადავითა და სიმარტივით ხევსურული თხილამური გამოირჩევა. ამ თხილამურის ჩარჩოს ჭარმოადგენს ცხენის ნალის მოყვანილობის არყის ტოტი, რომელიც ღვლეჭითაა ამობანდული. საინტერესოა, რომ ხევსურები ამ თხილამურს გირკალს უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: „თხილამური გრკალი არს, ფერხთა დაცურენ დიდთა თოვლთა ზედა სავლელად, რათა თოვლთა სილრმესა არა ჩაიჭრან“.



გაბ. I

* საწვავი — ჩის ტარში ჩასმული მჭრელი ჭვერის მქონე რკინის ჭვრილი ზოდია.

საფიქრებელია, რომ ხევსურეთში შემონახული გირკალი (ტაბ. I, სურ. 1, 2, 3, 4) ქართული თხილამურების განვითარების ერთ-ერთი აღრინდელი საფეხურის მაჩვენებელია და მან განვითარებისა და გაუმჯობესების გრძელი გზა განვლო ქართული ხალხის ისტორიულ ვითარებაში.

ხევსურულ გირკალისებურ თხილამურთან შედარებით უფრო დაწინაურებულს წარმოადგენს თხილამურისა მეორე ჯგუფი, ე.წ. მრგვალი თხილამურები. თხილამურთა ეს ჯგუფი დამოწმებულია: გურიაში, მთიულეთში, სვანეთში (ტაბ. 1, სურ. 5), აფხაზეთში (ტაბ. 1, სურ. 6) და სხვ. ამ თხილამურთა დამზადების ტექნიკა უფრო რთულია და მათი უპირატესობა გირკალთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ ისინი თოვლის გაცილებით უფრო დიდ ფართობს ებჯინებიან და ღრმა თოვლზე სიარულს აადვილებენ. აღსანიშნავია, რომ მას სვანები ძველებურ თხილამურს უწოდებენ. ამ ტრადიციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ფრანგ მოგზაურ შარდენის მიერ XVII საუკუნეში დამოწმებული ლაშური და მეგრული მრგვალი თხილამური. ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ციმბირული „ტრუგას“ სახელშოდებით ცნობილი მრგვალი მოყვანილობის თხილამური, რომელიც უძველესი ტიპის თხილა.


მურადია მიჩვეული, ძალიან ემსგავსება სვანურ ძველებურ თხილამურს. ამ მხრივაც თვით სახელშოდება „ძველებური“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და გარკვეულად მიუთითებს, რომ სვანები მატერიალური კულტურის ამ ელემენტს ძველთაგანვე იცნობდნენ.

თხილამურთა ზემოდასახელებულ ჯგუფებისაგან ყველაზე მრავალფეროვანი და გავრცელებული ელიფსური მოყვანილობის თხილამურია. ამ ჯგუფის თხილამურები დამოწმებულია: აჭარაში (ტაბ. I, სურ. 8, ტაბ. II, სურ. 2, 3), იმერეთში (ტაბ. II, სურ. 4), სამეგრელოში (ტაბ. II, სურ. 1, 8), რაჭაში (ტაბ. II, სურ. 7), სვანეთში (ტაბ. I, სურ. 9), ქართლში (ტაბ. I, სურ. 7) და ა.შ. თხილამურის ჩარჩოს დამუშავებისა და ტექნიკური დაწინაურების მხრივ ამ ჯგუფის თხილამურთაგან ყველაზე სრულქმნილი აჭარული თხილამურია (ტაბ. II, სურ. 2, 3). ეს თხილამურები მთის რელიეფზე ვიწრო ბილიკით მგზავრობის პირობასთან არიან შეხამებული და ნაბიჯით სიარულის სისწრაფესაც აძლიერებენ.

მაგრამ განხილულ ჯგუფთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გურია-აჭარა-იმერევის ეთნიკურ გარემოში დაღასტურებული ჭვინტიანი თხილამური.

ამ ტიპის თხილამურს ჩვენ პირობით ვუწოდეთ ჭვინტიანი იმის გამო, რომ მას წვერი მოკაუჭებული აქვს და წინ წამოწეული.

აღსანიშნავია, რომ ჭვინტიანი თხილამური საქართველოს სხვა კუთხეში დღიუსათვის დამოწმებული არ არის. იგი ქართულ ენთოგრაფიულ სინამდვილეში არსებულ თხილამურთა შორის ყველაზე უკეთესადაა მიჩვეული. მისი ტექნიკური უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქუსლი და წვერი ზევითკენაა ამოწეული და თოვლზე სიარულის დროს მთელი სიბრტყით არ ემთხვევა თოვლის ზედაპირს; თოვლთან მისი მხრების შეხების წერტილები გაცილებით ნაკლებია, ვიღრეცლიფსურის ან მრგვალი მოყვანილობის თხილამურისა. თუ თხილამურის მხრების შუაწელი თოვლში მცირედათ მაინც ჯდება, ქუსლი და წვერი, პირიქით, თოვლის ზემოთ რჩებიან. ეს გარემოება მგზავრის სიარულს აადვილებს და ნაბიჯის სისწრაფესაც მატებს. მას ელიფსურის უპირატესობაც მოეპოვება და საკუთარიც ახლავს. ეს თხი-



ტაბ. II



ლამური დამუშავების, ფორმისა და გამოყენების მხრივ ქართულ სასიარულო თხილამურთა შორის ყველაზე სრულქმნილსა და გაუმჯობესებულ ტიპს წარმოადგენს და ამავე დროს ხის დამუშავების მაღალ კულტურულ ტრადიციაზე მიუთითებს.

საქართველოში სასიარულო თხილამურების მეტად მრავალფეროვანი ნაირსახეობაა დამოწმებული. ეს გარემოება კი იმის დამაღასტურებელია, რომ დროთა მსვლელობაში ქართველ ხალხს სასიარულო თხილამურთა ახალი სახეების შექმნისა და არსებულის გაუმჯობესებისათვის მრავალი შრომა და ენერგია მოუხმარებია.

ქართული სასიარულო თხილამურების მრავალფეროვანი ნაირსახეობის შესწავლა, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტექნიკურად დაწინაურებული თხილამურების არსებობა, ადასტურებს, რომ ამ თხილამურთა ძირითადი ნაწილი მშობლიურ რელიეფთან შეეგუებული, ადგილობრივი წარმოშობის, საუკუნეთა განმავლობაში განვითარებული, გაუმჯობესებული და ტექნიკურად მაღალ დონეზე მყოფი მატერიალური კულტურის ნაყოფია.

კავკასიის ბუნება, მისი მთების უხვოთოვლიანობა, ხოლო თოვლის პირობებში თხილამურის გამოყენების აუცილებლობა იმთავითვე ნოყიერ ნიაღაგს ქმნიდა კულტურის ამ ელემენტის ადგილობრივად განვითარებისათვის. ამ მხრივაც თხილამურები კავკასიაში უძველესი ტრადიციის მქონე ჩანს. ამას უნდა მოწმობდეს ძველი ბერძნია ავტორების ქსენოფონტეს (IV ს. ძ. წ.). და სტრაბონის (I ს.) ცნობები. ქსენოფონტეს ცნობით სომხეთში ცხენებსა და მუშა-საქონელს ფეხებზე ტოპრაკებს ახვევდნენ, ვინაიდან უამისოდ ისინი მუცლმდე თოვლში ეფლობოდნენ. სტრაბონის ცნობით, სამხრეთ-კავკასიის მთიანი ნაწილის მოსახლეობა, კერძოთ სვანეთში, დათოვლილ მთაზე ასასვლელად ფეხზე ამოკრულ დალურსმულ ფართო ტყავებს ხმარობდა. მთიან ბარგის ჩამოსატანად კი იყენებდნენ ნადირის ტყავს, რომელზედაც ბარგსაც აწყობდნენ, თვითონაც წვებოდ-

ნენ და მთილან ისე დაცურდებოდნენ. მაგვარივე მუშავე წესი სომხეთშიც არსებულა, სადაც მგზავრები ფეხზე ამოკრულ ტყავის ნაჭრებზე დალურსმულ ხის ბორბლებს იმაგრებდნენ.

თოვლისა და ყინულის პირობებში მთილან აღმიანისა და ბარგის დაცურების აღნიშნული წესი მოწმობს, რომ თოვლასა და ყინულზე სრიალის უპირატესობის გამოყენების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა სამხრეთ-კავკასიაში. ამავე პრინციპზეა აგებული აწინდელი სასრიალო თხილამურიც და ამდენად ტყავზე დაცურების პრაქტიკა (გამომგონებლობის თვალსაზრისით) შესაძლებელია სასრიალო თხილამურის უძველეს ჩანასახად იქნეს შიჩნეული. დასახელებულ ავტორთა ცნობებში როგორც წრიაპი, ისე სასიარულო თხილამური უნდა იგულისხმებოდეს, მით უმეტეს, რომ კავკასიის თოვლიან მთებში მიმოსვლისას ორივე ხელ-საწყო ერთმანეთის დამხმარეს წარმოადგენს, რადგან დაფიცესულ თოვლზე მხოლოდ თხილამურით სიარულია შესაძლებელი, ხოლო მოყინულ თოვლზე — წრიაპით.

ქართული თხილამურების ფორმათა უხვი ნაირსახეობა, დამზადების ტექნიკის სათანადო დონე და თავისებურებანი, მათი გავრცელებულობა სამხრეთ-კავკასიაში, კერძოთ სვანეთში მათი მონათესავე პრატოტიპული ელემენტების ძველთაგანვე არსებობა და, დასასრულ, ტერმინის ქართულობა და სიძველე მოწმობს, რომ კულტურის ეს ელემენტი ქართულ-კავკასური მატერიალური კულტურის შედარებით ძველი კუთვნილებაა და თავის ძირითად ნაწილში აღილობრივად, დამოუკიდებლადაც წარმოქმნილი და განვითარებული.

ხოლო ქართული თხილამურების ყველაზე დაწინაურებულ სახე—ჭვინტიანი თხილამური, ქართული თხილამურების თანდათანობით განვითარების უშესანიშნავესი ნიმუშია და ხის დამუშავების მაღალი ოსტატობით სახელმოხვეჭილი სამხრეთ საქართველოს ხალხური შემოქმედებითი ნიჭის მონაპოვარია.



პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი

დაცვა ვახშინ პაკაცი

ჩვენი სტატია მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ქართველი მეცნიერი პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი.

1812 წლის სამამულო ოშის ცნობილი გმირის — პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის ძმისწული პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი დაიბადა 1818 წლის 24 სექტემბერს პეტრებურგში. ღამისწებითი განათლება ფახახში მიიღო. 13 წლის ასაკში იგი მიაბარეს გვარდიის პოლკრაპორშიკების სკოლაში, სამხედრო მოღვაწეობა დაიწყო 1835 წლიდან.

პ. ბაგრატიონმა ახალგაზრდობიდანვე მიიქცია ყურადღება ზუსტი მეცნიერებისადმი ღრულვით. დაწყო რა არტილერიის შესწავლა, მან იგრძნო, რომ ტექნიკურ და ზუსტ მეცნიერებათა შესწავლის გარეშე არტილერიის ღრმად დაუფლება შეუძლებელი იყო.

25 წლის ახალგაზრდა სწერს შესანიშნავ შრომას ოქროს ციანირების შესახებ. ამ შრომაში მოცემული იყო ოქროს ქვიშრობებიდან და მაღნებიდან ოქროს გამოყოფის ახალი ხერხი. დაწვრილებით იყო აღწერილი ციანირების გზით ოქროს მიღების ტექნოლოგია. ბაგრატიონის ეს მეთოდი მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება ოქროს მეტალურგიაში. ეს შრომა შეიცავდა აგრეთვე ავტორის მიერ დამუშავებული ოქროს ციანირების ახალი ორიგინალური მეთოდის აღწერას.

აი რას წერს ამ მეთოდის შესახებ რუსეთის ტექნიკა-ტექნოლოგიის გამოჩენილი ისტორიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ვ. დანილევსკი:

„პ. რ. ბაგრატიონმა შეისწავლა ტუტე ციანივანი ნაერთებისა და ყვითელი სისხლის მარილის*) წყალხსნარებში ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის გახსნის პროცესები. მან მოგვცა ამ პროცესების მეცნიერული თეორია და აღმოაჩინა ხერხები მათზე ზემოქმედებისა ტემპერატურის შეცვლის, ჰაერთან გაძლიერებული შეხების გზით და ა. შ. გალვანიზმის ისტატია, მან პირველმა შეისწავლა ელექტრული დენის მოქმედება ოქროს ციანირებასთან დაკავშირებით“.**)

*) ჭალიუმის ფერციანიდი — $K_4Fe(CN)_6$.

**) ვ. ვ. დანილევსკი, „Русская техника“, გვ. 88.

ამ შესანიშნავი შრომისათვის პ. რ. ბაგრატიონი 1843 წლის 3 ნოემბერს დაჯილდოებული იქნა სტანისლავის ორდენით. 1844 წლის დასაწყისში პ. რ. ბაგრატიონმა შექმნა ორიგინალური ელექტროდენის წყარო — გალვანური ელემენტი. ამ ელემენტში ანოდათ გამოყენებული იყო თუთია, ხოლო კათოდათ — სპილენძი, ელექტროლიტათ — განზავებული გოგირდმეავა სპეციალური დანამატებით. ეს ელემენტი მან გამოიყენა კრონშტადტის ნავსაღებურის ყინულებისაგან გათავისუფლების სამუშაოთა ჩატარებისას. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულების გამო, რაც წმინდა მეცნიერული გზით იქნა გადაწყვეტილი, იმავე წლის 9 მაისს პ. რ. ბაგრატიონი კვლავ ორდენით დაჯილდოვეს.

რამდენიმე თვის შემდეგ ღიღმა რუსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ე. ხ. ლენცმა მოხსენებული შრომა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა. აკადემიამ მაღალი შეფასება მისცა პ. რ. ბაგრატიონის შრომას და თავის „ბიულეტენში“ (1844 წლის № 9—10 ტომი) ფრანგულ ენაზე დატეჭდა.

1844 წლის ოქტომბერში პ. რ. ბაგრატიონი 6 თვის ვადით მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ-გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. პ. რ. ბაგრატიონმა მიზნად დაისახა სამეცნიერო მიღლინებით ესარგებლა საინჟინრო და საარტილერიო საქმეში ელდენის გამოყენების თავისი იდეების დასამუშავებლად.

მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ პ. რ. ბაგრატიონი გეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ურალში. ამ სამუშაოთა დროს ახმატის მაღაროებში მან აღმოაჩინა და შეისწავლა ერთი მინერალი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე უნიკურმად ითვლებოდა. ეს მინერალი წარმოადგენდა ორტიტის ახალ სახეობას. იგი მანამდე უცნობი იყო მსოფლიო მინერალოგთათვის. შესწავლის შემდეგ პ. რ. ბაგრატიონმა ხენებული მინერალი გადასცა განთქმულ მინერალოგს, რუსეთისა და უცხოეთის მრავალი მეცნიერებათა აკადემიის წევრს პროფ. ნიკოლოზ კოშკაროვს.

3. ბაგრატიონს გაჰყავდა რეზონა
ნიგზები და ტელეგრაფი, ის სწანი-
და საჯარო ბიბლიოთეკებს, მუზე-
უმებსა და სახალხო სკოლებს, სა-
დაც თანაბრად ლებულობდნენ არა
მარტო „მაღალი წრის“ ადამიან-
თა შვილებს, არამედ გლეხის შვი-
ლებსაც. საკუთარი ფულითა და
სხვადასხვა საქველმოქმედო საზო-
გადოებების საშუალებით ეხმარე-
ბოდა უპატრონო და ლარიბ ბაგ-
შვებს, აკეთებდა ჯებირებს მოსა-
ხლეობის წყალდიდობისაგან და-
საცავად, აწარმოებდა ადგილობ-
რივ გეოლოგიურ გათხრებს და
სხვა.

პროფ. კოშკაროვის შრომის გვ. 384, სადაც აგტორი ლაპარაკობს პ. ბაგრატიონის
მიერ ახალი მინერალის აღმოჩენაზე.

კოშკაროვმა, როგორც მინერალოგის უბად-
ლო სპეციალისტმა, კიდევ უფრო ღრმად შეისწავ-
ლა ორტიტის ეს ახალი სახეობა და მას მისი აღ-
მომჩენის სახელი უწოდა: 1845 წლიდან ამ მინე-
რალს ბაგრატიონიტი ეწოდება.

1845 წლის 19 ივნისს პ. რ. ბაგრატიონი კვლავ
ევროპაში გაემგზავრა, აქ მან შვიდი წელი დაკყო
და პოლკოვინიების წოდებას მიაღწია. ევროპაში
ყოფნის დროს მან მიიღო: შვეციის, პორტუგა-
ლიის, ნეაპოლიტანიის და ერმანიის შვიდი ორდე-
ნი (სამწუხაოდ, სახელდობრ რა დამსახურების
გამო — ეს ჭერ კიდევ შესწავლილი არ არის).

1852 წლიდან პ. რ. ბაგრატიონი რუსეთში
ბრუნდება და სამხედრო მოღვაწეობას განა-
ვრმობს.

1861 წელს იგი, უკვე გენერალ-მაიორის წოდე-
ბით, კურსკისა და პერმის გუბერნიებში. გლეხთა
რეფორმის გატარებას ხელმძღვანელობდა. 1862
წელს დაინიშნა ტვერის გუბერნატორად. 1865
წელს მიერიჲა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

1870 წლის 22 სექტემბერს პ. რ. ბაგრატიონი
ინიშნება ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის გენე-
რალ-გუბერნატორად. ამ დროისათვის ბაგრატი-
ონს უკვე 20 ორდენამდე ჰქონდა მიღებული.

1876 წლის იანვარში სამსახურებრივ საქმეებ-
თან დაკავშირებით პ. რ. ბაგრატიონი პეტერბურგ-
ში ჩავიდა და 58 წლის ასაში მოულოდნელად
გარდაიცვალა ასტმისაგან. 20 იანვარს ის დაკრძა-
ლეს პეტერბურგის ვოსკრესენსკო-ნოვოდევიჩის
მონასტერში.

აღსანიშნავია, რომ უკვეგან, სადაც კი პ. რ. ბაგ-
რატიონი ხელმძღვანელად ინიშნებოდა, შემონახუ-
ლია მისი ხსოვნა, როგორც უაღრესად განათლე-
ბული, იშვიათი ტაქტის მქონე და კაცომოყვარე
ადამიანისა.

ყოველივე ამას რუსი ხალხი კარგად ხედავდა
და ამიტომ უმაღლოდა კიდეც მას. ასე, მაგალი-
თად, ქალაქ ტევერის მოსახლეობამ 1868 წლის
მარტში, პ. რ. ბაგრატიონის სხვა სამუშაოზე გადა-
სვლის გამო, მისი სახელის უკვდავსაყოფად და-
წეს მისი და მისი შეუღლის სახელობის სტიპენ-
დიები ქალაქის ქალთა გამნაზიასა და თეით პ. რ.
ბაგრატიონის მიერ დაარსებულ „უპატრონო
ბავშვთა სახლში“. გარდა ამისა, ქალაქის მოსახ-
ლეობამ შეაგროვა პეტრე რომანის-ძე ბაგრატიო-
ნის სახელობის მუდმივი თანხა, რომლის პროცენ-
ტებიც მრავალი წლის განმავლობაში ხმარდებოდა
უპატრონო ბავშვების ტექნიკურ განათლებას.

პ. რ. ბაგრატიონის ბევრ შრომას ისეთივე ბედი
ეწია, როგორც მრავალი დიდი რუსი შეცნიერის
შრომასა და გამოგონებას. რუსეთის შეცნიერება-
თა აკადემიაში მოკალათებულმა უცხოელმა „მო-
საქმეებმა“ სწრაფად შეიიგნეს პ. რ. ბაგრატიონის
შრომების ღირებულება და უკვე 1845 წლიდან ევ-
როპასა და ამერიკაში კეთილშობილი ლითონების
ღმუშავება პ. რ. ბაგრატიონის მეთოდით სწარ-
მოებდა (ამჟამადაც სწარმოებს). გავიდა ხანი და
ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1894 წლის ბოლოს,
ბაგრატიონის ცნობილი მეთოდი ოქროს ციანირე-
ბისა რუსეთში დაბრუნდა უკვე მარკ-არტურისა
და ფორესტის მეთოდის სახელწოდებით.

მხოლოდ სოციალისტურ ეპოქაში გახდა შესაბ-
ლებელი ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ის-
ტორიის ღირებული შესწავლა. დიდი სტალინის ყო-
ველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელო-
ბის შედეგად მიეცა ქართველ ხალხს, რომელიც
ჩვენი სამშობლოს მდიდარი კულტურული მემ-
კვიდრეობის ღირსეული მემკვიდრეა, მივიწყებუ-
ლი ღვაწლმოსილი მაულიშვილების მეცნიერუ-
ლი მემკვიდრეობის შესწავლის საშუალება.

საკარაშუტო სპორტის განვითარების ოცი წლისთვის

ოცი წლის წინათ, 1930 წლის 27 აგვისტოს, კორონეების ახლოს, პირველად იქნა შესრულებული ჯგუფობრივი გაღმოხტომა თვითმფრინავებიდან პარაშუტებით. პარაშუტი გამოჩნდა მრავალძრავიანი თვითმფრინავი, რომელზედაც იმყოფებოდა თორმეტი ახალგაზრდა სპორტისტები. ეს გაბედული ახალგაზრდები 400 მეტრის სიმაღლიდან დამშვიდებით დაეშვენ ძირს, მიწისაკენ. ამით ჩაეყარა საფუძველი საპარაშუტო სპორტის მასობრივ განვითარებას საბჭოთა კავშირში.

ჩვენი დიდი ქვეყანა, რომელიც ავიაციის სამშობლოა, ამავე დროს არის პარაშუტის სამშობლოც. საბჭოთა ქავშირს ეკუთვნის შესანიშნავი რეკორდები საპარაშუტო სპორტში. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შეუნელებელი შზრუნველობისა და ყურადღების შედეგად, ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი სპორტის ამ სახის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სრულყოფილად დაეუფლოს პარაშუტიზმის ტექნიკას. საბჭოთა კონსტრუქტორებმა შექმნეს მშვენიერი, ყოველმხრივ სამედიც პარაშუტები. მთელ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ასობით აეროკლუბი, სადაც საბჭოთა ახალგაზრდობა წარმოებილან მოუწყვეტლად ეუფლება საფრენოსნო ოსტატობას, ენერგიულად სწავლობს თვითმფრინავებილან გადმოხტომას.

საბჭოთა ქაბუკები და ქალიშვილები თავიდანვე მონღომებით დაეწაფენ საპარაშუტო საქმეს, ყოველწლიურად იმაღლებენ საპარაშუტო ოსტატობას და ამყარებენ საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს.

პირველი საკავშირო რეკორდი დაამყარა გამოჩნდილმა სპორტისტებმა 6. ევლოებოვმა, რომელიც 1932 წლის 22 მაისს გაღმოხტა 1200 მეტრის სიმაღლიდან და 14 წამის განმავლობაში ეშვებო-

და პარაშუტის გაუშლელად. სამი თვის შემდეგ პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სპორტსმენმა ა. აფანასიევმა, რომელიც 2000 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა და პარაშუტის გაუშლელად ეშვებოდა 33,5 წამის განმავლობაში. ამ დღიდან საბჭოთა პარაშუტისტები არავის არ უთმობდნენ პირველობას, რასაც ადასტურებს ამ დარგში მოპოვებული მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებანი.



საპარაშუტო დესანტი.

1933 წლის 15 თებერვალს პარაშუტისტი გ. ზვორიკინი გადმოხტა 2200 მეტრის სიმაღლიდან და 41 წამის განმავლობაში ეშვებოდა პარაშუტის გაუხსნელად. იმავე წლის აგვისტოში ნ. ევდოკიმოვი გადმოხტა 6700 მეტრის სიმაღლიდან და 108 წამის განმავლობაში გაუშლელი პარაშუტით ეშვებოდა 6.200 მეტრის მანძილზე. იმავე წლის, ორი თვის შემდეგ, ვ. ეგესევი გადმოხტა 7200 მეტრის სიმაღლიდან და გაშალა პარაშუტი სულ 150 მეტრზე მიწიდა.

პარაშუტისტებს შორის ბევრია ქალიშვილი. ქალებიდან პირველი რეკორდი დაამყარა 1934 წელს სპორტსმენმა ქალმა ზ. ბუბუევმ. ის გადმოხტა 3000 მეტრის სიმაღლიდან და გაშალა პარაშუტი 500 მეტრზე მიწიდან. მაგრამ ორი დღის შემდეგ ეს რეკორდი უკან მოიტოვა ნ. კამენევამ, ხოლო 1935 წლის მარტში ვ. ფედოროვა 6350 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა ისე, რომ უანგბადის აპარატით არ უსარგებლნია. იმავე წლის ივლისში ექვსი პარაშუტისტი ქალიშვილი — იაკოვლევა, ბლოხინა, ბაბუშკინა, ნიკოლაევა, ბორდევა და მალინოვსკაია ჯგუფურად გადმოხტნენ 7035 მეტრი სიმაღლიდან, ხოლო პარაშუტისტი ქალი გ. პისეცყაია გადმოხტა 7750 მეტრი, შიშმარიოვი კი — 7932 მეტრი სიმაღლიდან.

შემდგომი წლები ხასიათდება პარაშუტიზმის კიდევ მეტი აღმავლობით. 1938 წელს უკვე მოეწყო გადმოხტომა თვითმფრინავებიდან, რომელებიც ზღვრული სიჩქარით მიფრინავდნენ. პარაშუტისტები ამინტევევი, რომანიული და ხარახონოვი პირველად მსოფლიოში გადმოხტნენ სტრატოსფეროდან.

საბჭოთა პარაშუტისტების განსაცვიფრებელი თვისებანი ნათლად გამოვლინდა სამამულო ომის დღეებში. საბჭოთა პარაშუტისტებმა მოხერხებულად გამოიყენეს თავისთი გამოცდილება ჰიტლერელ მტაცებლებთან ბრძოლაში და სახელოვანი ფურცლები ჩასწერეს სამამულო ომის ისტორიაში, ბევრი ყოფილი სპორტსმენი-პარაშუტისტი გაზღდა მოხერხებული და მამაცი მფრინავი, გაბუღული მედესანტები, რომლებიც სპორტმა საპარაშუტო სპორტის ერთ-ერთმა პიონერმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. მუხორტოვმა. ეს იყო მისი 655-ე გადმოხტომა. მუხორტოვს მიჰყვნენ რეკორდსმენები ს. კორობოვი, ვ. კრივოი და სხვები.

უკვე ომის შემდგომში პირველმა წელის კიდევ ახალი წარმატებები მოუტანა საბჭოთა პარაშუტისტების. 1945 წლის 11 აგვისტოს ნ. ამინტევევმა შესარულა თავისი 1644-ე გადმოხტომა 10.436 მეტრის სიმაღლიდან და 150 წამის განმავლობაში 9.726 მეტრი გაიარა გაუშლელი პარაშუტით. იმავე წლის სექტემბერში ცნობილი რეკორდსმენი რომანიული გადმოხტა 13.108 მეტრის სიმაღლიდან და გაშალა პარაშუტი მხოლოდ 967 მეტრზე მიწიდან, ამის შემდეგ სულ მაღლე საბჭოთა პარაშუტისტებმა ათვისეს ჯგუფობრივი გადმოხტომა სტრატოსფეროდან.

საპარატო სპორტსმენების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება. ასიათასობით ახალგაზრდობა ეუფლება საპარაშუტო საქმეს.

დიდი სტალინის ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება ასულდგმულებს და ამხნევებს საბჭოთა პარაშუტისტებს, რაზმავს მათ ახალი მიღწევების მოსაპოვებლად. ამიტომ არის, რომ ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი რეკორდები ამ დარგში, რომლებიც დიდად აჭარბებენ მსოფლიო მიღწევებს.

თავის იცი წლის იუბილეს საბჭოთა საპარაშუტო სპორტი შეხვდა უდიდესი გამარჯვებით.

1950 წლის 27 აგვისტოს სრულიად საკავშირო შეჯიბრებაზე საბჭოთა პარაშუტისტებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს საპარაშუტო საქმეში თავიანთი დახელოვნების დემონსტრაცია, გამოიჩინეს განსაცვიფრებელი გაბედულობა და სიმამაცე. ამ დღეს პირველმა შეასრულა საჩვენებელი გადმოხტომა საპარაშუტო სპორტის ერთ-ერთმა პიონერმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. მუხორტოვმა. ეს იყო მისი 655-ე გადმოხტომა. მუხორტოვს მიჰყვნენ რეკორდსმენები ს. კორობოვი, ვ. კრივოი და სხვები.

1950 წლის 27 აგვისტოს დღესასწაული წარმოადგენდა საბჭოთა პარაშუტისტების სსტატობის, ამტანიანობისა და სიმამაცის დემონსტრაციას, რაც შედეგია პარტიის, მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური ზრუნვისა საპარაშუტო სპორტის განვითარებისათვის.

გ. ჩ.

ԱՐԵՎԱՏՅԱ-ԿԵՐԵՎԻԿ ԽՈԹԱ ՀԱՅՐԵՆԻ ՖԻԿՆՈՒԱՆ

„მცირე ავიაციის“ შემოქმედნი

ინტერვიუ გორგა ბორიძე

ლ. 3. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილების გამცე

ლ. პ. ბერიას სახელმისი თბილისის პონერთა და მისწავლითა სასახლის ტექნიკის განყოფილებაზე უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და გააფართოვა თავისი მუშაობა. მოწვევულია აალი მაღალგალიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, გაიზარდა წრების სახეები და რაოდენობა, ბევრად გაზარდა წრებში ჩაბმულ მოწავლეთა რიცხვიც. რეგულარულდა ტარდება საჯარო ლექციები, ისმენენ სუბპრეს ტექნიკის სხვადასხვა დარღიძან, ეწყობა ტექნიკური ხასიათის კიროვილმცბის დემონსტრაციება, ექსკურსიები თბილისის მსხვილ საზარმოებში და ქარხნებში. მოწავლეები აღრმავებენ სკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნას, აფართოვებენ ტექნიკურ აზროვნებას, სწავლობენ იარაღების ხმარებასა და მასალების დამუშავებას, იძენენ შრომითი ჩვევებს. ტექნიკის განყოფილების აღიასამოღელო, რადიო, ტრანსპორტისა და სამატერიალური კაბინეტებში, ავტომექანიკურ და ფოტოლაბორატორიებში, ხის დამუშავებისა და მექანიკურ-საჭირო სახელსნოებში მოწავლეები ეცნობან და სწავლობენ ნამდვილი მანქანების მოწყობილობას და აწარმოებენ მოდელირებას — ამჟღავნებენ თავიანთ შემოქმედებით ნიჟებს.

ყ უკველთვის საცხენა ბაგშეგებით ავიასამოდელო კაბინეტი. ა მცრავე ავაციის ნორჩი ისტატები აწარმოებენ მარტივ განა-
გარიშებებს, აღვენენ ნახაზებს, აკეთებენ მფრინავ მოღვა-
ლიებს.

ასეთი მოდელების გაყენება უზრალო გართობა როდია, მოდელი იმავე კანონებით ფრენს, რომლის მიხედვითაც ფრენს პლანერი ან თვითმფრინავი, მათ იგივე ძირითადი ნეტიობი აქვთ.

1949 წლის 11 დეკემბერს ჩატარებულ ავამბოლისტთა
შეგაბრძებაზე, რომელიც სტალინური კონსტიტუციის დღა-
სადმი იყო მიძლონილი, პიონერთა სასახლის აგასაშოდელო-
კაბინეტის მოსწავლეების 22 ოთხის მოდელი იქნა გატანი-
ლი. ამ შეგიბრძებაში სასახლის მოსწავლეებმა დიდ გამარჯვე-
ბას მიაღწიეს და ოთხი რესპუბლიკური ახალი რეკორდ
დაგმობის.


ოთაბის მოდელები ძალიან მცირე წონისა არიან და მათ
ფურცელი ხდება მხოლოდ ოთახში. მათა წინა არ აღვარტყებ
5 გრამს. არის მოდელები, რომლებიც ერთ გრამზე ნაკლები
იქნინენ.

ოთახის პიროვნულებადან მფრინავი მოდელით ჩესპუტი
ლიკური რეკორდი დაასახა მე-13 სკოლის VIII კლასის
მოსწავლემ ალბერტ წიკლაურმა, რომლის მოდელმა პატენტი
დაპყო 1 შუთი 7 წამი. პირველი საქროთველოში დამზადდა
პელიკოპტერის მოდელი, რომლის ნიარჩი კონსტრუქტორია
ვაკთა მე-6 სკოლის X კლასის მოსწავლე კაცა ძიძიგური. პელიკოპტერი აფრინდა იატაკიდან ვერტიკალურად ზევით,
დაევახა ჭერს და ისევ ჟეან დაეშვა. მისი სარეკორდო დრო
გარისაზღვრა 24 წამით. საუკეთესო შედევრით დაბრუნდა ამ
შეგიძლებებიდან ვაკთა მე-14 სკოლის VI კლასის მოსწავლე
გივი ლომსაძე, რომლის ფუნქციანობა თახის მოდელმა
ავალაზე დიდხანს დაპყო პატენტი.

მოღელმა, იურინა 3 წლით და 1948 წლის რესპუბლიკურ
რეკორდს ორგვერ გადაჭარბა. ამგვარად, როგორც გუნ-
დურ, ისე ინდივიდუალური პირველი ადგილები პიონერთ
და მოსწავლეთა სასახლის აკადემიდელო კაბინეტის შოთწავ-
ლებმა დაიკავეს.


გაცილებით საინტერესო იყო მიმდინარე ჭლის იღლისზე
ჩატარებული აგაამიდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება,
რომელიც მომატყოფი ა. რესთავრში.

ამ შეკიბრებაზე ჩესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების 100-ზე მეტი მოდელი იყო წარმოდგენილი, რომელთაგან 38 მარტი პარნებრივა და მოსწავლეთა სასახლის აგარაშმოდებობა დაიწყო. შეკიბრება დაიწყო



ოთახის მოდელების შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოსწავლეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნიერ): ალბერტ წიკლაური (ვაჟთა მე-13 სკოლა, IX კლასი), ანზორ ბუკილიშვილი (ვაჟთა მე-3 სკოლა, VII კლასი), გაცია ძიძიგური (ვაჟთა მე-6 სკოლა, X კლასი), გიგი ლომაშაძე (ვაჟთა მე-14 სკოლა, VI კლასი), ბორის სააკოვი (ვაჟთა 25-ე სკოლა, IX კლასი).

პლანეტების ფრენით. აშევებული იქნა ზედიზედ რამდენიმე პლანეტა, მაგრამ ერთ მათგანს შეეტყო, რომ იგი სულ მაღლა მიდის და სტარტის ადგილს სცრდება. მას სათვალთვალოდ დაედევნა ნამდვილი თვითმფრინავი, მაგრამ პლანეტი



ავიასამოდელო კაბინეტის ყველაზე პატარა ავიაციონულისტი — რეკორდსმენი ვაჟთა მე-14 სკოლის VI კლასის მოსწავლე გივი ლომისაძე.

ავიდა ღრუბლებში და მფრინავმა იგი მხედველობიდან დაპარაგა. რამდენიმე დღის შემდეგ პლანეტა იძოვეს სოფელ უჯარმის მახლობლად, აუტერნის ადგილიდან თითქმის 30 კმ მანძილზე. მისი ფრენის ხანგრძლივობა გაიასაზღვრა 57 წუთით, რაც რესპუბლიკურ რეკორდს წარმიადგენს. ეს შედეგი კიდევ იმით არის საწარტოების, რომ პლანეტის კონსტრუქ-

ტორი არის ჭალთა 51-ე სკოლის X კლასის მოსწავლე გივი ნა ღუბრილ კონკრეტი. მსგავსი ბედი ეწია შეჯიბრების ყველაზე პატარა მონაწილის — ვაჟთა მე-3 სკოლის VII კლასის მოსწავლის ანზორ ბურილაშვილის პლანეტას. მისი წლანერი მფრინავგბმბი მხედველობიდან დაკარგების გადასახმა იგი იძოვეს რამდენიმე საათის შემდეგ. პლანეტამ იფრინა 27 წუთი და დაპარა 12 კმ. მანძილი.

პლანეტების ფრენას მოჰყვა ბენზინძრავიანი მფრინავი ავიამოდელების ფრენა, რამაც დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია. ვაჟთა 21-ე სკოლის IX კლასის მოსწავლის გვერდობრივი სტრუქტურის მოდელი სწრაფად მოსწრდა მიწას და გაემართა ზევათ. მას დაედევნა თვითმფრინავი, მაგრამ მოდელმა მეტი სიმაღლის აღება შესძლო, რის გამო მფრინავი მხოლოდ 29 წუთის განმავლობაში მიჰყვა მას. მოდელი ავიდა 2500 მეტრის სიმაღლეზე და მხედველობიდან დაკარგა. ასევე დაკარგა ლეინიდ შემუჩატოვის მოდელი, რომელიც 1200 მეტრის სიმაღლეზე ღრუბლებში მიმატა.

მლაშე ტანაზე აფრენილი ბენზინძრავიანი პიდრომოდელი რამდენიმე დღის შემდევ იძოვა სოფელ დილმის მინდორზე იმავე სოფლის მცხოვრებმა პიონერმა ქანთარაშვილმა.

რეზინძრავიანი პიდრომოდელით რესპუბლიკური რეკორდი და დამატარა მე-13 სკოლის IX კლასის მოსწავლე ალბერტ წიკლაურმა. მისი მოდელი აფრინდა წყლიდან და ჰაერში დაპყო 1 წუთი და 41 წამი, გაიარა 210 მეტრი.

კარგი შედეგები მიიღეს ვაჟთა მე-6 სკოლის X კლასის მოსწავლემ კაცია ძიძიგურმა, სამხედრო-საპარაზო ძალთა საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. ბერძელიანის სახელობის თბილისის სპეციალის მოსწავლემ მიხეილ რუსაძემ, მე-5 სკოლის X კლასის მოსწავლემ კაჭუაშვილმა და სხვებმა, რომელთა მოდელებმაც შევენივრად იურინენ.

ყველაფერი ეს ნათლად გვიჩენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვთა ტექნიკურ თვითშემოქმედებას — პირველ ნაბიჯს ნამდვილი ტექნიკისაკენ.

ნორჩ ავიამოდელისტთა საკავშირო შეჯიბრების შედეგები

მიმღინარე წლის 6 აგვისტოს, მოსკოვის მახლობლად, სადგურ სილიკატნაიასთან, დაიწყო ავიამოდელისტთა მე-19 საკავშირო შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების, ოლქების და ქალაქების 78 გუნდი (450 მოსწავლე) 700-ზე მეტი მოდელით.

საქართველოს ავიამოდელისტთა გუნდები მთლიანად შედგებოდა ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიასამოდელო კაბინეტის მოსწავლეებისაგან.

საქართველოს ნორჩმა ავიამოდელისტებმა შეკირებაზე შეოთხე ადგილი დაიკავეს.

აქვე იყო გათამაშებული საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, ა. თ. მოუაისკის, ნესტეროვის და პოპოვის სახელობის თასები.

საავიაციო მრეწველობის სამინისტროს თასი მოსკოველებმა გაიყვეს, ხოლო ა. თ. მოუაისკის სახელობის თასი საქართველომ მოიგო.

ნესტეროვის და პოპოვის სახელობის თასები არ ერგო.

ინდივიდუალური პირველობა მოიპოვა თბილისის მე-14 სკოლის IX კლასის მოსწავლემ





კარგი შედეგები მოიპოვეს რეზინძრავიანი ავიამოდელების ნორჩმა კონსტრუქტორებმა — თბილისის ვაჟთა მე-13 სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ალბერტ წიკლაურმა და მე-6 სკოლის X კლასის მოსწავლემ კაცია ძიძიგურმა.

კარგი შედეგები მოიპოვეს სახელისტი შეჯიბრები და სიგელები. შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა აღნიშნა აგრეთვე ინსტრუქტორების ნაყოფიერი მუშაობა და დააჯილდოვა ექს-მათგანი. მათ შორის ძიძიგური სახუქრები მიიღეს საქართველოს ავიამოდელისტთა გუნდების ხელმძღვანელებმა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიასამოდელო კაბინეტის გამგემ ბ. ვ. უკოვმა და კაბინეტის პედაგოგმა ა. ი. გრიშაშვილმა.

უკვე გამარჯვებულს გადაეცა ძვირფასი საჩუქრები და სიგელები. შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა აღნიშნა აგრეთვე ინსტრუქტორების ნაყოფიერი მუშაობა და დააჯილდოვა ექს-მათგანი. მათ შორის ძიძიგური სახუქრები მიიღეს საქართველოს ავიამოდელისტთა გუნდების ხელმძღვანელებმა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიასამოდელო კაბინეტის გამგემ ბ. ვ. უკოვმა და კაბინეტის პედაგოგმა ა. ი. გრიშაშვილმა.

ԱՅԺԹԱՐՁՆՈՒՅԹ , „ՑԱԳ-63“

ავტომობილი „გაზ-63“, რომელსაც მოლოტო-
ვის სახელობის გორკის სავტომობილო ქარხანა
უშევებს, წარმოადგენს ორტონიან ორლერძიან სა-
ტვირთო მანქანას, რომელსაც ორივე ღერძის ამ-
ძრავი აქვს და გაძლიერებული გავლადობით ხა-
სიათლება. მას აქვს კომბინირებული კონსტრუქ-



ავტომობილი „გაზ—63“ სახელმწიფო გამოცდის დროს.

ციის ორადგილიანი კაბინა და უნივერსალური ტიპის ხის პლატფორმა.

ასეთი ავტომანქანა საჭიროა ტკირთების გადასაზიდაო მძიმე საგზაო პირობებში, ტორფლამუშავებისა და ხე-ტყის დამზადების აღგილებზე, უგზონბის შემთხვევაში, სეზონური უამინდობის ღროს, როცა გზები გაუვალია 4×2 ტიპის მანქანებისათვის.

ლატვიირთვა მანქანაზე შემდეგნაირად ნაწილ-
სება:

წინა ბოგირზე უტვირთოდ 51,8 %

ଲୁଗାନ୍ତା ” ” 48,2 ”

წინა „ 1500 კგ ტვირთით 39,6 „

ଓগ্রামকোলিস সাৎওয়িরতন প্লাটফর্মা কীসুা।
গৱেরডেবি অল্ফুর্কওলিস লিংটনিস সামুগ্রেভিত,
রোমল্যেভিউ শ্যেসপেল্যেভলোবস ইলেভিন লাইভস
রুক্ষাল্যেডি এবং দৰ্জেন্টিস ট্রিন্টি।

პლატფორმას აქვს სიგრძიები მისაკეცი საჭდო-
მები, რომლებიც არასამუშაო მღვიმარეობაში
ზევითაა აწეული და გვირლებზეა მიმაგრებული.

„გაზ—63“ მაღალი შეფასება მიიღო, აღინიშნა,

ს ხ ვ ა ღ ა ს ხ ვ ა

ატომის სამყაროში

მეცნიერებმა გამოარყიცეს, რომ ელემენტთა ატომგულების სულიდე საშუალოდ ათაბით ათასერ ნაკლებია მთელი ატომის სიდიდესთან შედარებით. ატომგულს საშუალოდ უკაფა ატომის მხოლოდ $\frac{1}{100\,000\,000\,000\,000}$ ნაწილი.

ატომი რომ ითახის რეგნად წარმოვიდგინოთ, ატომგული თვალით შეუმჩნეველი მარცვლის რეგნა იქნებოდა.


აქედან ცხადია, თუ რამდენად მძიმე იქნება მარტო ატომგულებისაგან აგებული სხეული.

მეცნიერებმა მრავალგზის შეისწავლეს და განსაზღვრეს, თუ რა გაფლენას ახდეს დიდ ვარსკვლავს სირიუსზე მისი ერთი თანამგზავრი და ოღონჩნდა, რომ ეს პატარა ვარსკვლავი 50.000-ჯერ მეტს იწონის, ვარდე იმავე მოცულობის წყალი, მაშაადამე, მისი კუთრი წონა 50.000 უდრის.

ახლა ცნობილია, რომ ნივთიერება, რომლისაგანაც შესდგებიან ზოგიერთი ე. წ. „კარლიკური ვარსკვლავები“, წყალთან შედარებით ასაბით ათასერ და მრავალ მილიონჯერ მძიმეა.

რით შეიძლება აისნას „კარლიკური ვარსკვლავების“ ასეთი ბუმბერაზული წონა?

მხოლოდ ერთით. ცხადია, ამ ვარსკვლავთა ატომების ერთმა ნაწილმა, უნდა ვიფიქროთ, არაჩეულებრივად მიღალი ტემპერატურის გავლენით, დაჰკარგა ყველა ან გარეელექტრონული ვარსკვები და მათი ატომგულები ირთმანეთს შეიძლება დაუახლოვდნენ.



თვალსაჩინოებისათვის მოვაყვანოთ ასეთი მაგალითი: ამ სახლის შემაღენელმა ყველა ატომმა რომ ელექტრონები დაჰკარგოს, სახლი სულ პატარა კუბად გადაიჭეოდა.


ვ. ლ. მეზენცოვის წიგნიდან „Из чего построен мир“, 1950.

უდიდესი ყველა ჩვენის, ყველა დროის და ყველა ხალხის გიგანტურობის შორის

მოსკოვის ცენტრში მთელი კვარტალი, რომელიც გადაჭიმულია თითქმის ნახევარ კილომეტრზე, უკავია კ. ი. ლენინის სახლების სახელმწიფო ბიბლიოთეკას. ეს არის ყველაზე უდიდესი ბიბლიოთეკა ყველა ქვეყნის, ყველა დროის და ყველა ხალხის ბიბლიოთეკებს შორის.

აქ ამჟამად ინახება 13.000.000-ზე მეტი მილიონი წიგნი, 1.000.000-ზე მეტი ფურცელი და ესტამპი, 2.500.000 ფურცელი ხელნაწერი. ბიბლიოთეკის მთავარი წიგნსაცავის თარების სიგრძე 18-სართულიან შენობაში 160 კილომეტრს აღწევს. 1949 წელს ბიბლიოთეკამ 7.000.000-ზე მეტი წიგნი გასცა.


ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში ფართოდ სარგებლობს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით. ასე, მაგალითად - იშვიათი წიგნები გაცვეთა-გაფუჭებისაგან დასაცავად სპეციალურ ლაბორატორიაში აცეტონის კინაფსკზე გადაიღება.



აქ ფოტოზე ნაჩვენები 500-გვერდიანი წიგნი 10 მეტრ ვიზროვანი აფსექტებით დაეტია შესაძარებლად მიკროფილმი მის დედანზე დევება.



ბიბლიოთეკაში მოწყობილია სპეციალური დარბაზი მიკროფილმების წასაკითხად. მკითხველები სხედან სპეციალური აბარატების წინ და განათებულ ეკანანზე ხედავენ მიკროფილმებიდან ნატურალურ სიღიძემდე აღდგენილ წიგნის ფურცებს.



ცისფერი ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია : მეამად არსებულთა შორის. მის სიღიძეზე წარმოდგენას იძლევა აქ მოყვანილი სურათი: ის ოწევს 33 მეტრს სიგრძით და იწონის 150-მდე ტონას (9000 ფუტს), ე. ი. იმდენივეს, რასაც

იწონის 30 სპილო... რეინიგზით ასეთი ვეშაპის გადასაზიდათ საჭირო იქნებოდა 6—8 პლატფორმა. ვეშაპის გული იწონის 800-დე კილოგრამს, ენა კა—სამ ტონამდე (180 ფუტს). ცხოველს სისხლის წონა აღწევს ათამდე ტონას (600 ფუტს). („სოვ. სოიუზ“).

რა ღირს მრთი ელჩი?

გამოკვლეულია, რომ ელ-ჭეპის დროს ძაბვა ზოგჯერ აღწევს 100 მილიონ ვოლტს, დენის ძალა კი 250 ათას ამ-ბერს, საეთი ელვის მყისიერი ისიმდლაგრე 25 მილიარდ კილოვატს შეადგენს. ეს მეტად, ვიდრე მთელი მსოფლიოს ელსადგურების სიმძლავრე, ერთად აღებული.

მაგრამ ელვა წამის მემილიონებ ნაწილს გრძელდება, ამგვარად ენერგიის ხარჯი მისი ცლის დროს დიდი არ არის: „საქენერებ ას“ ტარიფზე რომ გადავიყვანოთ, ყველაზე დიდი ელვის ღირებულება 5 მანეტის არ გადააჭარბებს.



საინტერესო ციცრები

... მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ჩვენი პლანეტის— დედამიწის მასა უდრის ექვსი ათას ტრილიონ ტონას (ტრილიონი = 1 თვრისეტი ნულით),

... დედამიწის მთელი მასა რომ ვაგონებში დაიტვირთოს, მივიღებთ მატარებელს, რომლის სიგრძე 20 ათასჯერ გადააჭარბებდა მანძილს დედამიწიდან უახლოეს ვარსკვლავამდე, რომლის გავლას თვეოთმფრინავი (გაუჩერებლად) ხუთ მილიონ წელიწადს მოადომებდა.

... განკარგულება, გაცემული რადიოთი ან ტელეგრაფით ასეთი მატარებლის პირველი ვაგონიდან უკნასენელამდე მხოლოდ ასი ათასი წლის შემდეგ მიაღწევდა. ამასთან ერთად უნდა გავიხსენოთ, რომ რადიოტალღები, ელდენი და სინათლის სხივი ჭავში 300.000 კილომეტრის სისწრაფით მიპქრიან.



ს ა რ ჩ ე ვ ი

83.

მოსკოვის აზალი მრავალსართულიანი შენობები—გიორგი ქარციგაძე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი	2
საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიიდან—იოსებ ნანობა შვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი	7
ლითონმშენელი იარაღების ალექსა ელექტრული მეთოდებით—ინჟინერი ნიკოლა ძამა შვილი	10
მუდმივი მზრალობა—შოთა ცხოვრება შვილი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კან- დიდატი	13
საიუბილეო ასვლა იალბუშე—დოკტორი ოთარ გიგინე შვილი	17
მატარებელთა შემადგენლობის სიმძიმის ძალის გამოყენება—ინჟინერი ალექსანდრე კუჭურიძე	21
კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი—გამტანგ გომელაური, ტექნიკის მეც- ნიერებათა კანდიდატი	25
კირპუცოლანოვანი ცემენტი—ინჟინერი გამტანგ ავალი შვილი	28
დედმიწის ატმოსფეროს მაღალი ფენები და მათი შესწავლის ამოცანები—თამარ მეგ- რელი შვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი	29
ბარიტი და მისი გამოყენება—სერგო ჯიქია, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ქართული სასიარულო თხილაშურები—გერვალ ჩაჩა შვილი, ისტორიის მეცნი- ერებათა კანდიდატი	33
პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი—დოკტორი გამტანგ პარკაძე	35
მაპარაშულო სპორტის განვითარების ოცნებისთვის—გ. ჩ.	39
„მცირე აფიაციის“ შემომქმედნი—ინჟინერი გიორგი კიკნაძე	41
აერომობილი „გაზ-63“	43
სხვადასხვა	45
	46



პასუხისმგებელი რედაქტორი—რ. აგლაძე

სარჩევაშიცო პოლემი:

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აგლაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ქუპრაძე, პროფესორი გ. კეპაბაძე, დოკტორი გ. მირიანა-
შვილი, ინჟინერი კ. გურგენიძე, ინჟინერი შ. ჯაბუა, ე. ფულაძე (რედაქციის პასუ-
ხისმგებელი მდივანი).

ქადალდის ზომა 60×92, 2 საბ. ფ., სულ 6 საბ. ფ., 1 ფურცელზე 120000 სასტამბო ნიშანი.
სელმოწერილია დასაბეჭდად 20.9.50 წ., სე 05380, შეკვ. № 465. ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. ჭრელის ქ. № 7.
Типография Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. Ак. Церетели № 7.

დამტკაცებულია საქ. სსრ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდუმის მიერ 16.III.1950
(ოქმი № 7, § 3)

ჩ ე ბ უ დ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკისა და სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებებში შემავალ ინსტიტუტე-
ბის მეცნიერულ კორესპონდენტთა შესახებ.

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებებში შემავალ ინსტიტუტებთან მეცნიერულ კორესპონდენტთა ქსელის დაწესების მიზანია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან კავშირის განმტკიცება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშავთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ხელის შეწყობა და მეცნიერებათა აკადემიის მხრივ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერება.

2. მეცნიერულ კორესპონდენტთა შეიძლება იყოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მართლდ მოწინავე მუშავი, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს და მეცნიერული მუშაობისადმი მიღრეცილებას იჩენს.

3. იმ პირს, რომელსაც სურს იყოს მეცნიერული კორესპონდენტი, შეაქვთ განცხადება (საჭირო საბუთებით) სათანადო ინსტიტუტში მისი სამეცნიერო შრომის თემის დასხველებით, რომელიც კავშირშია მის პრაქტიკულ საქმიანობასთან.

4. მეცნიერულ კორესპონდენტთა განვითარების მსუბუქელის მომზადების დონის გამოკვლევისა და მის მიერ დასახლებულ სამეცნიერო შრომის ინსტიტუტის პროფილთან შესაბამისობის განხილვის შემდეგ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო სწერეტის საკითხს მეცნიერულ კორესპონდენტთა და მისი ჩარიცხვის შესახებ, ამტკიცებს წარმოდგენილ თემას, აწესებს მისი შესახლების ვადებს და გამოკვლევის მეცნიერულ ხელმძღვანელს.

5. მეცნიერულ კორესპონდენტთა რიცხვი განუსახლვრელია.

6. მეცნიერული კორესპონდენტი სათანადო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს აცნობს იმ პრობლემებს, რომელიც წარმოიქმნარ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და რომელთა გადაწყვეტაში სასურველია ინსტიტუტის მონაწილეობა.

7. მეცნიერული კორესპონდენტი რეგულარულად აწედის სათანადო ინსტიტუტს კორესპონდენციებს წარმოების იმ მიღწევათა და გამოგონებათა შესახებ, რომელიც უნდა დაინერგოს სპეციალის აბიექტების გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარების გზით.

8. მეცნიერული კორესპონდენტი ინსტიტუტს წერილობით წარმოუდგენს თავის შეხედულებას ინსტიტუტის საკვლევო-სამეცნიერო მუშაობის შედეგების წარმოებაში დაწერების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესახებ, რასაც ინსტიტუტი განიხილავს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

9. მეცნიერული ხელმძღვანელი აზუსტებს მეცნიერული კორესპონდენტის სამუშაო გეგმას, ეხმარება სათანადო ლიტერატურის შერჩევაში და სისტემატურად თვალყურა ადგენებს მის მუშაობას.

10. მეცნიერული კორესპონდენტი მეცნიერულ მუშაობას ეწევა წარმოებისაგან მოეწყვეტად და სარგებლობს ინსტიტუტის საკონსულტაციო დახმარებით.

11. მეცნიერულ კორესპონდენტს ნება ეძლევა ინსტიტუტის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით გამოიყენოს ინსტიტუტის ლაბორატორიული ბაზა ექსპერიმენტების ჩასტუმებლად; ისარგებლობს ინსტიტუტის ბიბლიოგრაფიის ფონდით. ინსტრუმენტი ხელს უჭირავს მეცნიერულ კორესპონდენტს საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისა და დისერტაციის გაფორმების საქმეში.

12. მეცნიერული კორესპონდენტი წელიწადში ერთხელ მაინც გამოდის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე რეგულარული მის თემასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო, ხოლო მეცნიერული ხელმძღვანელი კი წარმოადგენს სათანადო ანგარიშს მეცნიერული კორესპონდენტის მუშაობის შესახებ.

13. მეცნიერული კორესპონდენტის მიერ დამთავრებული სადისერტაციო შრომის აპრობაციას ახდენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც ამასთანავე იხილავს მიღებული შედეგების დაწერების შესაძლებლობის საკითხს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ან ტრანსპორტში.

14. თემის მაღალხარისხოვნებისა და მიღებული შედეგების დიდი მნიშვნელობის შემთხვევაში ინსტიტუტი ხელს უწყობს შრომის გამოქვეყნებას და ბეჭდავს მათ თავის შრომათა კრებულში.

15. ამ დებულებით გათვალისწინებულ სამუშაოში მეცნიერული კორესპონდენტი და მეცნიერული ხელმძღვანელი ხელფას არ დებულობენ.

16. მეცნიერული კორესპონდენტი, რომელიც არ შეასრულებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოვალეობას, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ გაიზიცხება მეცნიერული კორესპონდენტის დადგინდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

16. 2/76.

ვალი 5 ვას.

65093669

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ
„МЕЦНИЕРЕБА да ТЕХНИКА“,
издаваемый Академией Наук
Грузинской ССР
(на грузинском языке)

Тбилиси
1950